

რუსეთის ქართული დიასპორა და ქართულ-რუსული ურთიერთობები

კვლევის ანგარიში



მარიამ გაჩეჩილაძე
2016

მარიამ გაჩეჩილაძე

რუსეთის ქართული დიასპორა
და ქართულ-რუსული
ურთიერთობები
კვლევის ანგარიში

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN
HOUSE

2016

UDC (უბკ) 94(-353.1)(470)+94(479.22:470)
გ-247

პროექტის დირექტორი: ბიორგი კანაშვილი
რედაქტორი: ედიშერ ბალათურია
მთარგმნელები: ნათია ნადირაძე, მარინა მაჩაბელი
დიზაინი: ქეით გაბრისი

რუკა გარეკანზე: რუსეთში მცხოვრები ქართველები რეგიონების მიხედვით (2010 წ.)

ISBN 978-9941-400-92-6

კავკასიური სახლი არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს და კავკასიის მშვიდობიანი განვითარებისთვის იდეოლოგიური და ინტელექტუალური ბაზისის შექმნა. კავკასიური სახლი დიდი ხანია მუშაობს რეგიონული განვითარებისა და კავკასიის ხალხთა ინტეგრაციის პროექტებზე. უკანასკნელი რამდენიმე წელია, ორგანიზაცია აქტიურად სწავლობს კავკასიასა და მიმდებარე რეგიონებში არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებს. ამ მიმართულებით უკვე განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომელიც მოიცავდა ქართველი და უცხოელი ახალგაზრდა ანალიტიკოსების ერთობლივ კვლევებს, საინფორმაციო ვიზიტებს საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებში, სამუშაო შეხვედრებს სამთავრობო თუ საექსპერტო საზოგადოების წევრებთან და ა.შ. ამავე პროექტების ფარგლებში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გამოიცა ათზე მეტი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელთა თემატიკა ეხება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, ჩრდილოეთ კავკასიას, რუსულ-უკრაინულ კონფლიქტს და სხვა...

წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2015 წელს პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე. კვლევის მიზანი იყო, რუსეთში მოღვაწე ქართული დიასპორული ორგანიზაციების შესწავლა მათი მიზნების, საქმიანობისა და ინსტიტუციური განვითარების გაანალიზების საფუძველზე. კვლევის შედეგად უნდა გამოვლენილიყო ის, თუ რამდენად შესწევს უნარი რუსეთის ქართულ დიასპორას პოზიტიური გავლენა იქონიოს ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების პროცესზე. ღია წყაროებზე დაკვირვებით, დიასპორის წარმომადგენლებთან და ქართულ საექსპერტო წრეებთან ჩანერილი სიღრმისეულ ინტერვიუების საფუძველზე ვლინდება, რომ დღეს რუსეთის ქართული დიასპორა ნაკლებადაა კონსოლიდირებული, არ ხასიათდება დიასპორის შემაკავშირებელი ძლიერი ინსტიტუტებით, არსებულ ორგანიზაციათა შორის ნდობის ხარისხიც დაბალია. მიუხედავად ამისა, როგორც კვლევიდან ჩანს, რუსეთის ქართულ საზოგადოებაში არსებობს საკმარისი რესურსი (განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და რუსეთში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველების სახით), რათა მოხდეს დიასპორული კავშირების გაძლიერება, ახალი ინსტიტუტებისა და გაერთიანებების დაფუძნება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ქართული მხარისგან შესაბამის წახალისებასა და ხელშეწყობას.

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ „კავკასიურ სახლს“ და არ უნდა იქნეს მიჩნეული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიციად.

შინაარსი

შესავალი	6
1. დიასპორის მნიშვნელობა (თეორიული მიმოხილვა)	8
1.1 დიასპორის კონცეპტუალური ანალიზი	8
1.2 დიასპორის პრაქტიკული დანიშნულება.....	9
2. რუსეთის ქართული დიასპორა.....	12
2.1 დიასპორის განმარტება სახელმწიფო დონეზე.....	12
2.2 რამდენი ქართველი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში?.....	13
2.3 რუსეთის ქართული დიასპორის წარმომავლობა	14
2.4 რუსეთის ქართული დიასპორის ფინანსური გავლენა და ეკონომიკური პოტენციალი.....	16
3. რუსეთში არსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა.....	20
მოკლე რეზიუმე	20
3.1 1990-იან წლებში შექმნილი ორგანიზაციები და მათი დღის წესრიგი	22
3.2 2003 წლის შემდგომ შექმნილი ორგანიზაციები და მათი საქმიანობა	27
3.3 2007 წლის შემდგომ შექმნილი ქართული დიასპორული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა	29
3.4 ქართული ახალგაზრდული დიასპორული ორგანიზაციები.....	31
4. რუსეთის ქართული დიასპორა ქართულ საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში.....	33
4.1 საქართველოს სახელმწიფოს მიდგომები დიასპორასთან მიმართებაში 2003-2012 წლებში	33
4.2 რუსეთის ქართული დიასპორა ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე.....	34
4.3 საქართველო და რუსეთის ქართული დიასპორა 2012 წლის შემდეგ	37
შეჯამება.....	39
5. რუსეთის ქართული დიასპორა – განწყობები და შესაძლებლობები.....	41
5.1 ქართულ დიასპორულ გაერთიანებებში არსებული პრობლემები	41
5.2 რუსეთის ქართული დიასპორა და საქართველო	43
5.3 ქართულ-რუსული ურთიერთობები და დიასპორა.....	45
5.4 რუსეთის ქართული დიასპორის როლი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში	46
კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.....	48
დასკვნა.....	49

კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სახით მოსულმა საქართველოს ხელისუფლებამ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების პოლიტიკა წამოიწყო, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგის ხანგრძლივ პროცესს. ე.წ. „კარასინი-აბაშიძის“ ფორმატის შედეგად, ნაწილობრივ აღდგა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები, ორ ქვეყანას შორის დაინიშნა რეგულარული ავიამიმოსვლა, უახლოეს მომავალში იგეგმება საქართველოს მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის გამარტივებაც.¹ მიუხედავად ამისა, 2012 წლიდან დღემდე, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში რაიმე სახის ძირეული პოლიტიკური ცვლილება არ მომხდარა: არ შეცვლილა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, თუ არ ჩავთვლით სიტუაციის გაუარესებას საზღვრისპირა რეგიონებში გამყოფი ხაზის გადმონევისა და იმ ხელშეკრულებების სახით, რომლებიც 2014 წელს რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობებთან გააფორმა. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები ისევ არ აღდგენილა.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების პროცესში ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უგულებელყო: რუსეთში საკმაოდ დიდი რაოდენობის ეთნიკურად ქართველი და, მათთან ერთად, საქართველოდან წასული სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, რომელთა ერთობლიობა ქმნის რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ მრავალათასიან ქართულ დიასპორას. ქართული დიასპორის როლი ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არ არის სათანადოდ შესწავლილი, მაშინ როდესაც, მათ შესაძლოა გააჩნდეთ მნიშვნელოვანი პოტენციალი იმისა, რომ ითამაშონ გარკვეული პოზიტიური როლი ქართულ-რუსული ურთიერთობების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში.

როგორც წესი, დიასპორებს აქვთ შესაძლებლობა ემსახურონ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ მიზნებს, როგორც მიმღებ ქვეყანაში, ისე სამშობლოში. დიასპორები ორივე სახელმწიფოს საზოგადოებების ბუნებრივ დამაკავშირებლებს წარმოადგენენ, რომლებიც განიცდიან როგორც ისტორიული სამშობლოს, ისე მიმღები ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ გავლენას. მშობლიური ქვეყნისთვის დიასპორები ასევე გვევლინებიან მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსად ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების კუთხით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია კონკრეტული კონცეპტუალური ხედვა, თუ როგორი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს საკუთარი თანამემამულეების მიმართ რუსეთის ფედერაციაში. ამგვარ პოლიტიკას შესაძლოა გააჩნდეს როგორც მორალური დატვირთვა (უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა არ დაკარგონ კავშირი სამშობლოსთან), ისე პრაგმატული გათვლა. წინასწარი ანალიზის გარეშე, შეუძლებელია იმის დაზუსტებით თქმა, თუ რამდენად არის მზად რუსეთის ქართული საზოგადოება ითამაშოს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების განვითარებაში გარკვეული დადებითი როლი და როგორ შეიძლება, რომ ეს როლი გამოვლინდეს.

პირველ ეტაპზე, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს, რუსეთში არსებული ქართული დიასპორული გაერთიანებების შესწავლა მათი საქმიანობის, მიზნებისა და მოღვაწეობის სფეროების დახასიათებით. კვლევის მიზანია გამოვლინდეს ის, თუ რა ხედვები და განწყობები არსებობს რუსეთის ქართულ დიასპორაში ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ, რამდენად კონსოლიდირებულია რუსეთის ქართული დიასპორა და რამდენად აქვს პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირებაში.

კვლევის ანგარიში შედგება ხუთი თავისგან, ძირითადი მიგნებებისა და დასკვნისაგან.

¹ „პუტინი: რუსეთი მზად არის საქართველოს მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმი გააუქმოს“, სივილ ჯორჯია, 17 დეკემბერი, 2015. http://www.civil.ge/geo/article.php/_print.php?id=29984

პირველი თავი მიმართულია დიასპორის თემის აქტუალიზებაზე დიასპორის ფენომენის კონცეფტუალური და დიასპორის პრაქტიკული დატვირთვის გაანალიზებით.

მეორე თავის მიზანს წარმოადგენს, მკითხველს გააცნოს რუსეთის ქართული დიასპორა, წარმომავლობის, რაოდენობისა, და ეკონომიკურ-ფინანსური გავლენის კუთხით.

მესამე თავი მოიცავს რუსეთში აქტიურად მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზს 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე (2015 წლამდე).

მეოთხე თავი ეხება რუსეთის ქართული დიასპორის თემის განხილვას ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში.

ბოლო თავში მოცემულია თავად დიასპორულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, დიასპორაში არსებულ პრობლემებისა და ორი ქვეყნის ურთიერთობების შესახებ.

1.1 დიასპორის კონცეპტუალური ანალიზი

როდესაც ქვეყნის განვითარების შესაძლებლობაზე საუბრობენ, ტრადიციულად ხაზს უსვამენ მის ბუნებრივ რესურსებს, სოციალურ და პოლიტიკურ მდგრადობას, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს, საერთაშორისო პოლიტიკურ გავლენას და სხვა მრავალ ფაქტორს... თუმცა ყველა მათგანში ცენტრალური ადგილი მაინც ადამიანურ კაპიტალს, ადამიანურ რესურსს უჭირავს. ამ უკანასკნელში, ჩვეულებრივ, გულისხმობენ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ქვეყნის შიგნით ცხოვრობენ და მათ ცოდნასა და გამოცდილებას „ადგილზე“ გამოიყენებენ, თუმცა ბოლო ათწლეულების დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს განვითარებაში არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზღვარგარეთ მცხოვრებ იმ თანამემამულეებსაც, რომლებიც შეიძლება ისტორიული სამშობლოს მოქალაქეები სულაც არ იყვნენ. ასეთი ტიპის ადამიანურ რესურსს შეიძლება ვუნოდოთ სახელმწიფოს დიასპორა.

დიასპორის საკითხზე მიმართული ნებისმიერი სახის განხილვა იწყება ისეთი მნიშვნელოვანი კითხვის განსაზღვრით, თუ ვინ და რა კრიტერიუმით შეიძლება ჩაითვალოს დიასპორის შემადგენელ ნაწილად. საინტერესოა თავად სიტყვა „დიასპორის“ ეტიმოლოგია, რომელიც დიასპორის, როგორც ფენომენის ანტიკურობაზე მეტყველებს, კერძოდ, ის ნაწარმოებია ბერძნულიდან *Δια (dia)*, რაც ნიშნავს „გარშემო“, „ირგვლივ“, ხოლო *σπείρω (speiro)* – „გაფანტვას“, „გავრცელებას“.² თავდაპირველად მას მხოლოდ ძვ.წ. აღ. VIII საუკუნეში ბაბილონიდან დევნილი ებრაელების აღსანიშნად იყენებდნენ, მათი შესწავლა და დაკვირვება ძირითადად ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული კუთხით ხდებოდა. მოგვიანებით ტერმინის მნიშვნელობა გაფართოვდა და XX საუკუნის დასაწყისიდან სომეხი და ბერძენი ხალხის მიგრაციის შედეგად სხვადასხვა ქვეყანაში აღმოცენებული ამ ეთნიკური ჯგუფების აღსანიშნად გამოიყენებოდა, რომლებიც ბევრი მეცნიერის აზრით, დიასპორის კლასიკურ ტიპებს წარმოადგენენ.³ განსხვავებით კლასიკური მიდგომებისგან, მოდერნულობის პერიოდთან ერთად, დიასპორამ საკუთარი ახლებური დატვირთვა მეოცე საუკუნის განმავლობაში ლოკალური თუ გლობალური ისტორიული პროცესების ძალით შეიძინა. საბჭოთა კავშირის შექმნის, II მსოფლიო ომის, მსოფლიოში დაწყებული დეკოლონიზაციის პროცესისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილმა მიგრაციულმა ტალღებმა მთელი მსოფლიოს გარშემო გამოიწვიეს სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გაჩენა, რომლებიც დროთა განმავლობაში გარდაიქმნენ დიასპორებად და ამით შეიძინეს საკუთარი სპეციფიკური დატვირთვა, როგორც მიმღები სახელმწიფოსთვის, ისე საკუთარი ისტორიული სამშობლოსათვის.

მიუხედავად იმისა, რომ დიასპორაზე ბევრი თქმულა და იწერება (*ამაზე სამეცნიერო დისციპლინებში სპეციალური მიმართულებების – „დიასპორამცოდნეობის“ – Diaspora Studies არსებობაც მიუთითებს*), მაინც რთულია, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინის მიღმა.⁴ საქმე ისაა, რომ კლასიკური დიასპორების გარდა არსებობს ბევრი სხვა მიზეზით, როგორცაა: შრომითი მიგრაციის, საზღვარგარეთ განათლების მიღების, ვაჭრობის, ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის, პოლიტიკური დევნის, ხანგრძლივი მივლინების შედეგად უცხოეთში გაჩენილი ადამიანთა ჯგუფები. მათ შორის ზღვარის დადგენა და მათი დიასპორად კლასიფიცირება განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს საჭიროებს. „დიასპორა“ – ამ ტერმინის კრიტიკა ეხება იმასაც, თუ რამდენად ჰომოგენურია და ერთ ისტორიულ იდენტობას (*ღირებულებებისა და წესების ჩათვლით*) წარმოადგენს ამა თუ იმ სახელმწიფოში გაფანტული ესა თუ ის დიასპორული ჯგუფი. ასევე საკამათოა, როგორ და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება დიასპორასთან მიკუთვნებულობის გრძობის განსაზღვრა – დაფუძნებულია ის კლასიკური ერი-სახელმწიფოს ცნებაზე, რელიგიაზე, რეგიონზე, ეთნო-ლინგვისტურ ერთიანობასა, თუ რამე სხვა კრიტერიუმზე; ასევე კითხვებს ბადებს, თუ რამდენ თაობაზე შეიძლება ვრცელდებოდეს დიასპორის წევრობის პირობა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მიგრაციის საერთაშორისო პროგრამის დირექტორი პროფესორი

² დიასპორის განმარტება ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით; იხ.: <http://www.oxforddictionaries.com/definition/english/diaspora>

³ ოქსფორდის ბიბლიოგრაფია;

იხ.: <http://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780199766567/obo-9780199766567-0091.xml>

⁴ ედინბურგის უნივერსიტეტის დიასპორის შემსწავლელი პროგრამა; იხ.: <http://www.ed.ac.uk/history-classics-archaeology/diaspora-studies>

რობინ კოენი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეში დანყებულ დიასპორების შესწავლის პროცესს ყოფს რამდენიმე ძირითად ეტაპად და, ამავდროულად, გვთავაზობს დიასპორის ფენომენის გაგებას, დიასპორების წარმოქმნის ისტორიული თუ სოციო-ეკონომიკური მიზეზების სისტემატიზირების საფუძველზე. იგი ზღვარს ავლებს: **ვიქტიმიზებულ, იმპერიულ, შრომით, სავაჭრო და დეტერიტორიალიზებულ(deteritorialized) დიასპორებს შორის.**

თავდაპირველად მეცნიერები ვიქტიმიზებული დიასპორის გარშემო ტრიალებდნენ და იკვლევდნენ ებრაულ დიასპორას, რომლის დისპერსიასაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია და ამ ისტორიაში დომინირებს ვიქტიმიზაციური ნარატივი ერთი კატაკლიზმური მოვლენისა, რომელმაც ამ ერის ტრავმირება გამოიწვია. 60-იან და 70-იან წლებში დიასპორის კლასიკური გაგება გაფართოვდა და მოიცვა აფრიკელების, სომხებისა და ირლანდიელების გამოცდილებებიც. კოენი მეორე ეტაპის დასაწყისად 80-იან წლებს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის დიასპორა – ეს იყო ერთგვარი „მეტაფორული განსაზღვრება“ რეპატრიანტებისთვის, დეპორტირებულებისთვის, პოლიტიკური დევნილებისა და უცხო მოსახლეებისთვის, იმიგრანტების, ეთნიკური და რასობრივი უმცირესობებისთვის. 90-იანი წლებიდან დანყებული მესამე ეტაპის მიდგომას კოენი მიაკუთვნებს სოციალურ კონსტრუქტივისტებს, რომლებმაც პოსტმოდერნული პარადიგმის აღზევებასთან ერთად ეჭვქვეშ დააყენეს დიასპორის ფენომენის ერთიანობა და ერთმანეთისგან გამიჯნეს „სამშობლოს“ და „ეთნიკურ-რელიგიური საზოგადოების“ იდეა. ხოლო რაც შეეხება თანამედროვე პერიოდს, მისი აზრით, ეს არის მიდგომების კონსოლიდაციის ახალი ეტაპი, სადაც მხედველობაში მიიღება დიასპორის ყველა ელემენტი, იდეალური ტიპების ჩათვლით.⁵

დიასპორებთან დაკავშირებული მოსაზრებების შეჯერებითა და დამატებებით, მიგრაციის კიდევ ერთი მკვლევარი პროფესორი უილიამ საფრანი გვთავაზობს კონკრეტული სოციალური ჯგუფის დიასპორად მიჩნევის შემდეგ ზოგად კრიტერიუმებს:

1. ისინი უნდა წარმოადგენდნენ თვითმყოფად საზოგადოებას, რომლის წევრებიც წამოსული არიან ისტორიული სამშობლოდან და აკავშირებთ საერთო ხედვა, მოგონებები ან მითები მშობლიური ქვეყნის შესახებ.

2. მათ უნდა ჰქონდეთ რწმენა იმისა, რომ სრულყოფილად არასოდეს იქნებიან ინტეგრირებულინი მასპინძელ ქვეყანაში, ამიტომაც ავითარებდნენ ავტონომიურ, კულტურულ და სოციალურ ყოფას.

3. ისინი ან მათი შთამომავლები ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში შესაძლებლად უნდა თვლიდნენ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას.⁶

4. ისინი უნდა აგრძელებდნენ თავიანთი სამშობლოს მხარდაჭერას, რასაც უნდა განაპირობებდეს მათი საზოგადოებრივი ცნობიერება და სოლიდარობა.⁷

როგორც ვხედავთ, დიასპორის ფენომენისადმი განსხვავებული მიდგომები და აღქმები მრავლადაა სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეში, რაც მიუთითებს, ერთი მხრივ, საკითხის აქტუალობაზე თანამედროვე საზოგადოებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, თემის სიღრმესა და კომპლექსურობაზე.

1.2 დიასპორის პრაქტიკული დანიშნულება

დიასპორის ტერმინის განმარტებასთან ერთად ასევე ბევრის თქმა შეიძლება დიასპორის პრაქტიკულ მნიშვნელობასა და სახელმწიფოსთვის მის მზარდ პოტენციალზე ბოლო წლების განმავლობაში. ამას მოწმობს ის, რომ ადგილობრივ და უცხოურ კაპიტალთან ერთად ჩნდება ახალი ცნება „დიასპორული კაპიტალი“, რომელიც მიუთითებს იმ ფინანსური და ეკონომიკური ტიპის შესაძლებლობებზე, რომელიც დიასპორებს შეიძლება გააჩნდეთ საკუთარი ისტორიული სამშობლოსათვის.⁸ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აცნობიერებს, რომ აღნიშნული მიმართულებით კვლევა, მუშაობა და საბოლოოდ ქვეყნის სასარგებლოდ მათი გამოყენება შესაძლებელია.

⁵ Robin Cohen; „Global Diasporas An Introduction“; second edition; publisher: “Routledge taylor and francis group London and New-york” 1-2pp. ob: http://prodiasporaromana.org/wp-content/uploads/2014/01/Cohen-2008-Global-Diasporas-An-Introduction-2n-Bookos.org_.pdf

⁶ ეს პუნქტი სადაოა და შეიძლება არ ვრცელდებოდეს ყველა დიასპორულ საზოგადოებაზე (ავტორის შენიშვნა).

⁷ William Safran, Diasporas in Modern Societies: Myths of Homeland and Return; A journal of transnational studies; 1991. P.:4-5. ob.:http://www.academia.edu/5029348/Diasporas_in_Modern_Societies_Myths_of_Homeland_and_Return

⁸ Eric Guichard, “Why and how diaspora capital can contribute to Africa’s development,” May 10, 2015; ob:<https://www.homestrings.com/news-and-analysis/2015/may/10/why-and-how-diaspora-capital-can-contribute-to-africas-development/#.VqHmVIV97IU>

დიასპორის საკითხით სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესებას გააჩნია როგორც მორალური, ისე რაციონალური საფუძველი. მოქალაქე, რომელიც ტოვებს საკუთარ ოჯახს, სახლსა და ქვეყანას, ხშირ შემთხვევაში, ამას აკეთებს იძულებით, საკუთარ ქვეყანაში ცხოვრებისთვის არახელსაყრელი გარემოპირობების გამო. პასუხისმგებლიანი სახელმწიფოს არსებობის შემთხვევაში, სხვა ქვეყანაში მიგრანტად ქცეული საკუთარი თანამემამულის მიმართ ისახება მხოლოდ ერთი ამოცანა: არ განყდეს კავშირი სამშობლოსთან (ახლობლებთან ბუნებრივად ნარჩუნდება კავშირი) და გრძელვადიან პერსპექტივაში შეიქმნას პირობები უკან დაბრუნებისთვის. ამას შესაძლოა, ვუნოდოთ სახელმწიფოს ე.წ. „მორალური პასუხისმგებლობა“. ამ მიზნის მიღწევა, განსაკუთრებით განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, რთული ამოცანაა. ხშირად ხდება ისეც, რომ ემიგრირებულთა მეორე და მესამე თაობები მიმღებ ქვეყანაში აღარ კლასიფიცირდებიან, როგორც მიგრანტები, არამედ მათთვის მიმღები ქვეყანა უკვე სამშობლოს სახელს იძენს, თუმცა, მეორე მხრივ, არ ქრება მიკუთვნებულება ე.წ. ისტორიული სამშობლოს მიმართაც. ეს ძირითადად ნარჩუნდება ინდივიდუალური ძალისხმევითა და, რაც ყველაზე მთავარია, საერთო თემში, იგივე დიასპორაში ინტეგრაციის მეშვეობით. ამ რეალობიდან გამომდინარე, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფო თანდათან ეგუება სხვა ქვეყანაში საკუთარი თანამემამულეების დიდი ოდენობით არსებობას და მეტიც, ახდენს ამ მოცემულობის რაციონალიზაციას, სადაც შესაძლოა, გამოეყოთ სამი ძირითადი მიმართულება:

1. დიასპორის ფულადი გზავნილები;
2. დიასპორა, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში პოტენციური მაინვესტირებელი;
3. დიასპორა, როგორც ცოდნის გამავრცელებელი;

პირდაპირი ფულადი გადმორიცხვები – ეს არის ის თავისთავადი სარგებელი, რომელსაც სახელმწიფო ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ქვეყნის გარეთ მცხოვრები საკუთარი თანამემამულეებისგან იღებს. ფულადი გადმორიცხვები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად 500 მილიარდ დოლარს ითვლის.⁹ რაც შეეხება პირდაპირ ინვესტიციებს და სავაჭრო ეკონომიკურ თანამშრომლობას, ბიზნესის სექტორის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, მიდრეკილნი არიან, ინვესტიციები განახორციელონ იმ ქვეყნებში, რომელთა შესახებაც გააჩნიათ ინფორმაცია ბაზრის თავისებურებებისა და ზოგადი ეკონომიკური გარემოს შესახებ, ამასთან კარგად იცნობენ საზოგადოებას, მის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს. როგორც ისტორიკოსმა ფილიპ კურტინმა დოკუმენტურად დაამტკიცა, ურბანული ცხოვრების დასაწყისიდან მოყოლებული, ათასი წლის უკან, სავაჭრო ვაჭვს ჩვეულებრივ საერთო ეთნოსის მქონე ვაჭრები ქმნიდნენ. ბერძნული, ფინიკიური, ტრანს-საჰარული ვაჭრობები, ებრაული, სომხური, ჩინური, ჰოლანდიური და ბრიტანული, აღმოსავლეთ ინდური კომპანიები სწორედ ასეთი კავშირების მეშვეობით იყვნენ ჩაბმულნი მსოფლიო ვაჭრობაში.¹⁰

თანამედროვე საწარმოო და კომუნიკაციის საშუალებების განვითარებასთან ერთად ვაჭრობისა და ბიზნესის წარმოებაში შესუსტდა ეკონომიკურ პარტნიორებს შორის პირისპირი კავშირის აუცილებლობა, ვინაიდან შესაძლებელი გახდა დიდ დისტანციაზე კონტრაქტების გაფორმება, რომლის შესრულება-არშესრულება სამართლებრივი ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი, თუმცა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების წარმოებისას საერთო ეთნიკური ქსელების გავლენას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

კიდევ ერთი რამ, რაც დიასპორას შეუძლია რომ გააკეთოს სამშობლოსთვის, ესაა სხვა ქვეყნის ფარგლებში შექმნილი ინფორმაციის, ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების სამშობლოში გავრცელება. ბუნებრივია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ემიგრირებული ადამიანებისთვის განვითარებისა და ცოდნის მიღების ბევრად მეტი შესაძლებლობაა, რასაც შედეგად მოაქვს ის, რომ სამშობლოს გარეთ დღეს მოღვაწეობს უამრავი წამყვანი სპეციალისტი სწორედ იმ დარგებში, სადაც ადგილობრივ დონეზე კადრების დეფიციტია ხოლმე. მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა, რაც ქვეყნის განვითარებაზე აისახება, ეს არის ე.წ. „ტვინების მასობრივი გადინება“ ან „ტვინების დაკარგვა“. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ქვეყნიდან წასული მოქალაქე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესია, ვერ ახერხებს საკუთარი სპეციალიზაციითა და ცოდნით როგორც საკუთარ, ისე მიმღებ ქვეყანაში დასაქმებას, მიმღებ ქვეყანაში ეწევა ე.წ. „შავ სამუშაოს“ დაბალკვალიფიციურ

⁹ Ricardo Hausmann, “The Diaspora Goldmine” “Project syndicate”, JUN 25, 2015. [ob.:http://www.project-syndicate.org/commentary/remittances-not-only-benefit-to-homeland-economies-by-ricardo-hausmann-2015-06](http://www.project-syndicate.org/commentary/remittances-not-only-benefit-to-homeland-economies-by-ricardo-hausmann-2015-06)

¹⁰ Cross-cultural trade in world history, Philip D. Curtin, Cambridge University Press. [ob.:http://catdir.loc.gov/catdir/samples/cam034/83023202.pdf](http://catdir.loc.gov/catdir/samples/cam034/83023202.pdf)

და დაბალანზლაურებად სამუშაო ადგილებზე, რითაც იკარგება ამ ადამიანის პროფესიული პოტენციალი. თუმცა ბუნებრივია, რომ იგივე „ტვინები“ არსად არ ქრებიან და განაგრძობენ არსებობას სხვადასხვა ქვეყნის ფარგლებში.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი და ვენესუელას დაგეგმარების ყოფილი მინისტრი რიკარდო ჰაუსმანი დიასპორასა და მიგრანტებში აკუმულირებულ ცოდნას ინტერპრეტირებს, როგორც „მდუმარე ცოდნას“. ¹¹ მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „მდუმარე ცოდნის ეკონომიკა“ ჰაუსმანი ხაზს უსვამს, რომ ეს არის არა იმდენად წიგნებიდან აღებული, რამდენადაც ყოველდღიურ ცხოვრებასა და მუშაობით შეთვისებული ცოდნა, რომელიც მოთავსებულია ადამიანების თავებში და რომელიც ვრცელდება ადამიანებთან ერთად მათ მიერ სხვადასხვა ქვეყანაში გადაადგილების მეშვეობით. ¹² ავტორი დიასპორის მიერ ცოდნის გავრცელების წარმატებულ შემთხვევად ასახელებს ინდოეთს, რომლის მაღალტექნოლოგიური ინდუსტრია დიდ წილად შექმნილია დაბრუნებული მიგრანტების მიერ და მჭიდრო კავშირშია დიასპორასთან. ასევე ისრაელს უწოდებს ქვეყანას, რომელიც შეიქმნა ებრაული დიასპორის მიერ. აღნიშნავს, რომ მისი მაღალგანვითარებული მაღალტექნოლოგიური სექტორი სხვადასხვა ქვეყნებთან ხანგრძლივი კავშირების შედეგია.

დიასპორის ფენომენი ახალი მოვლენაა საქართველოს შემთხვევაშიც. თუმცა კი ქართულ დიასპორას ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში რუსეთის იმპერიის ფარგლებში ვხვდებით, მოსკოვის ახალშენისა და ქართული კოლონიების სახით, დიასპორა, ამ მოვლენის თანამედროვე გაგებით, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ყალიბდება. შესაბამისად, საქართველოში დიასპორის შესახებ სამეცნიერო-აკადემიური კვლევები და ანალიზი ნაკლებად გვხვდება. საჯარო სივრცესა თუ მედიაში დიასპორაზე ყურადღების გამახვილება ძირითადად მიგრაციის პრობლემებზე საუბრისას ხდება, ან როდესაც საკითხი ეხება იგივე ფულადი გზავნილების თემას. კონკრეტულად ქართულ დიასპორაზე მიმართული განხილვები, დიასპორის დანიშნულებაზე, როლსა და შესაძლო პოტენციალზე საუბარი ნაკლებია. მიუხედავად ამისა, თანამედროვე პერიოდში საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ საკმაო ოდენობის ქართველები ისეთ სამეცნიერო დარგებში, როგორებიცაა: ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ასტრონომია... ასევე ბევრ ქართველს შეხვდებით მედიცინის დარგში (განსაკუთრებით რუსეთში), კულტურასა და სპორტში. სახელმწიფოს აქტიური დიასპორული პოლიტიკის მეშვეობით შესაძლებელია, მოხდეს ამ ადამიანთა ეფექტური ჩართვა საქართველოში სხვადასხვა სამეცნიერო დარგის, კულტურისა თუ ეკონომიკის განვითარების პროცესში.

¹¹ Ricardo Hausmann, „The Tacit-Knowledge Economy“ იხ.: <http://www.project-syndicate.org/commentary/ricardo-hausmann-on-the-mental-sources-of-productivity-growth>

¹² იქვე.

2.1 დიასპორის განმარტება სახელმწიფო დონეზე

სამეცნიერო-კვლევით პროცესში დიასპორის კონცეპტუალური გაანალიზება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დიასპორის ფენომენისადმი განსხვავებულ მეთოდოლოგიურ მიდგომებს, იგივე შეიძლება ითქვას დიასპორის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის შემთხვევაშიც. ამ მხრივ, საინტერესოა საქართველოში სახელმწიფო დონეზე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებისადმი რა ზოგადი აღქმები არსებობს. მაგალითად, თვლის თუ არა საქართველოს სახელმწიფო დიასპორის შემადგენელ ნაწილად იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებმაც დროებით დატოვეს სამშობლო, მაგალითად, სტუდენტები, აგრეთვე არალეგალი მიგრანტები, რომლებიც არ გამოირჩევიან მაღალი სოციალური აქტივობით; ან წარმომავლობით (დედ-მამით) საქართველოს მიეკუთვნებიან, არ დაბადებულან საქართველოში, მაგრამ საკუთარი თავის იდენტიფიკაციაში გარკვეულად ადგილს მაინც ანიჭებენ ისტორიულ სამშობლოს; ამასთან, რამდენად მიზანშეწონილია, ვუნოდოთ ქართული დიასპორა სხვა ქვეყნის ფარგლებში მცხოვრებ იმ ადამიანთა სიმრავლეს, რომლებსაც, მართალია, ეთნო-კულტურული თვალსაზრისით საერთო ისტორიული სამშობლო გააჩნიათ, თუმცა თანამედროვე ეტაპზე არ ხასიათდებიან რაიმე სახის ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებებით, არ აქვთ საერთო თემისადმი მიკუთვნებულობის განცდა.

სამართლებრივ დონეზე, განმარტების სახით, მოგვეპოვება „კანონი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულედ ითვლება – „საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა ანდა რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართულ-კავკასიურ ენებს“; ხოლო „დიასპორული ორგანიზაცია – ეს არის გაერთიანება, რომელიც შექმნილია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქართული კულტურის, საქართველოს სახელმწიფო ენის, ტრადიციების პოპულარიზაციის, დიასპორების შეკავშირების, საქართველოსთან კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სპორტულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის მიზნით“.¹³

ერთი შეხედვით, მოცემული განსაზღვრებების მიხედვით, სახელმწიფო ქართული დიასპორის განმარტებისთვის მხედველობაში იღებს თითქმის ყველა ელემენტს და განსაკუთრებულ ყურადღებას არ ამახვილებს ეთნიკურ შემადგენელზე, თუმცა ქართულ მედიასა და პრესაზე დაკვირვებით შეიძლება გამოითქვას ჰიპოთეზა, რომ ქართულ საჯარო დისკურსში დიასპორებად განიხილება მხოლოდ ისეთი ტიპის საზოგადოებრივი ჯგუფი ან ორგანიზაციები, რომელთაც ახასიათებს შემდეგი თვისებანი: ჯგუფი შემდგარია ძირითადად ეთნიკური ქართველებისგან, მისი სასაუბრო ენაა ქართული, ის იზიარებს იმ რწმენა-წარმოდგენებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ, რომელიც დღეს დომინირებს ქართულ ნაციონალურ იდენტობაში. დიასპორის მიმართ ქართული მხარის მიდგომებზე ოდნავ ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება დიასპორის იმ განმარტებას, რომლის მიხედვითაც:

დიასპორაში მოიაზრება თანამედროვე პერიოდში სხვა ქვეყნის ფარგლებში სამუდამოდ ან დროებით მცხოვრები, მოქალაქეობის მქონე ან არმქონე საქართველოდან წასული თანამემამულეები, რომლებსაც დროთა განმავლობაში არ განუცდიათ ასიმილაცია მიმღებ სახელმწიფოში, ატარებენ მეხსიერებას საკუთარი წარმომავლობის შესახებ, სხვადასხვა სახით ინარჩუნებენ კავშირს სამშობლოსთან და, ხშირ შემთხვევაში, ხასიათდებიან საზოგადოებრივი გაერთიანებებითა თუ საკუთარ თემზე ორიენტირებული ინტერეს-ჯგუფებით.

¹³ საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“, იხ.: <http://migration.commission.ge/files/5301.pdf>

2.2 რამდენი ქართველი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში?

საქართველო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, მიეკუთვნება მზარდი ემიგრაციის მქონე ქვეყანათა რიცხვს. 90-იანი წლებიდან დაწყებული საქართველოდან ემიგრაციის ნაკადები მიემართებოდა თავდაპირველად უმეტესწილად რუსეთში, მოგვიანებით თურქეთში, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში (საბერძნეთი, იტალია, გერმანია, ესპანეთი...), ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად დღესაც ნარჩუნდება.

2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერით დადგინდა, რომ საქართველოში 1989 წლიდან 2002 წლამდე პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 20%-ით.¹⁴ შესაძლოა, ეს დაუკავშიროთ შობადობის შემცირებასაც, თუმცა ამგვარი ვარდნა მხოლოდ ამ უკანასკნელი ფაქტორით ვერ აიხსნება. სტატისტიკოსთა ნაწილი მიუთითებს, რომ 20%-იანი კლება მოხდა იმის ხარჯზეც, რომ საქართველო დატოვა ბევრმა არაქართველმა მოსახლემ: სომხებმა, რუსებმა, ებრაელებმა, ბერძნებმა და ა.შ. თუმცა საკითხისადმი ამგვარი მიდგომა პრობლემას არ ამარტივებს. ვინაიდან ქვეყანა, თუ მას აქვს პრეტენზია, ინოდებოდეს მოდერნულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, თანაბარ პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს, როგორც ეთნიკურად ქართულ, ისე არაქართულ მოსახლეობაზე, რომელიც, მიუხედავად ამისა, ფლობდა საქართველოს მოქალაქეობას და თავს საქართველოს სახელმწიფოს, ქართულ საზოგადოებას და კულტურას მიაკუთვნებდა.

დღეისათვის რთულია, დადგინდეს ზუსტი რაოდენობა იმ ადამიანთა, რომლებმაც ქვეყანა დატოვეს. სხვადასხვა წყარო, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთისგან განსხვავებულ მონაცემებს გვთავაზობს. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით 2014 წლისთვის საქართველოდან ემიგრაციაში იმყოფება 887,400 ადამიანი, რაც 6,7%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.¹⁵ მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, კი 2013 წლისთვის საქართველოდან მიგრაციაში იმყოფებოდა 746,017 ადამიანი, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება საქსტატის მიერ მონოდებული ინფორმაციისგან.¹⁶ არსებობს საქართველოს საკონსულო რეგისტრაციის სისტემა, რომელიც ნებაყოფლობითა და აღრიცხავს მხოლოდ ლეგალურ ემიგრაციაში მყოფ ქართველებს, ისიც არასრულად. შესაბამისად, შეუძლებელია, დადგინდეს ზუსტი ციფრი, თუ რამდენი ქართველი იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ ემიგრაციაში.

შეუძლებელია იმაზე საუბარიც, თუ რეალურად რამდენი ქართველი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში – ეს არის კითხვა, რაზეც უამრავი ურთიერთგამომრიცხავი პასუხი არსებობს. ჩვეულებრივ, ამ საკითხებით დაკავებული უნდა იყოს ისეთი სახელმწიფო სტრუქტურები, როგორებიცაა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ა.შ. თუმცა დღეისათვის მათგან ვერც ერთი უწყება ვერ იძლევა სარწმუნო და ამომწურავ ინფორმაციას რუსეთში მცხოვრები ქართველების რიცხოვნობასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებებით, როგორიცაა: არალეგალური მიგრაციის აღრიცხვასთან დაკავშირებული სირთულეები, ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების გამო მიგრაციის სამსახურთა კოორდინაციის ნაკლებობა და სხვ.

არსებობს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტისთვის (IDFI)“ მიწოდებული არაოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების რაოდენობა შეადგენს 1 607 744 ადამიანს, საიდანაც ყველაზე მეტი – დაახლოებით 800 000 რუსეთის ფედერაციაზე მოდის.¹⁷ ბევრი ამ ციფრს გაზვიადებულად მიიჩნევს და ემხრობა თავად რუსეთის ფედერაციაში 2010 წელს ჩატარებულ საყოველთაო აღწერის შედეგს.

¹⁴ „საქართველოს მოსახლეობა მილიონით შემცირდა“, სივილ ჯორჯია 8 მაისი, 2003 წ.

იხ.: <http://civil.ge/geo/article.php?id=3980>

¹⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;

იხ.: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/population/Population%20press_30.04.2015_Final_eng.pdf

¹⁶ მსოფლიო ბანკის მონაცემები, Bilateral migration matrix 2013 იხ.: <http://econ.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTDEC/EXTDECPROSPECTS/0,,contentMDK:22803131~pagePK:64165401~piPK:64165026~theSitePK:476883,00.html>

¹⁷ IDFI-ს საჯარო ინფორმაციის ანალიტიკური ბლოგი; „საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორა“, 1 მაისი, 2015 წ.

იხ.: <https://opendatablog.wordpress.com/2015/05/01/sazgvargarete-mcxovrebi-qartuli-diaspora>

გებს, რომლის მიხედვითაც, რუსეთში 158 995 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს.¹⁸ ბუნებრივია, აღწერის შედეგებში არ იგულისხმება მოქალაქეობის, რეგისტრაციისა და ჩანერის არმქონე, რუსეთში არალეგალურად მყოფი ქართველები, რომლებიც, რაოდენობით, სავარაუდოდ, არ ჩამოუვარდებიან, თუ არ აღემატებიან ლეგალურად მცხოვრები ქართველების რიცხვს, ამასთან აღრიცხვაში არ შედიან საქართველოდან წასული ეთნიკურად არაქართველებიც, რაც თავისთავად ამცირებს რაოდენობას.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქართული დიასპორის რაოდენობის თემა ხშირად პოლიტიკური გარჩევის საგანიც გამხდარა. რუსეთის ქართულ დიასპორასთან დამოკიდებულებები ყალიბდება რუსეთთან განსხვავებული მიდგომების პარალელურად – არსებობს ორი ტენდენცია: ის საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც 2012 წლის შემდგომ დაწყებული ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესის მიმართ სკეპტიკური ანდა კრიტიკული, ხისტი პოზიციით გამოირჩევიან, ხშირ შემთხვევაში ამტკიცებენ, რომ ქართული დიასპორის სიდიდე და მნიშვნელობა გაზვიადებულია მათ მიერ, ვინც რუსეთთან დიალოგის მომხრეა. მეორე მხრივ, რუსეთთან დიალოგის მომხრენი საკუთარი პოზიციის დასაცავად არგუმენტად იშველიებენ იმას, რომ რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქართული დიასპორაა, რომელიც მიუთითებს საქართველო-რუსეთს შორის ობიექტურ კავშირზე და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირების საჭიროებაზე.

სტატისტიკასთან დაკავშირებული დავა დიდხანს ვერ გადაწყდება, სანამ არ მოხდება ოფიციალურ დონეზე მასშტაბური და კომპლექსური რაოდენობრივი კვლევის ჩატარება, მანამდე კი შესაძლოა, დავჯერდეთ იმ მოცემულობას, რომ რუსეთში დღეს არსებობს დიდი ისტორიის მქონე ქართული დიასპორა, რომელსაც რაოდენობრივთან ერთად ხარისხობრივი დატვირთვაც აქვს – ეკონომიკურთან ერთად გააჩნია სხვა ტიპის პოტენციალიც, რომელიც, რა თქმა უნდა, არადათვლადია, თუმცა შესაბამისი სტრატეგიის არსებობის პირობებში ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია, როგორც ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების პროცესისთვის, ისე თავად საქართველოსთვის.

ამ შემთხვევაში, საუბარია იმაზე, რომ საკუთარი შინაარსითა და ხარისხობრივი მახასიათებლებით რუსეთის ქართული დიასპორა განსხვავდება მიგრანტთა უბრალო ერთობლიობისგან. აქ ერთიანდებიან ის ადამიანები, რომლებიც რუსეთის კულტურის, სპორტის, მეცნიერების, განათლების მედიცინის თუ სხვა წამყვანი სფეროების მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენენ. ისინი რუსეთის ფედერაციაში ფლობენ საკმაოდ დიდ სოციალურ და კულტურულ კაპიტალს (კავშირები, აღიარება, გავლენა, პრესტიჟი), რასაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა, გააჩნდეს დადებითი დატვირთვა ქართულ-რუსული ურთიერთობების ტრანსფორმაციაში. იგულისხმება დიასპორის როლის გაძლიერება ორ ქვეყანას შორის კულტურულ, ჰუმანიტარულ, სამეცნიერო თუ სხვა სახის თანამშრომლობაში, აგრეთვე ქართველი ბიზნესმენების მიერ საქართველოს ეკონომიკური ინტერესების ლობირება რუსეთის ბიზნეს სექტორში და სხვა...

2.3 რუსეთის ქართული დიასპორის წარმომავლობა

წარმომავლობის კუთხით რუსეთში მცხოვრებ დღევანდელ ქართველობას წარმოადგენს ძირითადად სამი სეგმენტისაგან შემდგარი დიასპორა:

1. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სხვადასხვა მიზეზით საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე გადასული ქართველები, რომლებიც, ბუნებრივია, იმდროისათვის არ ითვლებოდნენ ემიგრანტებად;

2. 90-იანი წლების ორი კონფლიქტის შედეგად დევნილებად ქცეული ქართველები;

3. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ – დღემდე რუსეთში წასული შრომითი მიგრანტები; დღეს საქართველოდან ემიგრირებულ თანამემამულეებს შევხვდებით რუსეთის ფედერაციის თითქმის ყველა რეგიონში, მათი სიმრავლე განსაკუთრებით შესამჩნევია მოსკოვში, პეტერბურგში, კრასნოდარის მხარეში, სტავროპოლსა თუ ჩრდილოეთის რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკა-

¹⁸ Российская перепись населения 2010, Национальный Состав Населения Российской Федерации; [ob.:http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010/croc/perepis_itogi1612.htm](http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010/croc/perepis_itogi1612.htm)

ში საკმაო რაოდენობის ქართველები ცხოვრობდნენ და ამასთან ერთად ეკავათ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თანამდებობები სხვადასხვა სფეროებში, იქნებოდა ეს პოლიტიკური ნომენკლატურა, თუ მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგი. გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა კავშირი ქმნიდა ერთიან სამეცნიერო-აკადემიურ კორპუსს, რომელშიც ინტეგრირდებოდნენ და ვითარდებოდნენ კავშირში შემავალი რესპუბლიკების გამოჩენილი მოღვაწეები, ამ სივრცეში საკუთარი საპატიო და პრესტიჟული ადგილი ეკავა საქართველოსაც. ასევე რუსეთში მოღვაწე ცნობილ ქართველებს შეხვდებოდათ კულტურისა და ხელოვნების დარგებში. 1989 წელს რუსეთში ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე 130 688 ქართველი ცხოვრობდა.¹⁹

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, 90-იან წლებში, გააქტიურებული მიგრაციის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა საქართველოში განვითარებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური რყევების შედეგად შექმნილი ცხოვრების გაუსაძლისი პირობები. აქ საუბარია ეკონომიკური და სოციო-პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესზე, რომელიც საქართველოში, ისევე როგორც მთელ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ქაოტურად მიმდინარეობდა. მასშტაბური და უკონტროლო პრივატიზაციის შედეგად ქვეყანაში მთლიანად ჩამოიშალა საქართველოს ეკონომიკის ორი ძირითადი ინდუსტრიული და აგრარული სექტორი, სადაც მოსახლეობის ფართო ფენა იყო დასაქმებული. 1995 წლისათვის წარმოება 1990 წლის დონესთან შედარებით 78%-ით შემცირდა.²⁰ მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა, მოსახლეობის გადინება კვლავ რჩება თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად, რაც ისევ და ისევ არამდგრადი ეკონომიკური გარემოთი, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლითა და სოციალური სფეროს დაბალი დონით აიხსნება. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მონაცემებით (The World Factbook) მიგრაციის მაჩვენებლით მსოფლიოს 222 ქვეყნიდან საქართველო იმყოფება მე-40 ადგილზე.²¹

როგორც უკვე ითქვა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოდან ემიგრაციის ძირითადი ნაკადი მიმართული იყო რუსეთის ფედერაციაზე. მოსახლეობის მიერ ამ უკანასკნელის დანიშნულების ადგილად არჩევას რამდენიმე მოვლენა განაპირობებდა. პირველ რიგში, აღსანიშნავია 1992-93 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომლის შედეგადაც აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უდიდესი უმრავლესობა დევნილად იქცა. დევნილების უმეტესობამ თავდაპირველად ბინა თბილისში დაიდო, თუმცა შემდგომ თბილისში ხანგრძლივი არასტაბილური ვითარების გამო დიდმა ნაწილმა ქვეყანა საერთოდ დატოვა. არაოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად რუსეთში 50 000-მდე აფხაზეთიდან დევნილი ეთნიკურად ქართველი დასახლა მათ შორის 30 000 – მოსკოვში.²²

მიუხედავად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საზღვრების მეტ-ნაკლებად გახსნისა, დევნილები დანიშნულების ადგილად მაინც რუსეთს ირჩევდნენ. ამას ჰქონდა თავისი მიზეზი, რაც გამოიხატებოდა კულტურულ და გეოგრაფიულ სიახლოვეში. საქართველოს გააჩნდა რუსეთთან ერთ პოლიტიკურ სივრცეში ცხოვრების გამოცდილება, რაც პოლიტიკურთან ერთად ქმნიდა საერთო ეკონომიკურ, საგანმანათლებლო, სოციო-კულტურულ სივრცეს, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ქართულ და რუსულ საზოგადოებებს შორის ფორმალური თუ არაფორმალური (ნათესაური, მეგობრული) კონტაქტების არსებობა. საქართველოდან ემიგრირებულ ქართველთაგან უმეტესობა ფლობდა რუსულ ენასა და გააჩნდა ქვეყნის, მისი მოსახლეობის – კულტურული თუ სოციალური ურთიერთობების თავისებურებების შესახებ წარმოდგენა, რაც მათ უადვილებდა ადაპტაციას, სამსახურის მოძიებას, განათლების მიღებას, საზოგადოებაში ინტეგრაციას და მეტ-ნაკლებად რეალიზებას. გარდა ამისა, მიგრაციას ამარტივებდა სამართლებრივი ბარიერების არარსებობაც, იგ-

¹⁹ Всесоюзная перепись населения 1989 года. Национальный состав населения по республикам СССР; [ობ.: http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_89.php?reg=1](http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_89.php?reg=1)

²⁰ „საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი,“ ფონდი „ლიბერალური აკადემია თბილისი,“ 2012წ. გვ.9. [ობ.:http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf](http://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf)

²¹ The world Factbook Net migration rate; Georgia;

[ობ.:https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/rankorder/2112rank.html#gg](https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/rankorder/2112rank.html#gg)

²² Комитет “Гражданское содействие,” Положение беженцев из Абхазии в Российской Федерации; 14 октября 2009 Г.

[ობ.: http://refugee.ru/material/polozhenie-bezhentsev-iz-abhazii-v-rossijskoj-federatsii/](http://refugee.ru/material/polozhenie-bezhentsev-iz-abhazii-v-rossijskoj-federatsii/)

ულისხმება, რომ იმ დროისათვის დსთ-ს ქვეყნებს შორის მოქმედებდა უვიზო მიმოსვლა, ხოლო ამ ქვეყნების მოქალაქეებს რუსეთში ცხოვრებისას არ ესაჭიროებოდათ რეგისტრაციის განსაკუთრებული წესები, ვინაიდან ისინი ფლობდნენ 1974 წელს გაცემული იმავე ტიპის პასპორტებს, რაც მოქმედებდა რუსეთის ფედერაციაშიც.²³ მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში როგორც რუსეთში, ისე საქართველოში შემოღებულ იქნა ეროვნული პასპორტები და დაიწყო ორ ქვეყანას შორის მიმოსვლის სამართლებრივი რეგულაციების დაწესება, რამაც გაართულა დევნილების მდგომარეობა რუსეთის ფედერაციაში, მათი უმრავლესობა დღემდე განაგრძობს იქ ცხოვრებას. ამ მხრივ, საინტერესო შეფასებას გვაძლევს დევნილების და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებზე მომუშავე რუსეთის „ურთიერთდახმარების სამოქალაქო კომიტეტი“.²⁴ 2009 წელს მათ მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, აფხაზეთიდან დევნილი ქართველების სამართლებრივი მდგომარეობის შეფასებისას შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ჯგუფი:

1. მძიმე მდგომარეობაში მყოფი – ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ქართველები, რომლებსაც აქვთ 1974 წლიდან – 1992 წლამდე აფხაზეთში გაცემული საბჭოთა ტიპის პასპორტები, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩანერის დამადასტურებელი შტამპით.

2. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში – პირები, რომლებსაც აქვთ ქართული პასპორტები ვიზის გარეშე ან საერთოდ პასპორტის არ მქონე ადამიანები, ძირითადად ახალი თაობა, რომელსაც დაბადების მოწმობის გარდა არაფერი არ გააჩნია ან ისინი, ვინც სამოქალაქო ომის ქაოსის დროს დაკარგეს პასპორტი ან უკვე რუსეთის ტერიტორიაზე მილიციის მიერ ჩამოერთვათ.

3. შედარებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მყოფნი – დევნილები, რომლებმაც 2001 წლიდან მიიღეს ვიზები, დარეგისტრირდნენ და რუსეთში ლეგალურად ცხოვრობენ, თუმცა არც მათი მდგომარეობაა სტაბილური, ვინაიდან ვიზები მხოლოდ 1 წლით გაიცემოდა და ყოველ ჯერზე დევნილებს უწევდათ ბიუროკრატიული პროცედურების ხელახლა გავლა.

და ბოლოს, თანამედროვე პერიოდში რუსეთში მცხოვრები ქართველების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს მთელი ქვეყნის მასშტაბით გასული შრომითი მიგრანტები წარმოადგენენ, რომლებიც უფრო მეტად სეზონურ ეკონომიკურ აქტივობას ეწევიან რუსეთში, საქმდებიან დაბალკვალიფიციურ და შედარებით დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე, რათა შეინახონ საქართველოში დარჩენილი ოჯახები. ამ მხრივ, ემიგრაციის ძირითადი ნაკადი უფრო მეტად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე მოდის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2008 წლის ომის შემდეგ სეზონური შრომისთვის სულ უფრო ნაკლები რაოდენობა მოსახლეობისა (სამცხე-ჯავახეთის გამოკლებით) ირჩევს რუსეთს და მეტი რაოდენობა მიემგზავრება თურქეთში.²⁵

2.4 რუსეთის ქართული დიასპორის ფინანსური გავლენა და ეკონომიკური პოტენციალი

რუსეთის ქართული დიასპორა ქართული საზოგადოების ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ საკუთარი სიდიდისა თუ ხარისხობრივი მახასიათებლების გამო, არამედ იმიტაც, რომ რუსეთის ქართველთა დიასპორის არსებობა და გავლენა საქართველოზე ყველაზე უკეთ ვლინდება მის მიერ განხორციელებულ ფულად გზავნილებში. თუმცა ეს არის ის ობიექტურად განპირობებული მოცემულობა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყოველთვის იარსებებს, მიუხედავად იმისა – ექნება თუ არა საქართველოს ხელისუფლებას დიასპორაზე მიმართული რაიმე სახის პოლიტიკა. დიასპორის სახელმწიფოსთვის სტრატეგიული დანიშნულების გაანალიზება და შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვა საჭიროა, რათა გამოვლენილ იქნას დიასპორის ისეთი ეკონომიკური პოტენციალიც, როგორცაა: დიასპორის მიერ ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციები და აგრეთვე დიასპორის, როგორც ინფორმაციის მონოდებისა და გავრცელების წყაროს ფუნქცია. განვიხილოთ თითოეული.


1. **რუსეთის ქართული დიასპორის ფულადი გზავნილები** – საქართველოში ყველაზე დიდი ოდენობით ფინანსური გადმორიცხვები რუსეთში მცხოვრებ ქართველ თანამემამულეებზე მოდის – საქართველოს მშპ-ში საგარეო ფულადი გზავნილები საშუალოდ 10-12%-მდე მერყეობს,

²³ Комитет “Гражданское содействие.” Положение беженцев из Абхазии в Российской Федерации; 14 октября 2009 Г. <http://refugee.ru/material/polozhenie-bezhentsev-iz-abhazii-v-rossijskoj-federatsii/>

²⁴ იქვე.

²⁵ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიში: „საქართველოს დიასპორა და მიგრანტთა გაერთიანებები გერმანიაში საბერძნეთსა და თურქეთში; ტრანსნაციონალური რეალობა და კავშირები საქართველოსთან,“ აპრილი 2014 წ. გვ16. http://migration.commission.ge/files/full_version_web_ge.pdf

საიდანაც ყველაზე დიდი წილი, მაგალითად, 2014 წელს 49.2% რუსეთის ფედერაციაზე ფიქსირდება.²⁶ ამგვარ ეკონომიკურ სარგებელს სახელმწიფო იღებს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. თუმცა არსებობს ობიექტური პროცესებიც, რაზეც სახელმწიფო გავლენას ვერ ახდენს, მაგალითად 2014 წლის შემოდგომაზე საქართველოში დაწყებული ლარის გაუფასურება მოხდა რუსეთში ეკონომიკური კრიზისისა და რუბლის გაუფასურების ფონზე. რუსეთიდან გზავნილები 2014 წელს 11.5%-ით შემცირდა.²⁷ (იხ. გრაფიკი) სწორედ ეს უკანასკნელი, სხვა დანარჩენ მიზეზებთან ერთად, სახელდება ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად. ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ, მიუხედავად დიპლომატიური კავშირების არარსებობისა და რუსეთთან საკმაოდ მწირი ეკონომიკური ურთიერთობებისა, საქართველოს ეკონომიკა დიასპორის გავლით მაინც იმყოფება რუსეთის ეკონომიკასთან გარკვეულ დამოკიდებულებაში.



ფულადი გზავნილები საქართველოში 2008-2014 წლებში
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2. დიასპორა, როგორც პოტენციური მაინვესტირებელი ქვეყნის ეკონომიკაში – რუსეთის ფედერაციაში დღეს ბევრი ქართველი ბიზნესმენი მოღვაწეობს, რომელთაც დიდი კაპიტალი გააჩნიათ და რუსეთის ფინანსურ სექტორში იკავებენ გარკვეულ ადგილს. ამ საკითხის განხილვისას საინტერესოა „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ (EPRC) მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული დიასპორის პოტენციალის შესწავლას საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. როგორც კვლევამ აჩვენა, შერჩეული 7 ქვეყნის დიასპორიდან (აშშ, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, რუსეთი, იტალია, ესპანეთი და საბერძნეთი) კაპიტალის მოცულობით პირველ ადგილზე რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები გამოირჩევიან.²⁸ ისინი საქმიანობენ ძირითადად საბანკო სექტორში, სერვისის სფეროში (სარესტორნო ქსელები, საკვები პროდუქტების წარმოება) მშენებლობასა და სანავთობო ბიზნესში.²⁹

მიუხედავად ამისა, მათი ეკონომიკური აქტიურობა საქართველოს მიმართულებით სუსტია და ძირითადად დამოკიდებულია ინდივიდუალურ ინიციატივებზე. განსაკუთრებით 2008 წლის ქართულ-რუსული კონფლიქტის შედეგად რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი ინვესტიციების წილმა იკლო – 2014 წლის მონაცემებით იგი 6%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა). მოცემული 6% დან რამდენი მოდის ეთნიკურად ქართველი ბიზნესმენების ინვესტიციებზე, ამგვარი მონაცემი, არ მოგვეპოვება, თუმცა შესაძლოა დასახელდნენ ცალკეული პირები, რომ-


²⁶ „საქართველოში ფულადი გზავნილები 2014 წელს 2.4%-ით შემცირდა,“ სივილ ჯორჯია, თბილისი, 22 იანვარი, 2015წ. იხ.: <http://civil.ge/geo/article.php?id=29047>

²⁷ იქვე.

²⁸ Economic policy research centre, Georgian_Diaspora_Study, 2012, p.46, იხ.: http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/GIZ_Georgian_Diaspora_Study_A4_Book_Print.pdf

²⁹ იქვე.

ლებიც განსაკუთრებით 2012 წლის არჩევნების შემდგომ ახერხებენ მცირე თუ საშუალო ოდენობის კაპიტალ-დაბანდებებს ქართულ ბაზარზე. ასეთია, მაგალითად: პეტერბურგში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი ბადრი კაკაბაძე, რომელმაც ქუთაისში მდებარე ძველი სასტუმრო „ქუთაისის“ შენობა შეისყიდა და 2015 წლის დასაწყისიდან ახორციელებს მის რეაბილიტაციას. ასევე აღსანიშნავია ქართულ ბაზარზე სანვავის რეალიზატორი კომპანია „გალფი“, რომლის საკონტროლო პაკეტს რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი ფლობს. თუმცა ეს უკანასკნელი ვერ დასახელდება ეკონომიკური თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითად, ვინაიდან კომპანია „გალფი“ 2015 წლის ზაფხულში კონკურენციის სააგენტოს მიერ დაჯარიმდა 11,26 მილიონი ლარით. როგორც გაირკვა, კომპანია სხვა უმსხვილესი სანვავის რეალიზატორებთან ერთად „შეთანხმებული ფასით“ მოქმედებდა, რითაც მნიშვნელოვნად აზარალებდა ქართველ მომხმარებლებს.³⁰



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ როდესაც საუბარია პირდაპირ ინვესტიციებზე აქ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ინვესტიციების ხარისხობრივი მახასიათებლები. არსებობს მოკლევადიან ეფექტზე გათვლილი ინვესტიციები, ძირითადად ეკონომიკის ფინანსურ სექტორსა და სერვის სექტორში. ამ შემთხვევაში ორმხრივ თანამშრომლობაზე უფრო მეტად ცალმხრივი ეკონომიკური ინტერსი იკვეთება, მაგალითად, კონკრეტულ ქვეყანაში ბაზრის ათვისება ადგილობრივი კონკურენტების ჩამოშორებით. მეორე მხრივ, არსებობს გრძელვადიანი ინვესტიციები ეკონომიკის ე.წ. „მსხვილ“ სექტორში: ეს არის ძირითადად აგრარული სექტორი, წარმოება და ინდუსტრია. ამ სფეროში განხორციელებული ინვესტიციები ითხოვს უფრო მეტი მაღალკვალიფიციური მუშახელის განვითარებას, მასობრივად ქმნის სამუშაო ადგილებსა და ნაწილობრივ ავითარებს ქვეყნის ინფრასტრუქტურასაც.

გარდა ამისა, პირდაპირი ინვესტიციები და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ საუბარია ქართული დიასპორის როლზე ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების პროცესში, ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია იმ პოტენციალის კვლევა და გაანალიზება, რაც რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს ამ მიმართულებით გააჩნიათ. კერძოდ, რამდენადაა შესაძლებელი, რომ ქართველმა ბიზნესმენებმა ე.წ. მედიატორის როლი ითამაშონ საქართველო-რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების წარმოებაში, მოახდინონ საქართველოს ეკონომიკური ინტერესების ლობირება ადგილობრივ დონეზე შესაბამისი ასოციაციებისა და ინსტიტუტების დაარსებით.

3. დიასპორა, როგორც ცოდნის გამავრცელებელი – რუსეთის ქართული დიასპორის ამ პერსპექტივიდან გაანალიზება უკავშირდება იმას, თუ რამდენადაა თავად რუსეთის ეკონომიკა ცოდნაზე, იგივე სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესზე დაფუძნებული. თუ საქართველოში საუბარ-

³⁰ „სოკარი და გალფი კონკურენციის სააგენტოს მიერ დაკისრებულ მრავალმილიონიან ჯარიმებს აპროტესტებენ,“ Civil Georgia, Tbilisi ; 18 ივლისი, 2015წ.

ია მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებასა და ცოდნის ეკონომიკის დაფუძნებაზე, რა თქმა უნდა, საკმარისი ვერ იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი მეცნიერების მოზიდვა და მათი ინტელექტუალური პოტენციალის ჩართვა, თუმცა ამ რესურსის უგულვებლყოფა სახელმწიფოს მხრიდან ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა. ამისთვის საჭიროა, რომ სახელმწიფომ მოახდინოს ადგილობრივი თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფ მეცნიერებს შორის სამეცნიერო, ჰუმანიტარული და კულტურული თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზირება ურთიერთკავშირებისა და თანამშრომლობის ფორმატების შექმნით სამეცნიერო პროექტების დაფინანსებით, კვლევით-სამეცნიერო პროცესში მათი ჩართვით.

აღსანიშნავია, რომ დღეს ქართველ მეცნიერთა უმეტესი ნაწილი აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მოღვაწეობენ და ამას აქვს შესაბამისი მიზეზები, როგორებიცაა: ამ მიმართულებით სამეცნიერო გრანტების სიუხვე და ყველა დარგის მეცნიერისთვის დასავლური სამეცნიერო-აკადემიური სივრცის მიმზიდველობა. როგორც ცნობილია, საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოდან წასული 350-მდე მეცნიერი მოღვაწეობს, მათგან 120 საგრანტო დაფინანსების წყალობით, რომელთაგანაც პროექტების 80% ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისკენაა მიმართული.³¹

თანამედროვე პერიოდში რუსეთის ფედერაციის ფარგლებში ძირითადად გვხვდებიან ის ქართული წარმოშობის მეცნიერები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოღვაწეობდნენ რუსეთში და დღემდე წარმოადგენენ რუსეთის სამეცნიერო სივრცის თუ წამყვანი დარგების გამოჩენილ სპეციალისტებს, ასეთია, მაგალითად, მედიცინის სფეროს მოღვაწეები: ლეო ბოკერია – აკადემიკოსი, კარდიო-ქირურგი, (ბაკულების სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი); ანზორ ხუბუტია – ექიმი-ტრანსპლანტოლოგი, (სკლიფასოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტის დირექტორი); ზურაბ ორჯონიკიძე – რუსეთის სპორტული მედიცინის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დირექტორი; დავით იოსელიანი – მოსკოვის მთავარი კარდიო-ქირურგი და სხვა... ცნობილი ქართველი არქიტექტორის ნოდარ ყანჩელის დაპროექტებულია მოსკოვში ისეთი შენობები, როგორებიცაა: ოსტანკინოს ტელე-ცენტრი, მაცხოვრის ტაძრის გუმბათი, მიწისქვეშა კომპლექსი „სამონადირეო რიგები“, რუსეთში მოღვაწეობს ცნობილი მოქანდაკე ზურაბ წერეთელი, რუსეთში ქართულ დიასპორას წამოადგენენ კულტურის სფეროს მოღვაწეებიც: თამარ გვერდნიელი, ნიკოლოზ ცისკარიძე, ელისო ვირსალაძე და სხვა მრავალი. ეს და სხვა ეთნიკურად ქართველი რუსეთში მოღვაწე ცნობილი და წარმატებული ფიგურები, რომელთაც აქვთ ფართო აღიარება და გარკვეული სახის გავლენა რუსულ საზოგადოებაში, მიუთითებენ დიდ პოტენციალზე, რაზე დაყრდნობითაც შესაძლოა, მოხდეს ქართული დიასპორის გაძლიერება. მათთან ინტერაქციის გაძლიერება სხვადასხვა ფორმატების მეშვეობით, იქნება ეს დიასპორული ფორუმები, სამეცნიერო კონფერენციები, პროფესიული შეხვედრები, ასოციაციათა დაარსების ხელშეწყობა თუ სხვა, საქართველოს ხელისუფლებისთვის წარმოადგენს რუსეთის ქართულ საზოგადოებასთან დაახლოების, კომუნიკაციის გაძლიერებისა და თანამშრომლობის ერთგვარ არხს, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა, გარდაიქმნას პოზიტიურ ინსტრუმენტად საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში.

³¹ „ქართული მეცნიერება საზღვრებს გარეთ აქტიურად გადის,“ 09 ივნისი, 2014 წ. იხ.: http://zeti.ge/menu_id/3/id/116/

3. რუსეთში არსებული ქართული დიასპორული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა

რუსეთში ქართული დიასპორული ორგანიზაციების აღმოჩენა და მათი საქმიანობის შესწავლა მოხდა ძირითადად ღია წყაროებზე დაკვირვებისა და წამყვანი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩანერილი სიღრმისეული ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ რუსეთის თანამედროვე ქართული დიასპორის თემაზე ქართული სამეცნიერო-ანალიტიკური ლიტერატურა ძალიან მწირია, ამ მხრივ, არსებობს მხოლოდ 2007 წელს თსუ-ს მაგისტრანტის ქეთევან ჩალათაშვილის მიერ დაცული დისერტაცია რუსეთში ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, რომელიც საკმაოდ ინფორმაციული გამოდგა კვლევისთვის.

წინამდებარე ანგარიში, რესურსების შეზღუდულობიდან გამომდინარე, ვერ მოიცავს რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა დიასპორულ ორგანიზაციასა და გაერთიანებას. აქცენტი მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და ჩრდილო-ოსეთში არსებულ ორგანიზაციებზე კეთდება, შესაბამისად კვლევის ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებების გენერალიზება რუსეთის მთელ ქართულ დიასპორაზე არამართებული იქნება. ზემოხსენებულ ღია წყაროებზე დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციათა რაოდენობა მთელი რუსეთის მასშტაბით არც თუ ისე მცირეა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ორგანიზაციათა უმეტესობა თანამედროვე პერიოდში არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული აქტივობით და მხოლოდ ქალაქებში არსებობს.

მოკლე რეზიუმე

ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის 25 წლიანი პერიოდის გაანალიზებისას შესაძლოა, გამოიკვეთოს რამდენიმე ძირითადი ტენდენცია. აქ საყურადღებოა ის ობიექტური ფაქტორები და გარემო პირობები, რომლებმაც ბიძგი მისცეს ორგანიზაციათა დაფუძნებას და განსაზღვრეს მათი იდეური საფუძვლები თუ საქმიანობის მიმართულებები. დიასპორის გააქტიურება, უმეტეს შემთხვევაში, ხდებოდა როგორც საქართველოში, ისე რუსეთის ფედერაციაში სხვადასხვა დროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გავლენით. ამ მხრივ, შესაძლოა გამოვყოთ დიასპორული ორგანიზაციების დაარსების 3 ძირითადი წყალგამყოფი მოვლენა:

1. **90-იანი წლები და დამოუკიდებლობის აღდგენა** – ამ პერიოდში რუსეთის ქართულ საზოგადოებაში დიასპორული ორგანიზაციების შექმნის ინიციატივას ბიძგი მისცა ისეთმა ტრაგიკულმა მოვლენებმა როგორებიც იყო: 1989 წლის 9 აპრილის დარბევა, ეთნიკური კონფლიქტები და მათ შედეგად რუსეთის ტერიტორიაზე დევნილი ეთნიკური ქართველების გაჩენა. დაკვირვებიდან ჩანს, რომ ამ ორგანიზაციების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ რუსეთში ხანგრძლივად მცხოვრები სხვადასხვა პროფესიის ქართველები, რომელთაგან უმეტესობა რუსეთის ინტელიგენციის რიგებსაც განეკუთვნებოდა. მათ კარგად იცნობდნენ რუსეთის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ წრეებში და გარკვეული გავლენითა და პრესტიჟითაც სარგებლობდნენ, სწორედ ამის წყალობით ახერხებდნენ მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელებას. ამ დროს დიასპორის მიმართ წარმოებული საქმიანობა არ იყო მხოლოდ ენისა და კულტურის შენარჩუნება-გავრცელებაზე მიმართული, არამედ სამოქალაქო-პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა, ამისი მაგალითია: დევნილთა პრობლემებზე ზრუნვა, საჯარო თავყრილობების ორგანიზება, მნიშვნელოვან საკითხებზე სამოქალაქო პოზიციების დაფიქსირება, რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში გარკვეული სახის მონაწილეობა, იქნებოდა ეს საჯარო განხილვების ორგანიზება, მცირემასშტაბიანი აქციები, თუ სამთავრობო შენობების პიკეტირება. თუმცა ეს ორგანიზაციები არ ასოცირდებოდნენ არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან, ამავდროულად სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ როგორც საქართველოს, ისე რუსეთის იმდროინდელ ხელისუფლებასთან.

როგორც კვლევიდან ჩანს, 2000-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან ამ ტიპის ორგანიზაციათა საქმიანობა სუსტდება, რაც შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო, როგორც გაერთიანებათა

შიდა ორგანიზაციული კრიზისით („რუსეთის ქართველთა საზოგადოების“ შემთხვევაში, ორგანიზაციის დამფუძნებლის გარდაცვალება), ისე გარე პროცესებით. ამ უკანასკნელში იგულისხმება 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, ერთი მხრივ, ქართულ-რუსული ურთიერთობების თანდათანობითი გაუარესება, რაც შესაბამის გავლენას ახდენდა რუსეთში მცხოვრებ ქართველებზე, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციაში პოლიტიკური თუ სამოქალაქო სივრცის თანდათანობითი ცენტრალიზაცია, რომლის დროსაც დიასპორულ ორგანიზაციათა სამოქალაქო საქმიანობის არეალი ნელ-ნელა მცირდება და რჩება მხოლოდ ერთი მიმართულების აქტივობის განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც კულტურული სადამოების მონყობას, ქართული ენის შენარჩუნებაზე ზრუნვას და ინდივიდუალურ დონეზე ერთმანეთის დახმარებას გულისხმობს.

2. 2003 წლის ვარდების რევოლუცია – ამ მოვლენამ განსაკუთრებული გავლენა იქონია რუსეთის დიასპორის ქართველებზეც. მათში გააჩინა ახალი მოლოდინები საქართველოსა თუ ქართულ-რუსული ურთიერთობების მიმართ, რაც საბოლოოდ გამოიხატა ახალი დიასპორული ორგანიზაციების დაარსებაში. ამ ორგანიზაციათა განსაკუთრებული თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათ ჰქონდათ გარკვეული არაფორმალური კავშირები საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებასთან და იზიარებდნენ ამ დროს ქართულ პოლიტიკურ ელიტაში არსებულ პოზიციებს, ზოგადად რუსეთისა თუ ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ. მათ პერიოდულად ჰქონდათ მცდელობა იმისა, რომ კულტურულ საქმიანობასთან ერთად განეხორციელებინათ პოლიტიკური აქტივობებიც, მაგალითად, რუსეთის მხრიდან ქართველთა მასიური დეპორტაციის გასაპროტესტებლად მოწყობილი მცირემასშტაბიანი აქციები და მწვავე განცხადებები ამ თემაზე. თუმცა ეს მცდელობები ძალიან სუსტი და უშედეგო იყო. საინტერესოა, რომ ამ ორგანიზაციათა თანდათანობითი გაუქმება მოხდა 2008 წლის ომისა და მოგვიანებით საქართველოში ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად. ამასთან 2003 წელს შექმნილი ერთ-ერთი გაერთიანება დღეს საქართველოში მოქმედებს, როგორც ახალგაზრდული არსამთავრობო ორგანიზაცია.

3. 2007 წლის შემდეგ გაჩენილი დიასპორული ორგანიზაციები – თუ დავაკვირდებით ქართულ-რუსული ურთიერთობების განვითარების დინამიკას, განსაკუთრებით 2006 წლიდან ქვეყნებს შორის პოლიტიკური სიტუაცია დაძაბულ ფაზაში შედის. ერთი მხრივ, საქართველოს მხრიდან რუსეთის მიმართ რიტორიკა მკაცრდება, პოლიტიკურ დისკურსში რუსეთი ცალსახად იძენს „საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის მტრის“ სახელს, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის მხრიდან ხდება იქ მცხოვრები არალეგალი ქართველების მასობრივი გამოძევება. სწორედ ამ პერიოდში შექმნილი ორგანიზაციები („ქართველთა კავშირი რუსეთში“, „ქართველთა კონგრესი“ და სხვა) გამოირჩევა იმით, რომ ორგანიზაციის დაფუძნების ინიციატორები არა იმდენად დიასპორის რიგითი წევრები, ინტელიგენცია ან საინიციატივო ჯგუფები გვევლინებიან, რამდენადაც ცალკეული პიროვნებები, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების სახით. მათგან უმრავლესობა რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული პირი იყო და გამოირჩეოდა პოლიტიკური განცხადებებით, ზოგიერთ შემთხვევაში იყო მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ამბიციებიც. ეს ყოველივე ქართულ საზოგადოებაში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა. მიუხედავად ამისა, ამ დროისთვის დაარსებულ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი „რუსეთის ქართველთა“ კავშირი თავისი არსებობის მანძილზე მაინც ახერხებდა რუსეთის ქართველთა გარკვეული ნაწილის გააქტიურებას, ძირითადად კულტურული, საგანმანათლებლო და ჰუმანიტარული მიმართულებით. ეს იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ქართულ მედია თუ საჯარო სივრცეში ჩანდა, როგორც რუსეთში არსებული ქართული დიასპორის წარმომადგენელი. კვლევის მიმდინარეობისას მოულოდნელად ცნობილი გახდა ამ ორგანიზაციის გაუქმების შესახებ.

ახალგაზრდული ქმედითი ორგანიზაციები მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის მასშტაბით არ ფიქსირდება, თუმცა არსებობს სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი ახალგაზრდული გაერთიანებები. ისინი ძირითადად საუნივერსიტეტო სივრცეში სხვა ეროვნების სტუდენტებთან ერთად ეწევიან საკუთარი კულტურის რეპრეზენტაციას.

თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მცირე გაერთიანებას, რომელიც განიცდის როგორც მატერიალურ, ისე ადამიანურ რესურსის სიმცირეს, შეიძლება ითქვას, რომ დღეს რუსეთის ქართულ დიასპორაში ფაქტიურად არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მოახდენდა რუსეთის ქართული საზოგადოების ფართო ფენების ინტეგრირებას, საკუთარ საქმიანობას წარმართავდა არა მხოლოდ

კულტურისა და ენის შენარჩუნება-გავრცელებაზე, არამედ ისეთ აქტივობებზე, რომლის მეშვეობითაც რუსეთში მცხოვრებ ქართველებს შეეძლებოდათ საკუთარი ინტერესების დაცვა და მეტი კავშირის დამყარება როგორც ერთმანეთს, ისე საქართველოსთან.

3.1. 1990-იან წლებში შექმნილი ორგანიზაციები და მათი დღის წესრიგი

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პირობებში, რუსეთში არსებობდა იქ მცხოვრები ქართველების მიერ შექმნილი ორგანიზაციები, თუმცა მათ უფრო მეტად კულტურული დატვირთვა გააჩნდათ. ასეთი იყო, მაგალითად, 1987 წელს სრულიად რუსეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოსკოვის განყოფილებასთან დაფუძნებული პირველი ქართული საზოგადოება – რუსეთსა და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის გაერთიანება „ძალისა“, რომელიც 1992 წლის რეორგანიზაციის შედეგად გარდაიქცა „რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება ძალისად“. ეს ორგანიზაცია ზრუნავდა რუსეთში არსებული ქართული კულტურული ძეგლების შენარჩუნებაზე.

პირველი დიასპორული ორგანიზაციები, რომლებიც კულტურულზე მეტად პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივობებს ახორციელებდნენ, გაჩნდნენ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები დიდ ვნებათა ლეღვას იწვევდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებშიც. ამ საზოგადოებრივი გაერთიანებებისთვის თავდაპირველად დამახასიათებელი იყო, ძირითადად, მიუსაფარი ლტოლვილი ქართველებისთვის მოკლევადიანი, ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, მათ ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვა. თუმცა 90-იანი წლების შუა ხანებიდან რუსეთსა და საქართველოს შორის განვითარებული პროცესების პარალელურად უკვე შეიმჩნევა ამ გაერთიანებების მეტი აქტივობები პოლიტიკური მიმართულებით.³²

„მოსკოვის ქართველთა სათვისტომო“ – სწორედ 9 აპრილის ტრაგედია დაედო საფუძვლად ამ ორგანიზაციის აღმოცენებას. აპრილის მოვლენების შემდეგ, მოსკოვში შედგა ქართველების საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანიც იყო რუსული საზოგადოებისთვის და ადგილობრივი ქართველობისთვის მიენოდებინა ინფორმაცია 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული მოვლენების შესახებ. ამისთვის ჯგუფი აწყობდა 9 აპრილს გადაღებული ვიდეო მასალების ჩვენებას, შეხვედრებს ქართველ დეპუტატებთან და რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ასევე ჯგუფი ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა საპროტესტო აქციების.³³

საინიციატივო ჯგუფმა ორგანიზაციული სახე მოგვიანებით მიიღო, როდესაც ჩატარდა პირველი კრება, რომელსაც 850 ადამიანი ესწრებოდა და, რომელზეც არჩეულ იქნა მმართველი ორგანო, 15 კაცისგან შემდგარი „დარბაზი“, თავმჯდომარე – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დავით თაბაგარი და მდივანი – თამარ რევაზიშვილი. ამასთან დარბაზის სხდომები, ძირითადად, ტარდებოდა საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში“ მანამდე, სანამ 1990 წელს საქართველოს წარმომადგენლობის მოთხოვნით სათვისტომოს გამოეყო ცალკე შენობა არბატის ქუჩაზე.³⁴ ბოლო პერიოდში სათვისტომოს პრეზიდენტი იყო თემურ სტურუა, ვიცე პრეზიდენტები: ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დავით ბერიტაშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი როინ კონჯარია. აღსანიშნავია, რომ რუსეთში ცხოვრების განმავლობაში „ქართველთა სათვისტომოს“ წევრები იყვნენ *კახა ბენდუქიძე* და *კახა ლომია*, რომლებმაც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რუსული დიასპორიდან გადაინაცვლეს ახლადარჩეული ხელისუფლების რიგებში.

და პირველი კრება, რომელსაც 850 ადამიანი ესწრებოდა და, რომელზეც არჩეულ იქნა მმართველი ორგანო, 15 კაცისგან შემდგარი „დარბაზი“, თავმჯდომარე – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დავით თაბაგარი და მდივანი – თამარ რევაზიშვილი. ამასთან დარბაზის სხდომები, ძირითადად, ტარდებოდა საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურში“ მანამდე, სანამ 1990 წელს საქართველოს წარმომადგენლობის მოთხოვნით სათვისტომოს გამოეყო ცალკე შენობა არბატის ქუჩაზე.³⁴ ბოლო პერიოდში სათვისტომოს პრეზიდენტი იყო თემურ სტურუა, ვიცე პრეზიდენტები: ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დავით ბერიტაშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი როინ კონჯარია. აღსანიშნავია, რომ რუსეთში ცხოვრების განმავლობაში „ქართველთა სათვისტომოს“ წევრები იყვნენ *კახა ბენდუქიძე* და *კახა ლომია*, რომლებმაც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რუსული დიასპორიდან გადაინაცვლეს ახლადარჩეული ხელისუფლების რიგებში.

³² ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ქეთევან ჩალათაშვილი, „ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში“, თბილისი; 2006წ. გვ 49.

იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000013/Disertacia.Ch.pdf>

³³ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ქეთევან ჩალათაშვილი, „ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში“, თბილისი; 2006წ. გვ 56. იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000013/Disertacia.Ch.pdf>

³⁴ იქვე.

როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელთან საუბარში ირკვევა, თავდაპირველად ორგანიზაცია აერთიანებდა რამდენიმე ათასს ადამიანს, თუმცა დროთა განმავლობაში ეს რაოდენობა შემცირდა და დღევანდელ ძირითად ბირთვს 30-მდე წევრი წარმოადგენს.

ორგანიზაციის წესდების მიხედვით, „ქართველთა სათვისტომოს“ მიზანი იყო: „ორგანიზაციის წევრების ძალთა გაერთიანება საქართველოდან იძულებით წამოსული მოქალაქეების კულტურული, სოციალური და რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მათი ნაციონალური თვითიდენტიფიკაციის შესანარჩუნებლად და აგრეთვე ქართული კულტურის, ენის, წეს-ჩვეულებების პროპაგანდა და სხვა ხალხებთან მეგობრობის განმტკიცება“.³⁵

საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით, სათვისტომომ აქტიური მონაწილეობა მიიღო არბატის ქუჩაზე მდებარე ქართული სკოლა-ლიცეუმის გახსნაში. ორგანიზაციასთან გამუდმებით ფუნქციონირებდა ქართული ენის შემსწავლელი კურსები, აგრეთვე ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა მოსკოვის ქართულ სათვისტომოსთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ლომისი“, რომელიც დღემდე განაგრძობს მოღვაწეობას.³⁶ სათვისტომოს ვებ-გვერდზე ასევე ნახსენებია, რომ ორგანიზაციის აქტიური მუშაობის შედეგად მოხერხდა ნმ. გიორგის სახელობის მოსკოვის ქართული ეკლესიის აღდგენა.

სათვისტომოს ვებ-გვერდიდან ასევე ირკვევა, რომ ორგანიზაცია საქველმოქმედო ღონისძიებებსაც ახორციელებდა, მაგალითად 1991 წელს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის სათვისტომომ 11 თვითმფრინავი ჰუმანიტარული დახმარება გაგზავნა.³⁷

სათვისტომოს აქტივობები 2003-2004 წლების შემდგომ შედარებით მცირდება, 2005 წელს მოხდა საქართველოს მფლობელობაში არსებული „მზიურის“ შენობისა და არბატის ქუჩაზე არსებული სხვა შენობების გაყიდვა, რის შედეგადაც სათვისტომომ აღმოჩნდა ღია ცის ქვეშ. დღეს მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს საკუთარი აქტივობებიდან შემორჩა ფოლკლორული ანსამბლი „ლომისი“ და ქართული ენის შემსწავლელი პერიოდული კურსები.

„ეს ეკლესია სულ თავიდან ჩვენ აღვადგინეთ... ჩვენი ორგანიზაციის პრეზიდენტი თემურ სტურუა იყო, რომელმაც თავის თავზე აიღო 91 წლიდან ამ ეკლესიის აღდგენის ყველა საკითხი. მოგეხსენებათ, იქ იყო მარტო კედლები...თუმცა ჩვენამდეც ბევრი ცდილობდა ქართული ეკლესიის აღდგენას, მაგრამ ჩვენ ასე ვთქვათ, უფრო გაგვიღიმა ბედმა, იმიტომ რომ ეკლესია გადაეცა მრევლს...ორმოცდაათამდე სატვირთო მანქანა ნავაზი გავიტანეთ იქიდან“.
მოსკოვის ქართველთა სათვისტომო

სათვისტომოს აქტივობები 2003-2004 წლების შემდგომ შედარებით მცირდება, 2005 წელს მოხდა საქართველოს მფლობელობაში არსებული „მზიურის“ შენობისა და არბატის ქუჩაზე არსებული სხვა შენობების გაყიდვა, რის შედეგადაც სათვისტომომ აღმოჩნდა ღია ცის ქვეშ. დღეს მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს საკუთარი აქტივობებიდან შემორჩა ფოლკლორული ანსამბლი „ლომისი“ და ქართული ენის შემსწავლელი პერიოდული კურსები.

„ქართველთა საზოგადოება რუსეთში“ – ეს იყო ნებაყოფლობითი თვითმართვადი საგანმანათლებლო საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც ასევე 1989 წლის შემდეგ დაფუძნდა. ამ ორგანიზაციას საკმაოდ კარგად გამოკვეთილი სტრუქტურა და რეგიონალური ორგანიზაციები გააჩნდა, ამასთან ორგანიზაციის სათავეში იდგნენ ქართული დიასპორის საკმაოდ გავლენიანი წარმომადგენლები. საზოგადოების პირველი პრეზიდენტი იყო ივერი ფრანგიშვილი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი, ვიცე პრეზიდენტი სევერიან ცაგარეიშვილი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი. ორგანიზაციის სტრუქტურა შედგებოდა საორგანიზაციო-საკოორდინაციო, კულტურისა და ხელოვნების, სამედიცინო-გამაჯანსაღებელი, სოციალური დაცვის, მეცნიერებისა და განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის, სარედაქციო-საგამომცემლო, ეკონომიკური სექტორებისა და პრესცენტრისგან.³⁸

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ძირითად მიზნებს წარმოადგენდა ქართული კულტურის, ენისა და ტრადიციების შენარჩუნება, ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლა, საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობა და გამომცემლობა, 90-იანი წლების დასაწყისში „ქა-

³⁵ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ქეთევან ჩალათაშვილი, „ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში“ თბილისი 2006წ. გვ 56.

იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000013/Disertacia.Ch.pdf>

³⁶ მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს ვებ-გვერდი; მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს ისტორიიდან;

იხ.: http://www.mgz.ru/MGZ_Site_G/MGCommunity.htm

³⁷ „მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს ისტორიიდან“, იხ.: http://www.mgz.ru/MGZ_Site_G/MGCommunity.htm

³⁸ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ქეთევან ჩალათაშვილი, „ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში“ თბილისი 2006წ. გვ 62.

იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000013/Disertacia.Ch.pdf>

რთველთა საზოგადოებისთვის“ მთავარ საზრუნავს მაინც იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების აღმოჩენა წარმოადგენდა.

ამასთან აფხაზეთის თემაზე ორგანიზაციის ინიციატივით ენყობოდა „მრგვალი მაგიდის“ განხილვებიც. ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო პროცესებში, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებსა თუ საქართველოში არსებულ მოვლენებზე ორგანიზაციის წევრები, თითქმის ყოველთვის, აფიქსირებდნენ გარკვეულ პოზიციებს, რომლებიც იმ დროისთვის გაზეთ „იზვესტიამი“ იბეჭდებოდა.

ასევე საკმაოდ მასშტაბური იყო საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. როგორც ირკვევა, საზოგადოება ორგანიზებას უწევდა ქართული ენის შემსწავლელ და საქართველოს ისტორიის შემსწავლელ კურსებს, ქორეოგრაფიულ ანსამბლს, ასევე ინტენსიურად ატარებდა ქართული კულტურის გავრცელებისა და პოპულარიზაციისთვის საღამოებს ფართო აუდიტორიისთვის, სადაც მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ ქართული დიასპორის წარმომადგენლები, არამედ რუსული საზოგადოებაც და მოსკოვში მყოფი სხვა დიასპორების წარმომადგენლები.

„იცით, რა მომწონდა ყველაზე მეტად... ღონისძიებებს ვაკეთებდით დიდ დარბაზებში, მაგალითად, ჭავჭავაძის საღამოზე დავპატიუთ სხვა დიასპორებიც, მოსკოველები, რომ ისინიც გასცნობოდნენ ჩვენს კულტურას, ჩვენი კულტურული ცხოვრების პროპაგანდას ვენეოდით“.

ქართველთა საზოგადოება რუსეთში

რისო ფონდთან ერთად. ასოციაციის პრეზიდენტი იყო გაზეთ „იზვესტიას“ ყოფილი რედაქტორი იგორ გოლემბიოვსკი. ეს ორგანიზაცია აერთიანებდა სხვადასხვა დარგის ცნობილ რუსს და ქართველ მოღვაწეებს, ასოციაციის ვიცე პრეზიდენტები იყვნენ: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გ. გიგინეიშვილი; რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი; ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ფირსოვი, რუსეთის ტრანსპლანტოლოგიისა და ხელოვნური ორგანოების ინსტიტუტის დირექტორი ვ. შუმაკოვი და სხვა³⁹...

„რუსეთის ქართველთა საზოგადოების“ აქტივობები 2000-იანი წლების შემდეგ ნელ-ნელა შესუსტდა, რაც განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით: პირველი პრობლემა, „რუსეთის ქართველთა სათისტომოს“ მსგავსად, უკავშირდება „მზიურის“ შენობის გაყიდვას. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც „რუსეთის ქართველთა საზოგადოების“ მოღვაწეობა შეფერხდა, იყო ამ ორგანიზაციის დამფუძნებლისა და თავმჯდომარის ივერი ფრანგიშვილის გარდაცვალება. ორგანიზაციის ყოფილი წევრების განცხადებით, მისი პიროვნული ფაქტორი დიდად განაპირობებდა ორგანიზაციის წარმატებულობას.

„ეს ორგანიზაცია რეაგირებდა ყველა მოვლენაზე, რომელიც ხდებოდა რუსეთის ფედერაციაში და რაც ეხებოდა საქართველოს. აი, მაგალითად, ომი აფხაზეთში, პირველი – რაც უნდა გაგვეკეთებინა: ლტოლვილები მიგველო, დაგვებინავებინა, რაღაც ფული მიგვეცა, რაღაც უნდა გაგვეკეთებინა. ვილაცას შეეძლო მონყობა, ვილაცას არა, ვილაცებს ჩვენ ვეხმარებოდით, ჩვენს სახლებში მიგვეყავდა“.

ქართველთა საზოგადოება რუსეთში

ორგანიზაცია „ქართველთა საზოგადოება რუსეთში“ ქართულ დიასპორაზე მიმართულ საქმიანობას ახორციელებდა სხვა რუსულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მეშვეობითაც, მაგალითად 1994 წელს საზოგადოება გახდა „საქართველოსთან მეგობრული, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის ასოციაციის“ დამფუძნებელი რუსეთის სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტთან და ჰუმანიტარული ინიციატივების საერთაშორისო

„ივერი ფრანგიშვილი გარდაიცვალა, ამის შემდეგ ჩვენ კიდე 2 წელი ვიარსებეთ, ის რისი ვაკეთებაც შეეძლო მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორს, იმ ადამიანს, რომელიც ეხმარება სახელმწიფოს, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა პროექტის დაფუძნებაში, აძლევს რეკომენდაციებს, რისი ვაკეთებაც მას შეეძლო, ჩვენ უკვე აღარ გამოგვდიოდა მის გარეშე.“

ქართველთა საზოგადოება რუსეთში

³⁹ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ქეთევან ჩალათაშვილი, „ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში“ თბილისი 2006წ. გვ 68-70; 100; 101;103.
იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000013/Disertaria.Ch.pdf>

საბოლოო ჯამში, „ქართველთა საზოგადოება რუსეთში,“ რომელსაც უკვე ფაქტიურად არსებობა შეწყვეტილი ჰქონდა, 2007 წელს შეუერთდა ახალი დიასპორული ორგანიზაციის შექმნის იდეას, რომლის ავტორიც რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტია იყო.

სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო „ივერია“ – ეს ორგანიზაცია, მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს მსგავსად, 1989 წელს დაარსდა, რომლის სათავეშიც იდგნენ პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ექიმები, მხატვრები, ინჟინრები, ჟურნალისტები, თეატრის მოღვაწეები და სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები. სათვისტომოს ვებ-გვერდზე ორგანიზაციის მიზნებად განსაზღვრულია: ქართველი ხალხის ნაციონალური, კულტურული, სულიერი, ენობრივი და ტრადიციული საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთა გაერთიანება. ეწევა ქართული კულტურის, ხელოვნების, სახალხო შემოქმედების მიღწევების პროპაგანდას. ხელს უწყობს ქართულ-რუსული კავშირების გაძლიერებას, ახორციელებს საქველმოქმედო საქმიანობას, ხელს უწყობს სანკტ-პეტერბურგისა და რუსეთის სხვა რეგიონების ეროვნულ-კულტურულ საზოგადოებებს შორის საქმიანი კავშირების დამყარებას. ორგანიზებას უწევს გასტროლებს, კონცერტებს გამოფენებს, როგორც პეტერბურგის ქართველი წარმომადგენლებისა, ისე ქართველი პეტერბურგელების – საქართველოში.⁴⁰

ორგანიზაციას 1992 წლიდან ჰყავს უცვლელი პრეზიდენტი ბიზნესმენი ბადრი კაკაბაძე. ის რუსეთში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ქართველი ბიზნესმენი. მას ეკუთვნის კომპანია „პეტროსოლოდი“, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საკვები პროდუქტით ვაჭრობა და ნაყინის წარმოება-რეალიზაცია შეადგენს. დღეისთვის ეს კომპანია 200-მდე კომპანიასთან თანამშრომლობს და რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ნაყინის ყველაზე მსხვილი მწარმოებელია. არაოფიციალური ინფორმაციით, ბადრი კაკაბაძე ასევე ფლობს რამდენიმე მსხვილ რესტორანს სანკტ-პეტერბურგში.⁴¹ რუსეთის ფედერაციისა თუ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ბადრი კაკაბაძეს სხვადასხვა დროს მინიჭებული აქვს სხვადასხვა ხარისხის ნოდებები, მაგალითად: მართლმადიდებლური ქრისტიანობის წინაშე განეული დიდი ღვაწლისათვის რუსეთის სინოდისა და რუსეთის „პიროვნებათა პალატის“ გადამწყვეტილებით 1999 წელს ბ.

კაკაბაძე დაჯილდოვდა წმ. გიორგის I ხარისხის ორდენით და მიენიჭა თავადის ნოდება. ამავე წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით პეტერბურგში ქართული სათვისტომოს ჩამოყალიბების ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობისათვის, ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის.⁴²

როგორც ირკვევა, ორგანიზაცია პეტერბურგში აქტიურ პოლიტიკურ, სამოქალაქო და ჰუმანიტარულ საქმიანობას ეწეოდა 90-იან წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების პარალელურად. 1992 წელს, ომის დროს, პეტერბურგელმა ქართველებმა შეაგროვეს ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც ზუგდიდსა და სოხუმში ჩაიტანეს. ასევე დიასპორის წევრები მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთიდან დევნილების დაბინავებაში. ორგანიზაციის ხელშეწყობით გაიხსნა პეტერბურგის ქართული სკოლა. ამასთან მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს მსგავსად, პეტერბურგის დიასპორამ საქართველოში დატრიალებულ 9 აპრილის მოვლენებზე პირველი საპროტესტო აქცია 1989 წლის მაისში გამართა.⁴³

ბადრი კაკაბაძისა და იქ მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების: გია გვიჩიას, სოსლან ხარებოვის, სოსო კუტალიას, ბორის ბერულავასა და ჯამბულ გადელიას ხელშეწყობით მოხერხდა პეტერბურგის ქართული ეკლესიის აღდგენა-რესტავრაცია, რომელიც 10 წელს გაგრძელებულა.⁴⁴ ასევე

ჩვენი დიასპორა არ არის პოლიტიზირებული ორგანიზაცია, კულტურულ და სოციალურად მოღვაწეობას ეწევა, გაეწესა რუსულ-ქართული სკოლა, რომელშიც სწავლობენ ჩვენი ქართველი ბავშვები, იღებენ განათლებას ქართულ ენაზე, გვაქვს ჩვენი ანსამბლი და სხვა...
ქართველთა სათვისტომო „ივერია“

⁴⁰ Грузины Санкт-петербурга прошлое и настоящее; Региональная общественная организация «Санкт-Петербургское грузинское землячество «Иверия» (Грузинское землячество) об.: http://www.piterge.ru/gruzinskie_organizacii_peterburga

⁴¹ „ყველაზე ცნობილი ქართველი მილიონერი სანკტ-პეტერბურგში“ 26 დეკემბერი, 2014წ. <http://www.ambebi.ge/ekonomikao/119397-yvelaze-cnobili-qarthveli-milioneri-sant-peterburgshi.html>

⁴² „ქართველები სანკტ-პეტერბურგში,“ ნათია გოგიტიძე. <http://www.dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9557/1/Quarterly%20Peterburgshi.pdf>

⁴³ იქვე.

⁴⁴ Церковь Шестоковской иконы Божией Матери; https://ru.wikipedia.org/wiki/Церковь_Шестоковской_иконы_Божией_Матери

სანკტ-პეტერბურგის ქართულ დიასპორასთან არსებობს ქართული ქორეოგრაფიულ-ფოლკლორული ანსამბლი „ივერია“.

90-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან ფუნქციონირებდნენ ისეთი ორგანიზაციები, როგორც იყო: მოსკოვის ქართველი ახალგაზრდების კავშირი, ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, დიასპორებთან ურთიერთობისა და ეროვნული თანხმობის საზოგადოებრივი ცენტრი, ამ ორგანიზაციების ძირითადი სამიზნე ჯგუფი მაინც აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობა, მათ პრობლემებსა და საჭიროებებზე მუშაობა იყო. თანამედროვე პერიოდში აღნიშნული ორგანიზაციების შესახებ ღია წყაროებში ინფორმაცია თითქმის არ მოიძებნება, რაც იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მათგან უმეტესი გაუქმდა ან უბრალოდ აღარ ეწევა აქტიურ მოღვაწეობას.

ვლადიკავკაზის კულტურულ-ნაციონალური საზოგადოება „ერთობა“ – ჩრდილოოსეთის რესპუბლიკა არის ის ერთ-ერთი პირველი რეგიონი რუსეთის ფედერაციაში სადაც დიდი რაოდენობით ქართველები ცხოვრობენ. ჩრდილოოსეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენელში ქართველები იკავებენ ადგილს რუსების, სომხების, ინგუშებისა და ყუმიყების (დაღესტნური წარმოშობის ხალხები) შემდეგ და მათი რაოდენობა – 9098-ს შეადგენს.⁴⁵ ჩრდილოოსეთის ქართველების უმეტესობა (75,7%) ვლადიკავკაზში ცხოვრობს, თუმცა არსებობს ქართველებით დასახლებული პუნქტები მაგალითად სოფელი ჩმი, ლარსი, ბალტა.⁴⁶

ქართული დიასპორული ორგანიზაცია „ერთობა“ ვლადიკავკაზში ფუნქციონირებს 1990 წლიდან. ის შექმნილია ეროვნებათაშორისი საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩვენი ოსეთის“ ბაზაზე. ეს არის ჩრდილოოსეთის თვითმმართველობასთან არსებული ოფიციალური ორგანიზაცია, რომელიც ქართულ დიასპორასთან ერთად აერთიანებს ჩრდილოოსეთში მცხოვრებ სხვა ხალხების დიასპორულ ორგანიზაციებსაც. ორგანიზაცია „ერთობის“ პირველი პრეზიდენტი იყო ალექსანდრე ბუჩუკური – II მსფ. ომის ვეტერანი, პედაგოგი, სკოლის ყოფილი დირექტორი, ქართული დიასპორის ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული და ხანდაზმული წარმომადგენელი. 1993 წლიდან დღემდე ორგანიზაციის პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს რობერტ ცინდელიანი. იგი წარმოადგენს ჩრდილოოსეთის დამსახურებულ მოქალაქეს, სხვადასხვა დროს იკავებდა თანამდებობებს რესპუბლიკის საწარმოო სექტორში, 90-იან წლებში მონაწილეობდა ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებში, არჩეული იყო ქალაქის მმართველთა საბჭოშიც. დღეს ცინდელიანი „ვლადიკავკაზის კიროვის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დირექტორის მოადგილის თანამდებობაზეა.

ვინაიდან თავად რეგიონი, მოსკოვთან და პეტერბურგთან შედარებით პატარაა და ქართველებიც კომპაქტურად სახლობენ, დიასპორული გაერთიანება „ერთობა“ ვლადიკავკაზში ცნობილი ორგანიზაციაა, აქ ერთიანდებიან ქალაქის სხვადასხვა პროფესიის (პედაგოგები, პროფესორები, სპორტსმენები) ქართველი წარმომადგენლები. განსხვავებით დიდი ქალაქის ქართული დიასპორებისგან, აქაური ქართველები ისტორიული დიასპორის შთამომავლებს წარმოადგენენ და ადგილობრივ საზოგადოებაშიც უფრო ინტეგრირებულნი არიან. ორგანიზაცია „ერთობა“ აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თანამშრომლობს სხვა საზოგადოებრივ და დიასპორულ ორგანიზაციებთან, ასევე ჩრდილოოსეთის რესპუბლიკის მმართველობასთან. ვლადიკავკაზში დღემდე ფუნქციონირებს ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქართული სკოლა, რომელიც ოსი ხალხის განმანათლებლად ნოდებულის, მიხეილ ყიფიანის დაარსებულია.⁴⁷ სკოლა უკვე 127 წელს ითვლის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოოსეთის რესპუბლიკის ქართული დიასპორა მრავალ ქართველს ითვლის და მათგან უმეტესობა გარკვეულ წილად ქართული ისტორიული დიასპორის ტრადიციას აგრძელებს, საქართველოსთან მათი კავშირი ძალიან სუსტია. მეტიც, როგორც დიასპორის წარმომადგენლებთან საუბრისას გაირკვა, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩრდილოოსეთის ქართულ დიასპორასა და ქართულ მხარეს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობები არასოდეს არ ყოფილა. საუბრისას ახსენებდნენ ზვიად გამსახურდიას და მის ნეგატიურ დამოკიდებულებას ჩრდილოოს-

⁴⁵ „Информационные материалы об окончательных итогах Всероссийской переписи населения 2010 года.“

იხ.: დოკუმენტი „Национальный состав населения по субъектам Российской Федерации.“
ხელმწიფის ვებ-გვერდი: http://www.gks.ru/free_doc/new_site/perepis2010/perepis_itogi1612.htm

⁴⁶ გრუზინსკაია დიასპორა ვ რესპუბლიკე სევერნაია ოსეთია-ალანია, В.З. Дзидзишвили, Владикавказ, 2010г. Ст.:15

⁴⁷ „კოსტა ხეთაგათი“ მ. ვალიევა რ. ჩეთითი; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“; თბილისი 1981წ. გვ.:34-45

ეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების მიმართ. ასევე აღნიშნავდნენ, რომ იქ მცხოვრები ქართველებისთვის მიუღებელი იყო ის პოლიტიკა, რასაც ნაციონალური მოძრაობა სამხრეთ ოსეთის რეგიონის მიმართ ახორციელებდა. ორგანიზაციას არაერთხელ მიუწერია საქართველოს პრეზიდენტისთვის წერილი, რომლითაც ხელმომწერი აფრთხილებდნენ პრეზიდენტს, „რა პროვოკაციებიც არ უნდა ხდებოდეს რეგიონში, ომზე წასვლა ორივე მხარისთვის დამლუპველი იქნება“, თუმცა, ორგანიზაციის წევრების თქმით, პასუხად არაფერი მიუღიათ. საქართველოში ერთადერთი ფიგურა, რომელზეც ქართული დიასპორის წარმომადგენლები დადებითად საუბრობდნენ და რომლის მიმართაც პატივისცემას გამოხატავდნენ, იყო საქართველოს პატრიარქი ილია II. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთან ჩრდილოეთის ქართულ დიასპორას დიდი შეხება არ აქვს, ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ქართული იდენტობა და პატრიოტიზმი ქართველებში დღემდეა შენარჩუნებული, თუმცა ორგანიზაციაში არ მალავდნენ იმ პრობლემასაც, რომ სულ უფრო ცოტა ახალგაზრდების დაინტერესებას ქართული ენითა და კულტურით.

3.2. 2003 წლის შიმშილი და მათი საქმიანობა

საქართველოში 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ განვითარებული პროცესების პარალელურად საინტერესო მოვლენას ვაწყდებით რუსეთის ქართულ დიასპორაში, კერძოდ, 2003 წლიდან შეიმჩნევა ქართული დიასპორული გაერთიანებების აქტიურად შექმნის ტენდენცია. ასეთი ორგანიზაციები იყო, მაგალითად: საზოგადოებრივი მოძრაობა „დაბრუნება“ (2003 წლის დეკემბერი), საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი „აფხაზეთი“, (2004 წლის თებერვალი). ინფორმაციული ცენტრი „საზოგადოებრივი ლაბორატორია: ქართული დიასპორის სამოქალაქო ჯგუფი“ (2004 წლის ივნისი); ახალგაზრდული მოძრაობა „ლაზარე“ (2005 წლის იანვარი).⁴⁸ ჩამოთვლილ ორგანიზაციათა შესახებ ღია წყაროებში ინფორმაცია ფიქსირდება მხოლოდ რამდენიმე მათგანზე:

საზოგადოებრივი მოძრაობა „დაბრუნება“⁴⁹ – ორგანიზაცია შეიქმნა 2003 წლის 1 დეკემბერს. „მოძრაობის“ მიზნები არ განსხვავდება სხვა დიასპორული ორგანიზაციების მიზნებისგან თუმცა საინტერესოა, რომ „დაბრუნებამ“ აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში განთავსებული მთაწმინდის საარჩევნო ოლქის უბნებში საქართველოს 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში. მათ თითოეულ უბანზე ჰყავდათ თავიანთი დამკვირვებლები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ და აკონტროლებდნენ არჩევნების მიმდინარეობას. ამასთან მოძრაობა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის დღის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში.⁵⁰ ამ ორგანიზაციის შესახებ რუსულ წყაროებში ინფორმაცია არ მოიძებნება, ხოლო ქართულ წყაროებში არსებობს ერთადერთი გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც „საზოგადოებრივი მოძრაობა „დაბრუნება“ წარმოდგენილია, როგორც საქართველოში მოქმედი ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად მწვავე განცხადებებს აკეთებს რუსეთის მიმართულებითა,⁵¹ და აფხაზეთის თემატიკაზე.⁵² ასევე თანამშრომლობს ისეთ ორგანიზაციასთან, როგორიცაა „თავისუფალი ზონა“.

„საზოგადოებრივი ლაბორატორია: ქართული დიასპორის სამოქალაქო ჯგუფი“ – ეს არის ორგანიზაცია, რომელიც 2004 წლის ივნისში მოსკოვში არსებულ ქართულ სახლთან ჩამოყალიბდა. ის არ წარმოადგენდა კლასიკური ტიპის დიასპორულ გაერთიანებას, არამედ მიმართული იყო უფრო მეტად ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებისკენ. ორგანიზაციის ვებ გვერდზე მითითებულია, რომ ლაბორატორიის ძირითადი მიზანი იყო „ინფორმაციული საზოგადოების პირობებში

⁴⁸ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ქეთევან ჩალათაშვილი, „ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში“ თბილისი 2006 წ.

⁴⁹ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ქეთევან ჩალათაშვილი, „ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში“ თბილისი 2006 წ. გვ 83; 100; 101; 103.

იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000013/Disertacia.Ch.pdf>

⁵⁰ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ქეთევან ჩალათაშვილი, „ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანებების მოღვაწეობა მოსკოვში“ თბილისი 2006 წ. გვ 83.

იხ.: <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000013/Disertacia.Ch.pdf>

⁵¹ „მოძრაობა დაბრუნება მოგინოდებთ ხმა არ მისცეთ რუსეთუმე პარტიებს“, Newposts, ივნისი, 2014 წ.

იხ.: <http://newposts.ge/?l=G&id=41914-მოძრაობა,%20დაბრუნება>

⁵² „მოძრაობა „დაბრუნება“ აფხაზეთის მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით პრესკონფერენციას მართავს“ Geonews, 15 სექტემბერი, 2014 წ. იხ.: http://geonews.ge/geo/news/story/56345-modzraoba_dabruneba_gancxadeba

რასაც ჰქვია სოციალური მხარე აქტივობისა, თავი გავანებოთ პოლიტიკურს, სოციალური აქტივობა გადატანილი იყო კულტურაზე, დავუკრათ, კონცერტი ჩავატაროთ, ვიცეკვოთ, ვიმღეროთ და ასე შემდეგ. ამ დროს პრობლემები სულ სხვა იყო და არა ის, რომ ქართველებმა ცეკვა არ იციან ან სიმღერა და ა.შ... და, აი, ამის ფონზე გადავწყვიტეთ შეგვექმნა ეს ორგანიზაცია „სამოქალაქო ლაბორატორია“, თვითონ სახელი მიგვანიშნებს იმას, რომ პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, უფრო სწორად, სოციო-პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა იმიტომ, რომ ორიენტირებული იყო სამოქალაქო საზოგადოებისაკენ“.

საზოგადოებრივი ლაბორატორია

ლია. ლაბორატორიის კვლევით საქმიანობაში ჩართული იყვნენ რუსეთში სხვადასხვა დარგში მოღვაწე ქართველები (ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ისტორიკოსები). ორგანიზაცია 2004 წლიდან ახორციელებდა დიასპორის წარმომადგენლების პერიოდულ შეხვედრებსა და მართავდა განხილვებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: საქართველოში იმ დროისათვის მიმდინარე მოვლენები, დევნილთა პრობლემები, საქართველო რუსულ მედია-სივრცეში, ვარდების რევოლუციის ფენომენი და ქართულ-რუსულ ურთიერთობებში იმ დროისთვის მიმდინარე პროცესები.⁵⁴

აღნიშნული ორგანიზაცია ასევე თანამშრომლობდა მოსკოვის ქართველთა სათვისტომოსთან, რუსეთის ქართველთა საზოგადოებასთან და ქართული დიასპორის ცალკეულ წარმომადგენლებთან (კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებთან). საზოგადოებრივი ლაბორატორიის საქმიანობა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ თანდათან იკლებს და 2012 წლისთვის ფუნქციონირებას საბოლოოდ წყვეტს.

გლობალიზაციის პროცესის გამოწვევების გააზრება და მათი ინტერპრეტაცია ქართული დიასპორალური სინამდვილისათვის.⁵³ ასევე საუბარია ორგანიზაციის დაარსების იდეის შესახებ, რომელიც საქართველოში 2003 წელს განვითარებული მოვლენების პარალელურად დაებადათ ინიციატორებს – „მოსკოვის დიასპორამ სათანადოდ შეაფასა 12 წლიანი ნეო-საბჭოური ნომენკლატურის მმართველობის დასასრული და დაიჯერა, რომ დემოკრატიული გზა ერს, სახელმწიფოსა და ადამიანებს მისცემს მათი მონდომების შესაბამისი განვითარების საშუალებას“ – საუბარია ორგანიზაციის საქმიანობის აღწერაში.

ლაბორატორიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო სოციოლოგი ბადრი ქუთელია.

„2008 წლიდან „ლაბორატორიის“ აქტიურობა ცოტათი შემცირდა და განსაკუთრებით 2010 წლიდან ძალიან შევზღუდე მოღვაწეობა. 2006-ში რეპრესიები იყო, 2008-ში ვიცი, რაც იყო და აი ამის ფონზე ესე იგი ის მიმართულება, რომელსაც შეიძლება დავარქვათ ეროვნული ან...სამოქალაქო დატვირთვა რასაც ჰქონდა, ის უკვე შეზღუდული იყო და ამიტომ...მერე აქეთ წამოვედი ხო და ამიტომ აღარ გავრძელებდი ეს“.

საზოგადოებრივი ლაბორატორია

მოსკოვის ახალგაზრდული მოძრაობა „ლაზარე“⁵⁵ – საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება „ლაზარე“ შეიქმნა 2005 წელს მოსკოვში. პირველ ეტაპზე ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა რუსეთში მცხოვრებ ქართველებში ცნობიერების ამაღლება საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ, ქართული ენის გავრცელება ადგილობრივ ახალგაზრდებში და მოსკოვში მცხოვრები ქართველების კონსოლიდაცია, ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ქართველების დეპორტაცია 2006 წელს და 2008 წლის ქართულ-რუსული ომი. როგორც ორგანიზაციის ვებ-გვერდზეა მითითებული, ორგანიზაცია აქტიურად მართავდა მრგვალ მაგიდებს, საჯარო დისკუსიებსა და აწარმოებდა საინფორმაციო კამპანიებს, რათა მომხდარიყო იმ საინფორმაციო ვაკუუმის დაძლევა, რომელიც არსებობდა რუსულ მედიაში საქართველოსთან მიმართებაში 2006 წლის შემდგომ.⁵⁶

2008 წლის შემდგომ ორგანიზაციის წევრებმა და დამფუძნებლებმა დაიწყეს საქართველოში დაბრუნება და 2011 წელს დააფუძნეს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია ანალოგიური სახელით. ამის შემდგომ „ლაზარე“ ფაქტიურად წყვეტს საკუთარ საქმიანობას რუსეთში და მისი

⁵³ ქართულ სახლთან არსებული ინფორმაციული ცენტრი – საზოგადოებრივი ლაბორატორია, იხ.: http://civiclab.narod.ru/civic/c8_struc/g8struc_idea.htm

⁵⁴ „საზოგადოებრივი ლაბორატორია – პრობლემების ახლებური გააზრება“, ბადრი ქუთელია, გურამ მალლაკელიძე; იხ.: civiclab.narod.ru/civic/c4_resea/ginforcenter_tbrconfer200509.doc

⁵⁵ საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება „ლაზარე“ იხ.: <http://www.lazare.org/>

⁵⁶ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ლაზარე“, იხ.: <http://lazare.org/en/>

პროფილი სრულად იცვლება. ამ ეტაპზე ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს:

1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება და ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბება ახალგაზრდებში;

2. ახალგაზრდებში პროფესიული შესაძლებლობების აღმოჩენასა და რეალიზებაში ხელშეწყობა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ორგანიზაციის დამფუძნებელი ჯონი კვარაცხელიაა, რომელიც 1997 წლიდან წამოადგენდა „ქართველთა სათვისტომოს“ ნევრს. იგი არის „ლაზარეს“ ამჟამინდელი პრეზიდენტიც. უნდა აღინიშნოს, რომ „ლაზარეს“ პოზიცია ისეთ საკითხებზე როგორცაა 2008 წლის ქართულ-რუსულ ომი, და, ზოგადად, ქართულ-რუსული ურთიერთობების მიმართ დამოკიდებულებები, უმეტეს შემთხვევაში, ემთხვეოდა სააკაშვილის ადმინისტრაციის ხედვებს. მას შემდეგ რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ამ ორგანიზაციის დამფუძნებლები და წევრები კვლავ განაგრძობენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლების სხვადასხვა ფორმებით მხარდაჭერას.⁵⁷

„2006-ში რომ იყო ქართველების გამოდევნა იქიდან, თუ გახსოვთ, მაშინ რა ვიცი, რალაცა მამოძრავებდა შინაგანად, მაგრამ დავრბოდი. არ მევალებოდა, იურიდიულად არ მქონდა ამის უფლება, მაგრამ დავრბოდი, ტელეფონები მქონდა საერთაშორისო დაცვისა და ვუვარდებოდი პირდაპირ საპასპორტო მაგიდებს...“
ორგანიზაცია „ლაზარე“

3.3 2007 წლის შედეგთა შეჯამებითი ქართული დიასპორული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა

„ქართველთა კავშირი რუსეთში“⁵⁸ – დაფუძნდა 2007 წელს მოსკოვში სამი დიასპორული ორგანიზაციის გაერთიანებით:

1. „ქართველთა საზოგადოება რუსეთში“ – პრეზიდენტი სევერიან ცაგარეიშვილი;
2. „რუსეთის ქართველების კავშირი“ – პრეზიდენტი მიხეილ ხუბუტია;
3. „რუსულ-ქართული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის სახალხო დიპლომატიის რეგიონალური ორგანიზაცია“ – თავმჯდომარე კობა ქარჩავა.⁵⁹

თუმცა აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევის მიმდინარეობისას, მოულოდნელად ცნობილი გახდა რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შესახებ, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია დაექვემდებარა ლიკვიდაციას.⁶⁰

ზემოთ ნახსენები სამი ორგანიზაციიდან მხოლოდ ერთს, „ქართველთა საზოგადოებას რუსეთში“, ჰქონდა ხანგრძლივად არსებობის გამოცდილება, სწორედ ამ ორგანიზაციის სტრუქტურა დაედო საფუძლად „რუსეთის ქართველთა კავშირს“ დანარჩენი ორი ორგანიზაცია კი რეალურად მხოლოდ ქალაქებში არსებობდა. როგორც „რუსეთის ქართველთა კავშირის“ ვებ-გვერდზეა ნათქვამი, იგი ფუნქციონირებდა რუსეთის 47 რეგიონში. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა: „სახალხო დიპლომატია და თანამემამულეთა დახმარება, ქართველთა კავშირის მოღვაწეობა მიმართულია მრავალეროვნულ რუსეთში მშვიდობისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობაზე და ისტორიული და კულტურული კავშირების შენარჩუნებაზე საქართველოსა და რუსეთს შორის“.⁶¹

„ქართველთა კავშირი რუსეთში“ ახორციელებდა კულტურულ, ჰუმანიტარულ და საგანმანათლებლო პროექტებს. ორგანიზაციის ფინანსური ხელშეწყობით სხვადასხვა დროს იმართებოდა ქართული კულტურის საღამოები, საქველმოქმედო აქციები, ეწყობოდა ქართული ენის შემსწავლელი კურსები, გარდა ამისა, ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა ქართული ცეკვის ანსამბლი „ჯორჯია“. ამასთან, ორგანიზაციის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ მოსკოვის წმ. გიორგის სახელობის ქართული ეკლესიის რეაბილიტაციაში ორგანიზაციის მიერ გაწეულ ღვაწლს. როგორც გაერთიანების ვებ-გვერდზეა მითითებული, ეს ორგანიზაცია ასევე აქტიურად აწარმოებდა სხვა-

⁵⁷ შედარებისთვის იხ. პრეს-კონფერენცია თემაზე: „მოძრაობა „ლაზარე“ მერაბიშვილისა და ჭიბერაშვილის დაკავებას გამოხს“ News.ge, 22 მაისი, 2013წ.
ხელმისაწვდომია: <http://news.ge/ge/news/story/55439-modzraoba-lazare-merabishvilisa-da-chiaberashvilis-dakavebas-gmobs>

⁵⁸ Союз Грузин в России იხ.: <http://www.georgians.ru/>

⁵⁹ „2007 წლის 21 აპრილს მოსკოვის მანეჟის შენობაში შედგა ახალი დიასპორალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება,“ იხ.: http://civiclab.narod.ru/civic/c2_socies/socies2007/gru20070421g.htm

⁶⁰ „სასამართლოს-გადაწყვეტილებით-რუსეთში-ქართველთა-კავშირი-დაიხურა.“ Frontnews, 18 სექტემბერი, 2015წ. იხ.: <http://www.frontnews.ge/ge/news/87431>

⁶¹ УСТАВ Общероссийской общественной организации «Союз грузин в России» იხ.: <http://georgians.ru/images/ustav.pdf>

დასხვა მედია პროდუქტებს. მაგალითად, ამ ორგანიზაციის ეგიდით გამოდიოდა ყოველკვირეული რუსულენოვანი გაზეთი „მოსკოვი-თბილისი“. თავად ვებ გვერდი კი უმეტესად ფუნქციონირებს, როგორც დამოუკიდებელი საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი – აქ ორივე ენაზე შეხვდებით როგორც ქართულ-რუსული ურთიერთობების სფეროში მომხდარი სიახლეებს, ისე ორ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას.

„ჩვენი მთავარი მიზანი არის, რომ ახლა, როდესაც განყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები და ასეთი რთული პერიოდია საქართველო-რუსეთს შორის, არ დაიკარგონ ქართველები, როგორც მოსახლეობის წარმომადგენლები. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვცდილობთ, როგორც სხვა დიასპორების წევრები, ქართველებიც ყველგან იყვნენ წარმოდგენილნი“.
რუსეთის ქართველთა კავშირი

„ქართველთა კავშირი რუსეთში“ დაახლოებული იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან. ორგანიზაციის პრეზიდენტი, მიხეილ ხუბუტია, დაჯილდოებულია რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პირველი ხარისხის მედლით „ღირსი სერგი რადონეჟსკი“ და სრულიად რუსეთის მოსკოვის პატრიარქის სიგელით „რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სადიდებლად განეული ბეჯითი შრომის კურთხევის ნიშნად“.⁶²

ორგანიზაციის დამფუძნებელი და შეუცვლელი პრეზიდენტი იყო მიხეილ ხუბუტია. ხუბუტია არის რუსეთის მოქალაქე, ეთნიკურად ქართველი. მას აქვს მჭიდრო კავშირები რუსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებასთან. მას რამდენჯერმე ჰქონდა შესაძლებლობა, შეხვედროდა ვლადიმერ პუტინს ბოლო წლების განმავლობაში. ხუბუტია არის რუსეთის მმართველი პარტიის „ერთიანი რუსეთის“ წევრი. იგი ჩართულია ძირითადად შემდეგ ბიზნეს სფეროებში: სანადირო იარაღით ვაჭრობა, კვების პროდუქტების ქსელი და უძრავი ქონების ბიზნესი.⁶³ ერთ-ერთ ინტერვიუში ხუბუტიამ აღნიშნა, რომ 2012 წლამდე ხუთი წლის განმავლობაში ქართული დიასპორის საკითხებზე 17 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული.⁶⁴

ორგანიზაციის გაუქმების მიზეზებთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. ოფიციალურად ცნობილია, რომ რუსეთის უზენაესმა სასამართლომ ორგანიზაციის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზაციაში განხორციელებული შემოწმების შედეგად. როგორც აღმოჩნდა, ქართველთა კავშირი რუსეთში, გამომდინარე მისი წესდებიდან და მთელი რიგი ფორმალური პროცედურების არ შესრულების გამო, ვერ აკმაყოფილებს ე.წ. „სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი გაერთიანების“ სამართლებრივ სტატუსს. თუმცა თავად ორგანიზაციის დამფუძნებელს და პრეზიდენტს მიხეილ ხუბუტიას მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგ გარკვეული პიროვნებები ახორციელებენ დევნას და სწორედ ამ დევნას შეეწირა მისი ორგანიზაცია.⁶⁵ თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქართველთა კავშირთან ერთად სამართლებრივი გაუმართაობის გამო დაიხურა სხვა ეროვნებათა დიასპორული ორგანიზაციებიც.

„ქართველ ხალხთა მსოფლიო კონგრესი“⁶⁶ – დაფუძნდა 2009 წელს ავსტრიაში, ვენაში. დამატებით, იმავე წელს რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში დაფუძნდა ამავე ორგანიზაციის ფილიალი რუსეთში. 2009 წელს, სექტემბერში, საქართველოს საჯარო რეესტრში რეგისტრაცია გაიარა ამავე ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობამ. ორგანიზაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი რუსეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე. ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ხომერიკი, რომელიც ხშირად აკეთებს კომენტარს რუსულ მედიაში, საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ხომერიკი არის ამავე დროს **„რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის ფონდის“** დამფუძნებელი.⁶⁷ ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ განცხადება გაკეთდა 2009 წელს სოჭში გამართულ ქართველ ხალხთა კონფერენციაზე, სადაც დასახელდა კონგრესის საქმიანობის სამი ძირითადი მიზანი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქართული ეკონომიკის აღორძინება და რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების აღდგენა.⁶⁸

⁶² Официальных сайт Михаила Михайловича Хубутия; об.: <http://www.khubutiya.ru/bio.asp>

⁶³ Economic policy research centre, Georgian_Diaspora_Study, 2012, p.46, об.: http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/GIZ_Georgian_Diaspora_Study_A4_Book_Print.pdf

⁶⁴ მიხეილ ხუბუტია – „რუსულ-ამერიკულ საქმეში საქართველო „პემკა“ 22 იანვარი, 2016წ. об.: <http://www.ambebi.ge/politika/53289-qrusul-amerikul-saqmeshi-saqarthvelo-qpeshkaaq.html>

⁶⁵ „Союз грузин лишают гражданства РФ“, 21 Октября, 2015, об.: <http://www.kommersant.ru/doc/2836746>

⁶⁶ Блог Всемирного конгресса народов Грузии <http://congress-ge.livejournal.com/>

⁶⁷ „რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის ფონდი“, <http://rusakartvelo.org/ru/>

⁶⁸ „Суверенная Грузия, дружественная Россия“ <https://www.youtube.com/watch?v=OBqTdwrdU8>

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განსხვავებით სხვა დიასპორული ორგანიზაციებისგან, მხოლოდ „ქართველ ხალხთა მსოფლიო კონგრესს“, გააჩნდა ღია დეკლარირებული პოლიტიკური ამბიციები. კერძოდ, პირველ ეტაპზე, ებრალიძე იყო ინიციატორი, საქართველოში დაწყებულიყო საერთო პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მოითხოვდა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ებრალიძემ სცადა, პოლიტიკური კავშირები დაემყარებინა ქართულ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრთან. მან, მართლაც, მოახერხა ჩაერთო საკუთარ პოლიტიკურ საქმიანობაში რამდენიმე პოლიტიკური ძალა, მათ შორის იყო „თავისუფალი საქართველო“ (კახა კუკავა) და „ხალხის პარტია“ (კობა დავითაშვილი). უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს წინასაარჩევნო პერიოდში ალექსანდრე ებრალიძემ ოფიციალურად დაუჭირა მხარი „თავისუფალ საქართველოს“.⁶⁹ ებრალიძეს ჰქონდა მცდელობა პოლიტიკური კავშირი დაემყარებინა ლეიბორისტულ პარტიასთან, თუმცა, საბოლოო ჯამში, შეთანხმება ვერ მოხერხდა და ლეიბორისტულმა პარტიამ ბრალი დასდო ებრალიძეს პოლიტიკურ სპეკულაციებში.⁷⁰ გარდა ამისა, მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ალექსანდრე ებრალიძე ასევე თანამშრომლობდა შევარდნაძის ხელისუფლების ჩინოვნიკებთან, მაგალითად, ლევან პირველთან. ასევე კონგრესის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ შევარდნაძის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც.⁷¹

გარდა პოლიტიკური პარტიებისა, „ქართველ ხალხთა მსოფლიო კონგრესი“ თანამშრომლობდა საქართველოში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მაგალითად, „საქართველოს ევრაზიულ ინსტიტუტთან“ და „ერეკლე მეორეს საზოგადოებასთან“. ამ ორგანიზაციების დირექტორები უშუალოდ ესწრებოდნენ კონფერენციას სანკტ-პეტერბურგში, სადაც ებრალიძემ განაცხადა საკუთარი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ.⁷² საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორმა გულბაათ რცხილაძემ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი ორგანიზაცია დაფინანსებას იღებდა ებრალიძისაგან.⁷³ რაც შეეხება, „ერეკლე მეორეს საზოგადოების“ დირექტორს – ვასილ ქყოიძეს, იგი მედიაში კომენტარებისას არ მალავდა იმ ფაქტს, რომ ალექსანდრე ებრალიძე აფინანსებდა მისი ორგანიზაციის პროექტებს. მაგალითად, 2010 წელს პროექტ „ცოდნა საუკეთესო ხდია“, რომლის ძირითად აქტივობას რუსული ენის კურსები წარმოადგენდა, აფინანსებდა ალექსანდრე ებრალიძე.⁷⁴

მას შემდეგ რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, კონგრესის პოლიტიკური აქტივობა შემცირდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ კი ამ ორგანიზაციის ღონისძიებები მთლიანად შეწყდა. ამ ეტაპზე ორგანიზაციის ვებ-გვერდი გათიშულია. არსებობს მხოლოდ ბლოგი, რომელზეც ბოლოს ინფორმაცია 2011 წლის სექტემბერშია განთავსებული.

3.4 ქართული ახალგაზრდული დიასპორული ორგანიზაციები

ახალგაზრდული დიასპორული ორგანიზაციები არსებობენ ძირითადად სტუდენტური გაერთიანებების სახით, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებენ. ასეთია, მაგალითად, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტში (МГИМО) – „ქართული კლუბი“, რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში – ქართველ სტუდენტთა გაერთიანება „კოლხიდა“, ქართველი სტუდენტების გაერთიანებას ვხვდებით პიროგოვის სახელობის რუსეთის ნაციონალური სამედიცინო-კვლევით, რუსეთის სახელმწიფო მართვის და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკურ უნივერსიტეტებში. აღნიშნული სტუდენტური გაერთიანებები ძირითადად ეწევიან შესაბამისი უნივერსიტეტების ფარგლებში, სხვა ეროვნების სტუდენტურ გაერთიანებებთან ერთად, ქართული კულტურისა და ტრადიციის რეპრეზენტაციას.

⁶⁹ „თავისუფალი საქართველოსა“ და „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ ერთობლივი განცხადება, იხ.: http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=9737:2012-04-13-10-09-21&catid=100:sazogadoeba&Itemid=396#ixzz3ePH3PD3W

⁷⁰ „ლეიბორისტული პარტია ალექსანდრე ებრალიძის შეთავაზებაზე უარს აცხადებს“ 18 ივლისი, 2011წ. იხ.: <http://7days.ge/index2.php?newsid=8654>

⁷¹ „ალექსანდრე ებრალიძისა და პუტინის ფინანსური კავშირები“ იხ.: http://www.ptpress.ge/index.php?year=2021&magazine_id=28&topic_id=906#.VYmV0_mqqko

⁷² „საქართველო და რუსეთი – geurasia.org“ აპრილი, 2010 წ. <http://www.netgazeti.ge/GE/5/News/1315/>

⁷³ იქვე.

⁷⁴ „რუსული ენის შემსწავლელი უფასო კურსები“ იხ.: <http://goo.gl/xUsV5y>

„ჩვენს უნივერსიტეტში 150-მდე ეროვნების სტუდენტი სწავლობს, მათ შორის ჩვენიც, ქართველებიც, და გვაქვს ჩვენი გაერთიანება... ბევრ ღონისძიებას ვატარებთ ხოლმე, მაგალითად, პირველი დღე – კონცერტი, მეორე დღე – ფილმის ჩვენება, მესამე დღე – ქართულ სამზარეულოს ეთმობა და ა.შ... ძალიან ბევრი ადამიანია, ვისაც აინტერესებს და უყვარს საქართველო“.

სტუდენტური გაერთიანება „კოლხიდა“

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული კლუბის“ წარმომადგენლები საუბრისას აღნიშნავენ, რომ, გარდა ქართული კულტურის პოპულარიზაციისა, უნივერსიტეტში ხშირად იმართებოდა სხვადასხვა სახის კონფერენციები, რომლებიც ძირითადად ეთნიკური კონფლიქტების თემას ეძღვნებოდა და იყო შესაძლებლობა აფხაზ და ოს სტუდენტებთან ერთად აქტუალური თემების ირგვლივ მსჯელობა.

თუმცა 2008 წლის ომმა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა.

სტუდენტური გაერთიანების წევრების თქმით, აღიარების შემდეგ აფხაზმა და ოსმა სტუდენტებმაც დააფუძნეს ცალკე გაერთიანებები, რამაც ერთგვარი დაძაბულობა შექმნა სტუდენტურ გაერთიანებაში. გარდა ამისა, როგორც ირკვევა, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის გამოყოფილია კვოტები უფასო სწავლებისთვის, თუმცა დღეს საქართველოსთვის დათმობილი ადგილები ძირითადად აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს აქვთ დაკავებული.

კითხვაზე – თუ რამდენად იცნობენ მოსკოვის მასშტაბით სხვადასხვა უნივერსიტეტის შიგნით მოქმედი ქართული სტუდენტური გაერთიანებები ერთმანეთს და თუ ახერხებენ ერთმანეთთან თანამშრომლობას, რესპონდენტების თქმით, მათ აქვთ ინფორმაცია სხვადასხვა ქართული სტუდენტური გაერთიანებების შესახებ, თუმცა ერთმანეთთან თანამშრომლობა ფაქტიურად არ ხდება, ამის მიზეზად კი სახელდება ის, რომ გაერთიანებები უფრო უნივერსიტეტის შიგნით მოქმედი ორგანიზაციებია და ერთმანეთთან თანამშრომლობის საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. აღსანიშნავია, რომ მათგან სამედიცინო-კვლევითი და ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტების გაერთიანებებს მეტი კავშირი ჰქონდათ „რუსეთის ქართველთა კავშირთან“. „**რუსეთის ქართველთა კავშირი გვეხმარება ხოლმე, თუ რაიმე გამოფენის მოწყობას ვგეგმავთ**“ – აღნიშნავს ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა გაერთიანების წევრი.

„2008 წლამდე ჩვენ ვიყავით უფრო თავისუფალნი ჩვენს ქმედებაში და შეგვეძლო, დავყრდნობოდით საერთაშორისო სამართლის ნორმებს, სათვისტომოებისა და „მგიმოს“ ადმინისტრაციის მხარდაჭერას... 2008 წლამდე გვიადვილდებოდა მუშაობა იმიტომ, რომ ყველასთან ერთად ჩვენ ვიყავით ერთ სიბრტყეში, ყველას ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ადრე ვატარებდით პოლიტიკურ ღონისძიებებსაც, თუმცა თანდათან რაც უფრო იძაბებოდა ურთიერთობები, ჩვენიც უფრო და უფრო ვერიდებოდით პოლიტიკურ თემებს და სულ უფრო ვორიენტირდებოდით კულტურულაზე...“

**4.1 საქართველოს სახელმწიფოს მიღგომეაზი
დიასპორასთან მიმართებაში 2003-2012 წლებში**

საქართველოს სახელმწიფოს არც ედუარდ შევარდნაძის და არც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში არ ჰქონია რაიმე კონკრეტული პოლიტიკა ან გაცხადებული სახელმწიფო სტრატეგია საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების, მათ შორის რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ. 90-იან წლებში რუსეთში დაარსებული დიასპორული ორგანიზაციები ასე თუ ისე ახერხებდნენ საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, რასაც ამარტივებდა ის გარემოება, რომ მიუხედავად ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური უთანხმოებისა, საქართველოს მკვეთრად გამოხატული ანტირუსული დამოკიდებულება არ ახასიათებდა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე გარკვეულ სტატუს-კვოს ექვემდებარებოდა.

ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად იცვლება, თუმცა ეს ცვლილება მიმდინარეობდა უფრო დისკურსის დონეზე, ვიდრე ოფიციალური პოლიტიკის წარმოების თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ სპეციფიური პოლიტიკა არსებობდა არა იმდენად რუსეთის ქართული დიასპორის, რამდენადაც რუსეთის ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რასაც ადგილი ჰქონდა 2008-2012 წლებში. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება ღიად ახორციელებდა კარგად გათვლილ ჩრდილო-კავკასიურ პოლიტიკას, რაზეც სახელმწიფოს მხრიდან საკმაო ოდენობის თანხები იხარჯებოდა და რასაც მკვეთრად განსაზღვრული მიმართულებები გააჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2003-2012 წლებში საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონია რაიმე ტიპის პოლიტიკა რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ, რომელსაც ექნებოდა თანმიმდევრული და ფორმალური სახე და რომელიც განერილი იქნებოდა დოკუმენტურად, კვლევის პროცესში გამოვლენილი ტენდენცია, კერძოდ ის, რომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ რუსეთში, ძირითადად მოსკოვის ფარგლებში, დაფუძნებას იწყებენ სხვადასხვა დიასპორული ორგანიზაციები, ყურადღებას იქცევს ამ მიმართულებით. როგორც დავინახეთ, ამ ორგანიზაციათა აქტივობები მოიცავდა დაწყებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობიდან, დამთავრებული ქართულ საზოგადოებაზე მიმართული სამოქალაქო პროექტებით, როგორებიცაა: კონფერენციების გამართვა, საჯარო განხილვების მოწყობა, სოციოლოგიური კვლევების ჩატარება და ა.შ. გარდა ამისა, როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ამ პერიოდში შექმნილი დიასპორის ლიდერები ასევე წარმოადგენდნენ (და დღესაც წარმოადგენენ) ნაციონალური მოძრაობის აქტიურ მხარდამჭერებს. ამ დიასპორულ ორგანიზაციათა საქმიანობა კი 2008 წლის ომის შემდეგ საერთოდ მცირდება... ის ინფორმაცია, რაც კვლევის ფარგლებში იქნა მოძიებული, რა თქმა უნდა, ვერ იქნება საკმარისი საფუძვლის მომცემი დასამტკიცებლად, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ახლადმოსული ხელისუფლება არაპირდაპირი გზებით ცდილობდა მოსკოვის ქართულ დიასპორაში საკუთარი მხარდამჭერების გააქტიურებას, თუმცა, ამ მხრივ, გარკვეული ეჭვები მაინც იბადება.

ოფიციალური უწყებების დონეზე, ქართული დიასპორის საკითხზე მუშაობის კომპეტენციები 2008 წლამდე გადანაწილებული იყო საგარეო საქმეთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებს, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებსა თუ საკონსულო დაწესებულებებს შორის. მართალია, 2008 წლის ომამდე რუსეთის ფედერაციაში მუშაობდა საქართველოს საელჩო, თუმცა როგორც გამოკითხული რესპონდენტები აღნიშნავდნენ, დიასპორასთან მიმართებაში საელჩო თითქმის უფუნქციო იყო. სახელმწიფო უწყების ერთ-ერთი წარმომადგენელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ რუსეთში ქართული საელჩოს პასიურობა განპირობებული იყო თავად ხელისუფლების სურვილიდან გამომდინარე: „**მგონი სპეციალურად აძლევდნენ დავალებებს, რომ განსაკუთრებულად არ ეაქტიურათ, რაღაც პოლიტიკის ნაწილი იყო ასეთი ხედვა**“ – აღნიშნავს რესპონდენტი.

2008 წლის ზაფხულში შეიქმნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლის მიზნებადაც განისაზღვრა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავება, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ დიასპორას შორის ურთიერთობის ხელშეწყობა და ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის მხ-

არდაჭერა.⁷⁵ რუსეთის ქართული დიასპორაც სწორედ სამინისტროს ზოგადი პოლიტიკის „ქოლგის“ ქვეშ მოექცა, რაც ძირითადად გულისხმობდა სხვადასხვა პროექტებისა თუ ღონისძიებების მოწყობას, რომლებშიც სხვა ქვეყნის ქართულ დიასპორებთან ერთად რუსეთის ქართული დიასპორის წევრებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. ასევე 2008 წლიდან დაწესდა ქართული დიასპორის დღე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე დღეს, 27 მაისს, აღინიშნება.

გარდა სამინისტროსა, 2008 წელს შეიქმნა „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტი“, რომელიც 2012 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც „დიასპორისა და კავკასიის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტი“. ამ უკანასკნელის მიზნებიც ფაქტობრივად შეესაბამება დიასპორის საკითხთა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიზნებს იმ დამატებით, რომ კომიტეტის ვალდებულებაა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და კავკასიის ხალხებთან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფისთვის მოამზადოს შესაბამისი კანონპროექტები.⁷⁶

კომიტეტის მიერ დიასპორის სამინისტროსთან ერთად 2012 წლის დასაწყისში შემუშავებულ ასეთ კანონპროექტს წარმოადგენდა ე.წ. „დიასპორული პარლამენტის“ შექმნის იდეა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს საქმეებში საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფას.⁷⁷ პარლამენტი უნდა შემდგარიყო 45 წევრისაგან, რომლებიც წელიწადში ერთხელ 5-დღიანი სესიის ფარგლებში შეიკრიბებოდნენ საქართველოს პარლამენტის შენობაში. პარლამენტის წევრების არჩევა მოხდებოდა სხვადასხვა ქვეყნის ქართული დიასპორის წევრების მიერ საელჩოებისა და საკონსულოების მეშვეობით. არჩევნებში ამომრჩეველბად და კანდიდატბად მონაწილეობის მიღების უფლება ექნებოდათ უცხოეთში მცხოვრებ იმ ქართველებს, რომლებსაც საქართველოს მხრიდან სპეციალური თანამემამულის სტატუსი ექნებოდათ მინიჭებული.⁷⁸ ამ სტატუსის შესახებ კანონპროექტი „დიასპორულ პარლამენტის“ კანონპროექტზე ადრე იქნა მიღებული. თანამემამულის სპეციალურ მოწმობის მქონე პირებს უნდა ესარგებლათ გარკვეული პრივილეგიებით, რაც გულისხმობდა საქართველოში 30 დღის განმავლობაში უვიზოდ ყოფნის შესაძლებლობას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) უმაღლესი და საშუალო განათლების სახელმწიფო დაფინანსებით მიღებას და სხვა სერვისებით შეღავათიან ფასებში სარგებლობას. ასეთი მოწმობის გაცემა 2012 წლის მარტის თვიდან, მართლაც, დაიწყო საქართველომ და, როგორც ირკვევა, მაისისთვის ის უკვე 50 თანამემამულეს გააჩნდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როგორც ჩანს, „დიასპორული პარლამენტის“ დაფუძნების იდეამ აქტუალობა დაკარგა, ხოლო რაც შეეხება თანამემამულის სტატუსის მოწმობას, ის დღესაც გაიცემა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

რა ტიპის კომუნიკაცია არსებობდა კონკრეტულად რუსეთის ქართულ დიასპორასა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის, რთული დასადგენია, ვინაიდან, როგორც ჩანს, რაიმე განსაკუთრებული სისტემატიზირებული სახე ამ ურთიერთობებს არასოდეს არ ჰქონია და დღესაც არ აქვს, მიუხედავად დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფუძნებისა, იგი მაინც ვერ გვევლინებოდა რუსეთის ქართულ დიასპორასთან ურთიერთობების წარმოების ინიციატორად. სამინისტროს მუშაობა რუსეთის ქართულ საზოგადოებასთან განპირობებული იყო იმ ზოგადი მიდგომით, რაც სახელმწიფოში 2003-2012 წლების განმავლობაში რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ დამკვიდრდა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გამოუძებნით განიცდიდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების ნეგატიურ გავლენას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და რუსეთის ქართულ დიასპორას შორის მიმართებები, სწორედ, ქართულ-რუსული ურთიერთობების პარალელურად ჩამოყალიბდა.

4.2 რუსეთის ქართული დიასპორა ქართულ-რუსული ურთიერთობების ფონზე

ღია წყაროებზე დაკვირვებით ჩანს, რომ თავდაპირველად რუსეთის ქართული დიასპორის თემა ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგში საერთოდ არ იკვეთებოდა, ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით მოხდა, იყო ის, რომ 2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გააყიდა რუსეთში არსებუ-

⁷⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №18; 08 თებერვალი, 2008 წ.

იხ.: http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=94&info_id=2142

⁷⁶ დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის დებულება, 2012წ. იხ.: <http://www.parliament.ge/ge/saparlamanto-saqmianoba/komitetebi/diasporisa-da-kavkasiis-sakitxta-komiteti/komitetis-debuleba>

⁷⁷ „საქართველო 'დიასპორული პარლამენტის' შექმნას გეგმავს“, 2 მაისი, 2012 წ. იხ.: <http://civil.ge/geo/article.php?id=25410>

⁷⁸ იქვე.

ლი „მზიურის“ შენობა, რომელიც საქართველოს მფლობელობაში იყო. როგორც ცნობილია წლების განმავლობაში სწორედ ამ შენობაში ფუნქციონირებდა ქართული დიასპორული ორგანიზაციების უმრავლესობა. როგორც ირკვევა, „მზიურის“ შენობა 2005 წლის სექტემბერში 40 მილიონ დოლარად უნდა გაყიდულიყო, იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, სალომე ზურაბიშვილის, თქმით, ეს თანხა უნდა გადანაწილებულიყო სხვა ქვეყნებში საელჩოების შესაძენად, უფრო – ლონდონში, ნიუ-იორკში, სადაც, ხელისუფლების აზრით, საელჩოების არსებობის მეტი საჭიროება იყო.⁷⁹ თუმცა საბოლოოდ რაში დაიხარჯა მიღებული თანხა, რთული დასადგენია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ „მზიურის“ შენობა, რომელიც ერთ დროს რუსეთში საკმაოდ მძლავრ ქართულ კულტურულ კერას წარმოადგენდა და რომელსაც ქართული დიასპორული ორგანიზაციებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნდა, ყოველგვარი საზოგადოებრივი განხილვისა და განსჯის გარეშე საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით გაიყიდა.

თუ ქართული დიასპორის თემას გავაანალიზებთ ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივიდან, დავინახავთ, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველი თანამემამულეების ინტერესები, ბევრი თვალსაზრისით, სწორედ, ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ დაძაბულობას შეეხება. ურთიერთობების დინამიკა კი ასე გამოიყურებოდა: ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსული ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკა რუსეთის მიმართულებით დროთა განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა: გამკაცრდა რიტორიკა, საქართველომ საგარეო პოლიტიკაში ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე მიმართული დისკურსის გაძლიერებასთან ერთად უგულვებლყო რუსეთიდან მომავალი ის რისკები, რაც ამ პროცესს შესაძლოა თან მოჰყოლოდა. პოლიტიკურ დისკურსში რუსეთმა შეიძინა „მტრის ხატის“ მნიშვნელობა. მმართველი პარტიის ნაციონალისტურ-პოპულისტური მიდგომების სინთეზის შედეგად განსაზღვრული რიტორიკა და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა მთლიანად დასავლეთი/რუსეთის ბინარული ოპოზიციის გარშემო ჩამოყალიბდა.⁸⁰

ეს კარგად ჩანდა ნაციონალური მოძრაობის მიერ სახელისუფლებო ძალაუფლების კონსოლიდაციის მეთოდში, როდესაც მასთან დაპირისპირებულ ოპოზიციურ ძალებს მმართველი პარტია რუსეთიდან მართულს უწოდებდა და გარე საფრთხეების თემის საზოგადოებაში მუდმივი არტიკულირებით ახდენდა ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური და, მათ შორის, სოციალური ხასიათის (უმუშევრობა, სიღარიბე) კონფლიქტების გადაფარვას.

რუსეთის „მტრის ხატის“ შიდა პოლიტიკურ დანიშნულებას ჰქონდა შესაბამისი გარე ეფექტებიც. ნაციონალური მოძრაობის წევრები არ ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ რუსეთზე მიმართულ აგრესიულ რიტორიკას შესაბამისი პასუხები მოჰყვებოდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც, იქნებოდა ეს ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს დაწესება, რითაც ქართულმა ეკონომიკამ მნიშვნელოვნად იზარალა, თუ რუსეთში მცხოვრები საკმაოდ დიდი ქართული კონტიგენტის შევიწროება, რაც საბოლოოდ გამოიხატა 2006 წელს რუსეთში მცხოვრები ქართველების მასობრივ გამოძევებაში. საქართველოს მხრიდან ჯაშუშობის ბრალდებით 4 რუსი ოფიცრის დაკავების საპასუხოდ რუსეთის ხელისუფლებამ მთელი ფედერაციის მასშტაბით წამოიწყო ინტენსიური ანტიქართული კამპანია, რაც გულისხმობდა ქართველების, მათ შორის ლეგალურად მცხოვრები ქართველების, მასობრივ დეპორტაციას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბრალდებულები მალევე გაათავისუფლა, რუსეთიდან მაინც მოხდა 2300-ზე მეტი ქართველის გამოძევება, ამასთან ეს ხდებოდა ადამიანის უფლებების მკაცრი დარღვევით – ქართველებს იყვანდნენ ძირითადად ქუჩებიდან, სვამდნენ დროებით იზოლატორში და შემდეგ სატვირთო დანიშნულების თვითმფრინავით ახდენდნენ საქართველოში მათ დაბრუნებას. იყო რუსეთის ვიზის მქონე ქართული პასპორტების მილიციის მიერ დახვეის ფაქტებიც.

ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებასა და ქართველი ემიგრანტების გამოძევებას რუსეთის მხრიდან ჰქონდა მყისიერი რეაქციის სახე. როგორც კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტე-

⁷⁹ ქართული პრესის ელექტრონული არქივი; „სად წავიდა „მზიურის“ გაყიდვიდან შემოსული თანხები,“ გაზეთი „ახალი თაობა,“ 4 დეკემბერი, 2009წ. იხ.: <http://www.opentext.org.ge/index.php?m=4&y=2009&art=1149>

⁸⁰ „არჩევანი“, მარინა მუსხელიშვილი, ლია მეზერიშვილი, ივანე კეჭყაძე, მარიამ იაკობიძე; საზოგადოებრივი კვლევის ცენტრი; თბილისი, 2015 წ. გვ.:199.

ბი მიუთითებდნენ, გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის ხელისუფლებას ჰქონდა რუსეთში არსებული ქართული დიასპორის პოლიტიკურ „ინსტრუმენტად“ ქცევის მცდელობები გარკვეული მიზნების მისაღწევად. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ 2007 წლიდან ინტენსიურად იწყებენ დიასპორის მიმართულებით გააქტიურებას რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებულ პირებს წარმოადგენდნენ: 2007 წელს ქართული წარმოშობის ბიზნესმენის მიხეილ ხუბუტიას მიერ იქმნება ერთ-ერთი მსხვილი დიასპორული ორგანიზაცია „რუსეთის ქართველთა კავშირი“, ასევე იკვეთება რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენების ალექსანდრე ებრალიძისა და ვლადიმერ ხომერიკის მცდელობები შექმნან დიასპორული გაერთიანება „ქართველ ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ სახით, ასევე ვლადიმერ ხომერიკს ეკუთვნის „რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის ფონდის“ დაფუძნების იდეა. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ „რუსეთის ქართველთა კავშირის“ დამფუძნებელ ყრილობაზე მოწვეული იყვნენ ქართული მხარის წარმომადგენლები, მათ შორის დიასპორის საკითხებში იმდროინდელი სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგოშიძეც, რომელმაც მონაწილეობაზე უარი განაცხადა.⁸¹

დიასპორის ზემოთხსენებული ლიდერები აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს საქართველოს მიმართულებით, რომლებიც ეხებოდა ძირითადად საქართველოს საგარეო პოლიტიკას, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებს. მაგალითად, ხუბუტიას მიერ გაკეთებული განცხადებათა ძირითად გზავნილს წარმოადგენდა ის, რომ საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსი მცდარია, ვინაიდან: „ამერიკა შორს არის, ხოლო ნატო-სა და ევროკავშირში განვერიანება ბლევია“.⁸² ალექსანდრე ებრალიძის აზრით კი საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური სახელმწიფო და არ უნდა ესწრაფოდეს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში განვერიანებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ებრალიძის მოსაზრებით, საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას, თუ იგი უარს იტყვის „ნატოსა“ და ევროკავშირში ინტეგრაციაზე.⁸³ ასევე საჯარო სივრცეში გავრცელებულ განცხადებებში, ებრალიძეც და ხუბუტიაც ერთმანეთთან აკავშირებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას და საქართველოს მიერ ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში განვერიანებაზე უარის თქმის პერსპექტივებს.⁸⁴

თუ დავუშვებთ, რომ რუსეთის ხელისუფლებას, მართლაც, ჰქონდა გარკვეული სახის მცდელობა დიასპორის გავლით ადგილობრივ დონეზე საკუთარი ლობისტების გაძლიერებით საქართველოში გარკვეულ წილად შეცვლილიყო ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე მიმართული დისკურსი – ეს მიზანი, საბოლოო ჯამში, ვერ განხორციელდა. დღეს საუბარი შესაძლებელია იმაზეც, რომ ამგვარმა პოლიტიკამ რუსეთისთვის უკუპროპორციული შედეგებიც კი გამოიღო.

ქართული დიასპორის პრორუსული განწყობების მქონე ბიზნესმენებზე „მიმაგრებამ“ ვერ უზრუნველყო რუსეთში მცხოვრები ქართული საზოგადოების ფართო ფენების მობილიზება, მეორე მხრივ საქართველოს რეალობაში კიდევ უფრო გააღრმავა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში რუსეთის თემის სტიგმატიზირება და იმავე „მტრის ხატის“ საზოგადოებაში გაძლიერება. რუსეთის მხრიდან, ამ ტიპის პოლიტიკამ, საბოლოო ჯამში, ისევ ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ იმუშავა, ვინაიდან ამ უკანასკნელს მიეცა მეტი საფუძველი რუსეთთან მიმართებაში საკუთარი პოლიტიკის ადგილობრივი თუ საერთაშორისო საზოგადოების თვალში ლეგიტიმაციისთვის.

⁸¹ „ელაპარაკეთ მთავრობას“ – მიმართავს სააკაშვილი მოსკოვს,“ 4 თებერვალი, 2009 წ. იხ.: <http://civil.ge/geo/article.php?id=20483>

⁸² „Почему бизнесмен Михаил Хубутия сравнивает Путина и Гарибашвили и почему он не доволен вмешательством Зураба Абашидзе в русско-грузинские отношения?“ მიხეილ ხუბუტიას ოფიციალური ვებ-გვერდი, 11 მარტი, 2015 წ. იხ.: <http://www.khubutiya.ru/lenta.asp?idarticle=447>

⁸³ „Александр Ебралидзе и “третья политическая сила” в Грузии,“ Политфорум информационно аналитический портал Института Евразии, 22 თებერვალი, 2012 წ.

იხ.: <http://geurasia.org/rus/1072/aleqsandre-ebralidze-da-mesame-politikuri-dzala-saqartveloshi.html>

⁸⁴ „Петербургский бизнесмен намерен заняться политикой Грузии,“ Nregion; 29 апреля, 2009 г. იხ.: <http://nregion.com/news.php?i=30860#.VYwAGvmqqkq>

ნაციონალური მოძრაობისთვის არ წარმოადგენდა სირთულეს მოეხდინა რუსეთის ქართული დიასპორის გარკვეულნილად, საკუთარი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებიდან გამომდინარე, ოდიოზური ლიდერების დისკრედიტაცია და მარგინალიზება, რისთვისაც საკმარისი იყო მმართველი ხელისუფლების მიერ გაკეთებული მწვავე პოლიტიკური განცხადებები და რუსეთის ქართული დიასპორის თემაზე შესაბამისი მედიასაშუალებების მობილიზება. 2007 წლის შემდეგ წამყვან ტელეარხებზე არაერთი ვრცელი სიუჟეტი გასულა იმის შესახებ, თუ რა სახის შეთქმულებები არსებობს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ქართველ ბიზნესმენებსა და კრემლს შორის. ქვეყნის წამყვანი პოლიტიკოსებიც ღიად უტყვევდნენ რუსეთის ქართული დიასპორის ლიდერებს, მაგალითად 2009 წელს იმდროინდელი დაზვერვის სამსახურის უფროსის, გელა ბეჟუაშვილის, განცხადებით, „რუსეთის მიზანია, საქართველოს ხელისუფლების დამხობა, რისთვისაც ძალიან აქტიურად მუშაობს ქართულ დიასპორასთან“.⁸⁵ ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებაც, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ქართველთა კავშირი დაფუძნებულია კრემლის მიერ და მასთან ვერაფერი საერთო ვერ ექნება საქართველოს მთავრობას.⁸⁶

სხვა გამოკითხულ ექსპერტთა აზრით, ქართული დიასპორის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება არა იმდენად რუსეთის ხელისუფლების პრეროგატივაა, რამდენადაც თავად ბიზნესმენების ინიციატივას წარმოადგენდა, რასაც „მერკანტილური“ სახე ჰქონდა – „ბიზნესმენების გარშემო გაერთიანებული დიასპორული ორგანიზაციები ერთ პიროვნებაზე არის მორგებული, ეს ლიდერები ცდილობენ, გამოჩნდნენ ისე, თითქოს მათ ქვეშ ერთიანდება ქართული დიასპორა, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ეს ასე არაა“ – აღნიშნავს ექსპერტი. ინტერვიუში საუბრისას იგივე აზრს ავითარებს სხვა ექსპერტიც, როდესაც აღნიშნავს, რომ დიასპორის ბიზნესმენ-ლიდერებს ორგანიზაციები სჭირდებათ საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ქართული დიასპორით პოზიციონირებენ – „არჩვენებში ხალხს მოგიყვან, სანაცვლოდ შენ ეს გამიკეთე და ა.შ.“ – აღნიშნავს ექსპერტი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს რუსეთის ქართულ დიასპორაში ბიზნესმენების გააქტიურების თაობაზე სხვადასხვა აზრი იკვეთება, ცალსახაა, რომ ქართულ საზოგადოებაში რუსეთის ქართული დიასპორის ლიდერების მიმართ მკვეთრად უარყოფითი განწყობები ჩამოყალიბდა, მეტიც, ამ განწყობებმა გავრცელება ჰპოვეს დიასპორის სხვა წევრებზეც, ძირითადად კულტურის მოღვაწეებზე, მაგალითად, იყო შემთხვევებიც, როდესაც რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებულ ქართულ ანსამბლებსა თუ მომღერლებს თბილისში საპროტესტო აქციებით ხვდებოდნენ.

4.3 საქართველო და რუსეთის ქართული დიასპორა 2012 წლის შემდეგ

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული კოალიცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ დამოკიდებულება ქართულ-რუსული ურთიერთობების მიმართ მკვეთრად იცვლება. ცვლილებების იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ განსხვავებით ნაციონალური მოძრაობისგან, ქართული ოცნების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართულ-რუსული ურთიერთობების რაციონალურ ჩარჩოებში მოქცევა, რაც გულისხმობდა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას ისეთი თემების გარშემო, რაზეც შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია. ამ მიდგომას კარგად ასახავს გიორგი მარგველაშვილის მიერ 2013 წელს რუსეთის პირველ არხთან მიცემული ინტერვიუ, სადაც პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ სააკაშვილის მიერ რუსეთზე მიმართულმა პოლიტიკამ საკუთარი თავი ამოწურა, პირველ რიგში, იმით, რომ შედეგების თვალსაზრისით არ გაამართლა და ამიერიდან საჭიროა დამოკიდებულების შეცვლა: **„ჩვენ შევეცდებით ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რომლებსაც დღეს ვწყვეტთ და ვისაუბრებთ პერსპექტივებზე, რათა დაბრუნდეს კეთილმეზობლური ურთიერთობები. როგორია რუსეთის ინტერესები, როგორია საქართველოს ინტერესები, როგორია იმ ხალხის ინტერესები, რომლებიც იქ სწავლობენ, მოდით, ამ საკითხების გადაწყვეტა დავინყოთ“** – აღნიშნავდა პრეზიდენტი.

⁸⁵ „რუსეთის მიზანია საქართველოს ხელისუფლების დამხობა – ბეჟუაშვილი“, სივილ ჯორჯია, 19 ივნისი, 2009 წ. იხ.: <http://civil.ge/geo/article.php?id=21404>

⁸⁶ „ელაპარაკეთ მთავრობას“ – მიმართავს სააკაშვილი მოსკოვს“ 4 თებერვალი, 2009 წ. იხ.: <http://civil.ge/geo/article.php?id=20483>

პოლიტიკის ცვლილების პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს 2012 წელს იმდროინდელი პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ რუსეთთან ურთიერთობების საკითხში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა. ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერმა ვრცელი განცხადება გაავრცელა, რომლის მთავარ გზავნილსაც წარმოადგენდა ის, რომ რუსეთთან კონფრონტაციის რიტორიკა არის „გუშინდელი დღის“ მოვლენა და „დღეს ჩვენ ურთიერთობას ვინცებთ ახალი ფურცლიდან“.⁸⁷ აღნიშნულ თანამდებობას 2012 წლიდან დღემდე საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე იკავებს. რუსეთთან დიალოგის ე.წ. „აბაშიძე-კარასინის ფორმატი“ არის ის ერთადერთი რამ, რისი საშუალებითაც 2008 წლის ქართულ-რუსული კონფლიქტის შემდგომ პირველად გახდა შესაძლებელი სახელმწიფოთა შორის ოფიციალურ დონეზე პირისპირი ურთიერთობა.

როგორც ემპირია აჩვენებს, ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში დიასპორის ფაქტორს საქართველოს ხელისუფლება მხედველობაში არ იღებს. თუმცა, თუ, მაგალითად, 2012 წლამდე რუსეთის ქართული დიასპორას ქართულ პოლიტიკურ დისკურსში მინიჭებული ჰქონდა „პრორუსულობის“ იარლიყი და საერთო ფონი ამ მიმართულებით იყო ნეგატიური, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება, ამ მხრივ, ცალსახად ნეიტრალურია.

დიასპორის სამინისტროს მიდგომა ემყარება იმ არგუმენტს, რომ სამინისტროს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიმართ აქვს ერთიანი პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ექცევა რუსეთის ქართული დიასპორაც. ეს პოლიტიკა კონკრეტულად გულისხმობს დიასპორისადმი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიებების განხორციელებას, მაგალითად, 2015 წლის მაისში ჩატარდა დიასპორული პროფესიული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა უცხოეთში მცხოვრებმა ქართველმა თანამემამულემ, დიასპორის სამინისტრო განათლების სამინისტროსთან ერთად აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები თანამემამულეებისთვის ქართული სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე, ასევე, როგორც ცნობილია, დიასპორული ორგანიზაციების სათანადო აღრიცხვის, მათთან ეფექტური კომუნიკაციისა და დიასპორული ღონისძიებების მასშტაბურად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით, იქმნება ქართული დიასპორის საინფორმაციო კომპიუტერული პროგრამა, სადაც თავს მოიყრის სრული ინფორმაცია საზღვარგარეთ არსებული ქართული დიასპორული და საქართველოთი დაინტერესებული ორგანიზაციების, მათი დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელების შესახებ და, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე თანამემამულეების შესახებ.⁸⁸ ამ და სხვა ღონისძიებებში რუსეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად იღებენ მონაწილეობას, თუმცა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის გამო, სხვა ქვეყნის დიასპორებთან შედარებით, რუსეთის ქართულ დიასპორასთან ოფიციალურ დონეზე ვერ ხერხდება აქტიური კავშირების დამყარება, მაგალითად, სამინისტროს წარმომადგენლები ვერ ჩადიან თანამემამულეებთან შესახვედრად, რაც ნებისმიერი ქვეყნის დიასპორისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

მინისტრის განცხადებით, სამინისტროს კარი ღიაა ყველა ქართველი თანამემამულისთვისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული დიასპორული ორგანიზაციისთვის, განურჩევლად ქვეყნისა და განურჩევლად იმისა, თუ ვის რა დამოკიდებულება აქვს საქართველოსთან. თუმცა, როგორც გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა უთითებდა, რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ სამინისტროს ყურადღება სხვა ქვეყნებთან შედარებით მაინც სუსტია. საინტერესოა, რომ, მაგალითად, სამინისტროს ვებ-გვერდზე მოცემულია ცალკეული გრაფა, სადაც აღნიშნულია ის ქვეყნები, რომლებშიც საქართველოს ქართული დიასპორული ორგანიზაციები გააჩნია, ესენია: ავსტრია, გერმანია, ირლანდია, საბერძნეთი, სომხეთი, ირანი, ბელორუსია, ფინეთი, კვიპროსი, ირლანდია, აზერბაიჯანი, თურქეთი და მალტა. რუსეთის ქართული დიასპორა ამ ჩამონათვალში საერ-

⁸⁷ ივანიშვილი: რუსეთთან ურთიერთობებს „ვინცებთ ახალი ფურცლით“ 1 ნოემბერი, 2012 წ.

იხ.: <http://civil.ge/geo/article.php?id=26167>

⁸⁸ საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში; სექტემბერი, 2015 წ. გვ. 83.

იხ.: http://gov.ge/files/424_51385_272933_mtavrobisangariSiSept2015.pdf

თოდ არ შედის, ამის მიზეზად სამინისტროს მხრიდან დასახელდა ის, რომ ინფორმაცია წაიშალა ვებ-გვერდის „გატეხვის“ შედეგად, მასალების აღდგენა მიმდინარეობს, თუმცა რუსეთის ქართულ დიასპორაზე ინფორმაცია სამინისტროს ვებ-გვერდზე დღემდე არ დევს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებული დაძაბულობა 2012 წლის შემდეგ მეტ-ნაკლებად შემცირდა, რუსეთის ქართული დიასპორის თემა, როგორც ჩანს, მაინც ერთგვარად ტაბუირებულ საკითხს წარმოადგენს როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე, რაც იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ქართული მხარე რუსეთის ქართულ დიასპორას მუდმივად „უსაფრთხოების“ (Securitization) დისკურსში განიხილავს.

როგორც კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი ექსპერტი საუბრისას აღნიშნავდა, საქართველოს სახელმწიფოს ვერ ექნება რუსეთის ქართულ დიასპორასთან აქტიური პოლიტიკის წარმოების პრეროგატივა, ვინაიდან არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, როგორც თავად დიასპორის შიგნით, ისე პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია რუსეთისა და ქართულ-რუსული ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე. პირველ რიგში, ექსპერტები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც დღეს არსებობენ არის „რუსული ორგანიზაციები, რუსულ კანონმდებლობაზე შექმნილი ორგანიზაციები“ და ისინი იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ბევრ შიდა ფაქტორს. მეორე მხრივ, ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ქართული დიასპორა არა როგორც უბრალოდ ქართველი თანამემამულეების ჯგუფი, არამედ დიასპორა საკუთარი შინაარსობრივი დატვირთვით, სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებული არ არის. ამაზე მეტყველებს ის, რომ რუსეთის ქართული საზოგადოება დანაწევრებულია სხვადასხვა ჯგუფებად და მათი გაერთიანება რთულია, ვინაიდან დიასპორის შიგნით არ არსებობს ერთიანი ხედვა, თუ რას უნდა ემსახურებოდეს დიასპორული გაერთიანებები. ერთ-ერთი სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი საუბრისას შენიშნავდა, რომ ქართული საზოგადოება, ისინი, ვინც დიასპორული კუთხით აქტიურობენ, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პოლიტიკური შეხედულებების კუთხით, რაც უშლის მათ გაერთიანებას. ამასთან, იმისთვის, რომ ქართულმა სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს რუსეთში ახალი დიასპორული ორგანიზაციების დაფუძნება – ბევრი რისკის შემცველია, რაც უკავშირდება რუსეთში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, სადაც სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული პროცესები ხელისუფლების მიერ მკაცრად კონტროლდება და ასევე მკაცრად იმართება. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ „როგორც წესი, დიასპორა თავის საქმიანობაში კიდევ უფრო შეზღუდულია ხოლმე, ვიდრე ეთნიკური უმცირესობები“.

საუბრისას თითქმის ყველა ექსპერტი ახსენებდა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ქართული დიასპორა არ არის კარგად ორგანიზებული და აქტიურად ინტეგრირებული საერთო თემში, ერთადერთი სივრცე, სადაც ქართველები იკრიბებიან განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა თუ პიროვნული მიუღებლობებისა, არის ეკლესია. ეკლესია თავისთავად წარმოადგენს ყველაზე მყარ ინსტიტუტს, სადაც ქართველი თანამემამულეები იკრიბებიან, იძენენ ახალ კავშირებს, ერთმანეთთან ურთიერთობენ და უყალიბდებთ კოლექტიური მიკუთვნებულობის განცდას.

შეჯამება

რუსეთის ქართული დიასპორა, სხვა ქვეყნის დიასპორებისგან განსხვავებით, ყველაზე მეტად განიცდის საქართველოსა და რუსეთს შორის განვითარებული პოლიტიკური პროცესების ზემოქმედებას, რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ ქართული მხარის დამოკიდებულებაც სწორედ ამ პროცესების გავლენით ჩამოყალიბდა.

2007 წლამდე რუსეთის ქართული დიასპორის თემა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში საერთოდ არ იკვეთება. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება არ იღებდა მხედველობაში იმას, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყველაზე დიდი ქართული დიასპორა სწორედ რუსეთის ფედერაციაშია და ის პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც რუსეთის მიმართულეებით კეთდებოდა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იქ მცხოვრებ ქართველ თანამემამულეებს აზარალებდა.

საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება ჩანს იმაშიც, რომ მათი ინიციატივით, ყველასთვის მოულოდნელად, გაიყიდა „მზიურისა“ და მის მიმდებარედ არსებული შენობა.

2007 წლის შემდეგ ქართული დიასპორაში ქართველი ბიზნესმენების გააქტიურებას ამბივალენტური ეფექტი ჰქონდა, როგორც თავად დიასპორისთვის, ისე ქართული საზოგადოებისთვის. საქართველოში ამ ფაქტის შეფასება ხდებოდა ცალსახად ნეგატიურად, პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები თუ მასმედია მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ მოვლენისგან დისტანცირებას და გარკვეული სახით დიასპორის სტიგმატიზირებასაც კი. მეორე მხრივ, როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ, რუსეთის ქართული დიასპორის თემის პოლიტიზირებით რუსეთის ქართული საზოგადოება კიდევ უფრო დეზინტეგრირდა, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე იქნა ნაჩვენები, დიასპორის ახალი ლიდერების გარშემო ქართული საზოგადოების ფართო ფენების გაერთიანება მაინც ვერ მოხერხდა.

საქართველოს მოქმედი ხელისუფლების დამოკიდებულება რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ ნეიტრალურია, თუმცა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან ინტერვიუს ჩანერისას გამოთქმული მოსაზრებების გაანალიზებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის ქართული დიასპორის თემის განხილვა – საუბარი იმაზე, თუ რამდენად არსებობს დიასპორის პოტენციალი, გავლენა იქონიოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესზე და რა პოლიტიკა უნდა არსებობდეს რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან – მაინც გარკვეულწილად შეზღუდულია. ქართული მხარის მიერ ქართული დიასპორის თემის აქტუალიზებაში საქართველოს ხელისუფლება შესაძლებლობებზე მეტად ხედავს პოლიტიკურ რისკებს რუსეთ-საქართველოს შორის არასტაბილური პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე.

რუსეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ჩანერილი ინტერვიუები მიზნად ისახავდა იმ ძირითადი ინფორმაციის დადგენასა და პრობლემური საკითხების განსაზღვრას, როგორებიცაა: რა ტიპის საქმიანობას ეწევიან აღნიშნული ორგანიზაციები, რა დამოკიდებულებაში არიან სხვადასხვა ორგანიზაციები თუ დიასპორის წევრები ერთმანეთთან, რამდენად კონსოლიდირებულია დიასპორა გარკვეული საკითხებისა თუ კონკრეტული საქმიანობის წარმოებისას, როგორ აფასებენ ქართული მხარის რუსეთის დიასპორასთან მიმართ დამოკიდებულებას, თავად როგორ უყურებენ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს და საკუთარ როლს ამ ურთიერთობების დარეგულირებაში. ინტერვიუებში დაფიქსირებული მოსაზრებების გაანალიზებისას გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემური საკითხები და აქტუალური ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელია რუსეთის ქართული დიასპორისთვის.

5.1 ქართულ დიასპორულ გაერთიანებაში არსებული პრობლემები

პირველი საერთო მახასიათებელი, რაც კვლევის შედეგად გამოვლინდა, არის ის, რომ თანამედროვე პერიოდში რუსეთის ქართული დიასპორული გაერთიანებები სუსტად არიან წარმოდგენილნი როგორც ორგანიზაციული კუთხით, ისე მათი საქმიანობისა და მოღვაწეობის სფეროების თვალსაზრისით. ამ თემებზე დიასპორის წარმომადგენლებისგან მოსმენილი მოსაზრებების გაანალიზების შედეგად შესაძლოა, გამოიკვეთოს ის ძირითადი ფაქტორები, რაც განაპირობებს რუსეთის ქართული დიასპორის სისუსტეს:

1. ფინანსური რესურსების უქონლობა – „რუსეთის ქართველთა კავშირისა“ და პეტერბურგის ქართული სათვისტომო „ივერიას“ გამოკვლებით, ყველა გამოკითხული რესპონდენტი ხაზს უსვამდა იმას, რომ ორგანიზაციებს უჭირთ არსებობა და საკუთარი საქმიანობის განხორციელება ფინანსური სახსრების უქონლობის გამო. რესპონდენტები აღნიშნავენ: იმისათვის, რომ დიასპორული ორგანიზაცია ეწეოდეს აქტიურ საქმიანობას, სჭირდება შესაბამისი მატერიალური რესურსები, სულ მცირე სივრცე, სადაც ადამიანები შეძლებენ შეკრებას და საუბარს. ასეთ ადგილს 2005 წლამდე წარმოადგენდა არბატის ქუჩაზე მდებარე „მზიურის“ შენობა, რომლის გაყიდვის შემდეგ ბევრმა დიასპორულმა ორგანიზაციამ დროებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ შეწყვიტა საქმიანობა. მაგალითად „მოსკოვის ქართველთა სათვისტომო“ დიდი ხნის განმავლობაში უფუნქციოდ იყო დარჩენილი, სანამ მოსკოვში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა ორგანიზაცია ფართით არ დაკმაყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ბევრი ეთნიკურად ქართველი ბიზნესმენი მოღვაწეობს, მათი დაინტერესება დიასპორის საკითხებით, ერთეული ფაქტების გამოკვლებით, არ ხდება. ამის მიზეზი, ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ისაა, რომ ბიზნესმენებს არ სურთ, გარდა ბიზნესის სფეროსი, სადმე კიდევ გამოჩნდნენ: **„არავინ არ არის მონდომებული გამოამყვანოს საკუთარი ქონება იმიტომ, რომ ეშინიათ, ისევ ქართველი თუ გაგქურდავს“** – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

2. დიასპორული ორგანიზაციების გათიშულობა – ორგანიზაციათა წარმომადგენლების მხრიდან, საკუთარი მიზნებისა და საქმიანობის აღწერისას ძირითადი აქცენტი კეთდება კულტურისა და ენის შენარჩუნებაზე, თუმცა, ამ მხრივ ჩანს, რომ ორგანიზაციათა შორის არ ხდება რესურსების გაერთიანება და სახეზე გვაქვს ცალკეული მცდელობები, რომლებიც საზოგადოების ფართო ფენებს ვერ მოიცავს. ორგანიზაციების დაქსაქსულობას არც თავად რესპონდენტები უარყოფდნენ, კითხვაზე – თუ რამდენად ხდება ორგანიზაციათა შორის თანამშრომლობა სხვადასხვა პრობლემის გარშემო, ანდა იგივე კულტურული ღონისძიებების განხორციელებისას, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, როგორც ადრე, ისე ახლაც, ორგანიზაციათა შორის თანამშრომლობაზე მეტად კონკურენცია შეინიშნება: **„ორგანიზაციათა შორის კონკურენცია მხოლოდ რუსეთში არა – ყველგანაა“** – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი. ამგვარი მოცემულობის საფუძველად, რესპონდენტთა მხრიდან, სახელდება განსხვავებული მიზეზები, თუმცა ყველა მათგანი ერთ ცენტრალურ პრობლემასთან იყრისდა თავს, რაც შესაძლოა, გამოიხატოს იმაში, რომ ორგანიზაციები ერთ-

მანეთს ემიჯნებიან **განსხვავებული პოლიტიკური პრეფერენციების საფუძველზე**, რაც ვრცელდება როგორც რუსეთში, ისე საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ძალებზე.

ერთი შეხედვით, დიასპორულ ორგანიზაციათა მიზნები: ქართული იდენტობის შენარჩუნება კულტურისა და ენის, ისტორიის, ფოლკლორისა და სხვათა გავრცელებით, ერთმანეთს ემთხვევა, და ეს შესაძლოა, გამხდარიყო დიასპორაში თანამშრომლობის საერთო პლატფორმის ჩამოყალიბების საფუძველი, თუმცა განსხვავდება მათი, ამ შემთხვევაში უფრო მეტად ორგანიზაციათა ლიდერების, პოლიტიკური შეხედულებები, რაც ხელს უშლის ორგანიზაციათა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ დიასპორული გაერთიანებები დღეს ფაქტიურად სამოქალაქო საქმიანობას არ ეწევიან, სადაც კიდევ შესაძლებელია, ადგილი ჰქონოდა პოლიტიკურ ინტერესთა კონფლიქტს, მათ, როგორც კულტურაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს, მაინც უჭირთ საერთო ენის გამონახვა პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობის გამო. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, კონკურენცია ვლინდება იმაშიც, რომ ზოგ ორგანიზაციას მეტი კავშირები და რესურსები გააჩნია როგორც რუსეთში ისე საქართველოში ხელისუფლებასთან საურთიერთობოდ, ზოგი კი ამ კავშირების სიმწირეს განიცდის.

აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია ყოველთვის ახასიათებდა ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ, მაგალითად, 90-იან წლებში ორგანიზაციათა შორის დაპირისპირებას საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებასთან მათი განსხვავებული დამოკიდებულება განაპირობებდა. იმდროინდელი ქართული დიასპორის ძირითადი ბირთვი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას თანამშრომლობდა საქართველოს ხელისუფლებასთან, კერძოდ ედუარდ შევარდნაძის ადმინისტრაციასთან, მეორე მხრივ კი, არსებობდნენ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი დიასპორის წევრებიც, მათთვის შევარდნაძის ხელისუფლებასთან კავშირი და მისდამი ლოიალობა მიუღებელი იყო. შესაბამისად, ამ ჯგუფებს შორის ვერ ხერხდებოდა ეფექტური თანამშრომლობა.

თანამედროვე პერიოდში ამ პრობლემას განსაკუთრებულად ამძაფრებს ის ფაქტი, რომ 2007 წლიდან ქართულ დიასპორაში გამოჩნდნენ ახალი ლიდერები, რომლებიც ძირითადად ბიზნესის სფეროს წარმოადგენდნენ, მაგალითად „ქართველთა კავშირის“ დამფუძნებელ მიხეილ ხუბუტიასთან მიმართებაში სხვა დიასპორული გაერთიანებები ხშირად კრიტიკულ დამოკიდებულებას ავლენდნენ, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, „ქართველთა კავშირის“ წევრობა მიუღებელია ორი მიზეზის გამო – ერთი მხრივ, ორგანიზაცია ფუნქციონირებს არადემოკრატიულად, ვინაიდან თავმჯდომარის არჩევა დიასპორის წევრების მიერ არ ხდება – **„ხუბუტია არის უცვლელი თავმჯდომარე, ადამიანი, რომელიც გამუდმებით თავმჯდომარეობს, ხოლო ქართველებს არ შეუძლიათ, მიიღონ ისეთი დიასპორული ორგანიზაცია, რომელშიც ვერ შეძლებენ ყოველ წელს მისვლას და ხმის მიცემას იმისთვის, ვინც იღვება სათავეში“** – აღნიშნავს რესპონდენტი. მეორე მხრივ, იგივე რესპონდენტის აზრით, ამ ორგანიზაციის პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ, თავმჯდომარის განცხადებებიდან გამომდინარე, ორგანიზაციას ხშირად პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავს – **„ბატონ ხუბუტიას ახასიათებს განსაკუთრებულობა, მიემხროს სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებებს სიტუაციიდან გამომდინარე, მას უყვარს პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, რომლებიც მთელ ორგანიზაციაზე აისახება“** – აღნიშნავს რესპონდენტი.

თუმცა სხვა რესპონდენტის აზრით, მსჯელობა იმის შესახებ, რომ დიასპორულ ჯგუფებს შორის აზრთა სხვადასხვაობა პოლიტიკური დაპირისპირების ბრალია – გადაჭარბებულია: **„ეს დაპირისპირება ქიშპის დონეზეა, მე მგონი, და არა პოლიტიკური არჩევანის დონეზე. მე ვარ და ჩემი ნაბადი და ჩემთან უნდა იყო, თუ არ ხარ ჩემთან, ესე იგი, მტერი ხარ, შეიძლება საქართველოს მტერიც იყო, თუ ჩემ გვერდით არ დგახარ“** – შენიშნავს რესპონდენტი დიასპორულ ორგანიზაციათა ლიდერების ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე საუბრისას.

3. დიასპორის წევრთა ერთმანეთის მიმართ უნდობლობა – თითქმის ყველა რესპონდენტი რუსეთში არსებული ქართული საზოგადოების დახასიათებისას ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველები ერთმანეთის მიმართ ნდობით არ გამოირჩევიან. ამის მიზეზად კი ასახელებდნენ იმას, რომ ქართველი ემიგრანტების მხრიდან ხშირად კრიმინალური ფაქტები ფიქსირდება, ამიტომ თანამემამულეებს შორის ნდობა და სოლიდარობა ნაკლებია: **„ქართულ დიასპორაში განსხვავებული ხალხი იყრის თავს: აქ არიან ისინი, ვინც 20 წელიწადი ქუჩაში ცხოვრო-**

ბენ და ასევე არიან მილიონერები... ქართველები საერთოდ არ არიან შეკავშირებულნი იმიტომ, რომ ეჭვის თვალთ უყურებენ ერთმანეთს. იმიტომაც, რომ ძალიან ბევრი კრიმინალია. თუ ნათესაური კავშირი არაა, ერთმანეთთან ნაკლებად ურთიერთობენ“ – აღნიშნავს რესპონდენტი.

რუსეთში არსებულ ქართულ დიასპორაში არსებულ პრობლემებზე საუბრისას ახსენებდნენ იმასაც, რომ რუსეთში ემიგრირებული ქართველები ძალიან ადვილად ასიმილირდებიან და, რომ ფაქტიურად, მეორე და მესამე თაობის ქართველები ქართულ ენასაც კარგავენ, ამის თაობაზე იგივე რესპონდენტი ამბობს: „ქართველი როცა ჩადის იქ, მთელ ცხოვრებას იმისთვის კარგავს, რომ რუსმა მიიღოს თავისიანად, მაგალითად: რომ აქცენტი არ ჰქონდეს, მოქალაქეობა მიიღოს, ხარისხი დაიცვას, დიპლომი აიღოს და ა.შ.“ თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, რადიკალურად განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს სხვა რესპონდენტი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართველებში ბევრად დიდი პატრიოტიზმის განცდაა საქართველოს მიმართ, ვიდრე თავად საქართველოში, ვინაიდან აქ მცხოვრებ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების უფრო მეტი მოთხოვნილებაა „...ჩვენც ქართველები ვართ და უფრო მეტი პატრიოტიზმი არის აქ, აქაურ ქართველებში, ახალგაზრდებში, ქართველობა რასაც ჰქვია, ვიდრე, დავუშვათ, რომ ჩავდივარ და ჩემს მეგობრებს ვაკვირდები. აქ რომ ვცხოვრობთ, უფრო გვინტერესებს ქართული ცეკვები, ფანდური და ასეთი ნაციონალური რაღაცეები, რაც ჩვენს მენტალიტეტსა და ისტორიას ეხება, ვიდრე, დავუშვათ, ჩემს მეგობრებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ“ – ამბობს რესპონდენტი.

5.2 რუსეთის ქართული დიასპორა და საქართველო

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გარკვევასაც მოცემული კვლევა ისახავდა მიზნად, ეხება იმას, თუ როგორ აფასებენ რუსეთში მცხოვრები ქართველები საქართველოს სახელმწიფოს მათდამი დამოკიდებულებას. კითხვა ჟღერდა შემდეგნაირად: არსებობდა ან არსებობს თუ არა რაიმე სახის პოლიტიკა რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორის მიმართ, რაზეც ყველა რესპონდენტი უარყოფით პასუხს აფიქსირებდა. თუმცა, ქართული მხარის ზოგადი დამოკიდებულების შეფასებისას, იყო განსხვავებული მოსაზრებებიც. მაგალითად, რესპონდენტთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ 2012 წლის არჩევნებამდე რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორის მიმართ საქართველოდან მეტ ყურადღებას გრძნობდნენ, თუმცა რაში გამოიხატებოდა ეს ყურადღება, სახელდობრ რუსეთში მცხოვრები ქართველების მიმართ, რესპონდენტებმა ვერ დააკონკრეტეს, საუბრისას ახსენებდნენ მხოლოდ სხვადასხვა დროს გამართულ კონფერენციებს, სადაც რუსეთის ქართული დიასპორის წამომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამ მოსაზრებისგან განსხვავებულ შეხედულებას ვხვდებით სხვა რესპონდენტთან, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოს დიასპორის სამინისტრო გასულ წლებში რუსეთის ქართულ დიასპორასთან მიმართებაში არაეფექტურად მუშაობდა: „2010 ში თუ 2011 ში ჩამოვედით, სულ ბოლოს რაღაც დახმარება ვთხოვეთ და გაგვიფუჭდა ურთიერთობა, ეს სააკაშვილის დროს, იმიტომ, რომ არაფერს არ აკეთებდა დიასპორის სამინისტრო“ – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი.

სხვა რესპონდენტების თქმით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველო-რუსეთს შორის არსებობდა დიპლომატიური ურთიერთობები, საქართველოს საელჩო რუსეთში არ იჩენდა განსაკუთრებულ დაინტერესებას ქართული დიასპორით: „საელჩო არ ერეოდა მაშინ ჩვენს საქმიანობაში და ნათქვამიც იყო, რომ საელჩოს არანაირი საქმე არ აქვს დიასპორასთან“ – ამბობს ერთ-ერთი რესპონდენტი. იგივე მოსაზრებას ეხმიანება სხვა რესპონდენტის აზრით: „თავის დროზე არც საელჩო მუშაობდა ნორმალურად, არც საკონსულო, სულ რაღაც რიგები იყო. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს საკონსულო ან საელჩო იცავს ქართველების უფლებებს რუსეთში. საქართველოს საკონსულოები საერთოდ ყველგან ცუდად მუშაობენ... ვთქვათ, მე მაქვს ორმაგი პასპორტი და თუ რამე პრობლემები მექმნება, მე მივმართავ უფრო რუსეთის საელჩოს იმიტომ, რომ ვიცი, ის უფრო კარგად იცავს თავისი მოქალაქეების უფლებებს საზღვარგარეთ, ვიდრე საქართველო“.

რამდენიმე რესპონდენტმა საუბრისას გაიხსენა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის სტუმრობა რუსეთში, თუმცა ამ ფაქტს უფრო მეტად „მზიურის“ შენობის გაყიდვის თემაზე საუბრისას ახსენებდნენ: „სალომე ზურაბიშვილი ჩამოსულიც კი იყო მოსკოვში და

ვცადეთ შეხვედრა, მაგრამ ისე ჩავვირბინა, შეხვედრის გარეშე, მაშინ ის ვიცოდით, რომ არ-გუმენტაცია [მზიურის გაყიდვის] ესეთი ჰქონდათ, რომ საელჩო პარიზში ჯობია გვქონდეს და, რადგან გვიჭირს, შეიძლება შეველიოთ „მზიურს“... საბოლოოდ მოხდა ისე, რომ დავრჩით ღია ცის ქვეშ, მზიური გაიყიდა“ – შენიშნავს რესპონდენტი.

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ კავშირები საქართველოს ხელისუფლებასთან დიასპორის სამინისტროს სახით არსებობს, თუმცა ეს ურთიერთობები არასისტემური და მწირია. „ჩვენ არ ვიცით რაღაც ისეთი გლობალური პროექტები საქართველოს დიასპორის სამინისტროს მხრიდან, გარდა საზაფხულო ბანაკისა, სადაც საქართველოში ბავშვების გამგზავრების ხარჯს ისევ ჩვენ ვიღებთ, მიღება და განთავსება მათზეა... ასევე არის წელიწადში ერთი დღე – 27 მაისი – დიასპორის დღე, სადაც ყველა წარმომადგენელი იკრიბება, სხვა კონკრეტული პროექტები, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვიცით“ – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

რესპონდენტთა აზრით, საქართველოს სახელმწიფოს გულგრილი დამოკიდებულება რუსეთში არსებული ქართული დიასპორის მიმართ განპირობებულია პოლიტიკური ფაქტორით, კერძოდ, ვინაიდან საქართველო-რუსეთს შორის განყდა დიპლომატიური კავშირი, ქართული მხარეც არ იჩინს აქტიურობას რუსეთის მიმართულებით სხვა დანარჩენი ქვეყნების დიასპორებთან შედარებით: „დიასპორის სამინისტროს მხრიდან, ბოლო დროს არ ვიციოდი, თუმცა მაინც ვართ განცალკევებულები... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს რუსეთში მცხოვრები ქართველები მაინცდამაინც არ ვართ ისეთი წარმომადგენელი საზღვარგარეთის დიასპორებს შორის, როგორებიც არიან მაგალითად ინგლისში, საფრანგეთში ან კიდევ სხვაგან, მიუხედავად იმისა, თვითონაც ესმით, ყველაზე დიდი დიასპორა საქართველოს რუსეთში ჰყავს“. თუმცა იგივე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ წინა წლებთან შედარებით, ახლა მეტი კომუნიკაცია შეინიშნება.

რესპონდენტები, გარდა ოფიციალური მხარის დამოკიდებულების შეფასებისა, ახსენებდნენ იმასაც, რომ ქართული საზოგადოების მხრიდანაც იგრძნობა რუსეთის ქართული დიასპორის მიმართ გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება. მაგალითად ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „რუსეთში მცხოვრებ ქართველებს ისეთი სტატუსი გვაქვს, რომ აი რუსეთში რომ ვცხოვრობთ დამნაშავე ვართ, იმიტომ რომ დამნაშავე ვართ რომ ვცხოვრობთ რუსეთში“. ამ საკითხთან დაკავშირებით რესპონდენტებმა სხვადასხვა მოსაზრებები გამოთქვეს, თუმცა ყველაზე ხშირად პრევალირებდა აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს საქართველოში ერთგვარად ექვის თვალთ უყურებენ, ვინაიდან ისინი ასოცირდებიან მტრულად განწყობილ ქვეყანასთან და დიასპორის იმ წევრებთან, რომლებიც ქართული მხარისთვის მიუღებელი პოლიტიკური განცხადებებით გამოირჩევიან. ასევე საუბრისას გამოითქვა აზრი, რომ თუ ქართული საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ქართული დიასპორა არ აფიქსირებდა და არ აფიქსირებს კონკრეტულ პოლიტიკურ პოზიციებს ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებით და არ გამოირჩევა რუსეთში პოლიტიკური აქტივიზმით საქართველოს ინტერესების დასაცავად, ეს იმიტომ ხდება რომ ამგვარი საქმიანობის განხორციელება რუსეთში ბევრ რისკთან არის დაკავშირებული. მიუთითებდნენ იმაზე, რომ რუსეთის სამოქალაქო სივრცეში ფაქტიურად შეუძლებელია ხელისუფლების ღიად გაკრიტიკება: ასეთი დამოკიდებულებაა, რომ თითქოს ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა პოლიტიკური რაღაცები, უფრო უნდა დაგვეცვა ჩვენი პოზიციები, მაგრამ ძალიან რთულია ასეთი რამეების კეთება, რადგან ყველას ჰყავს შვილი, ყველას ჰყავს ოჯახი და საქართველო არ გვიქმნის არანაირ პირობებს, აქ რომ ცხოვრობ წლების განმავლობაში, აქ ამთავრებ სკოლას, აქ იწყებ კარიერას და მერე... მაშინ საქართველომ უნდა შეგვიქმნას პირობები, რომ დავყაროთ ყველაფერი და დავბრუნდეთ, არა მგონია, საქართველოს დღეს ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ნახევარი მილიონი ადამიანი მიიღოს“ – აღნიშნავს რესპონდენტი.

რესპონდენტთა აზრით, საქართველოში ქართულ დიასპორაზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მედია საშუალებებს. საუბარში ხშირად შენიშნავდნენ, რომ თავად ქართული მედია ახდენს იმ ადამიანთა რეკრუტირებას, რომლებიც ქართული საზოგადოებისთვის და პოლიტიკური ელიტისთვის მიუღებელი განცხადებებით გამოდიან და შესაბამისად ხდება მათი შეხედულებების განხორციელება მთელ ქართულ დიასპორაზე: „აი, ჩვენი პრე-

სის მიკვირს, ტელევიზია, გაზეთები... ამ კაცმა [მიხეილ ხუბუტიამ] რაიმე უმნიშვნელოც რომ თქვას, საქართველოში ყველა გაზეთსა და ტელევიზიაში იქნება ამაზე ლაპარაკი. ჰოდა სხვამ ეხლა... რამდენჯერ მოვიწვიეთ სხვადასხვა ორგანიზაციები არც ერთხელ არ ყოფილა ჩვენი გაშუქება“. – ამბობს რესპონდენტი.

სხვა რესპონდენტი კი მიუთითებს, რომ ქართული დიასპორის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაა შესაცვლელი, რომ, სულ მცირე, არ მოხდეს საზოგადოებრივი დისკურსში რუსეთთან მიმართებით არსებული „მტრის ხატის“ ქართულ დიასპორაზეც გავრცელება: „**სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ არ იყოს ამხელა ნეგატივი და თუ სახელმწიფო ამაზე ხუჭავს თვალს და უშვებს იმას, რომ ასეთი აგრესიით ილაპარაკოს ხალხმა, მაშინ ეს არის მიზანშეწონილად სახელმწიფო პოლიტიკა**“ – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

5.3 ქართულ-რუსული ურთიერთობები და დიასპორა

კვლევის მთავარი ინტერესის საგანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რა წარმოდგენები არსებობს რუსეთის ქართულ დიასპორაში საქართველო-რუსეთს შორის არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, კერძოდ, როგორ აფასებენ 2012 წლის შემდგომ საქართველოს მხრიდან ინიცირებულ ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზების პროცესს.

ამ საკითხებზე საუბრისას რესპონდენტთა მხრიდან არაერთგვაროვანი მოსაზრებები გაჟღერდა. საქართველო-რუსეთს შორის დიალოგის პროცესის ე.წ. „კარასინი-აბაშიძის ფორმატის“ მიმართ რესპონდენტების აზრი ორ ჯგუფად გაიყო. 1. რესპონდენტები, რომლებიც სკეპტიკურ დამოკიდებულებას ავლენდნენ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დარეგულირების მცდელობის მიმართ და 2. რესპონდენტები, რომლებიც აუცილებლად მიიჩნევენ და მიესალმებიან ურთიერთობების დარეგულირებას, თუმცა განსაკუთრებულ შედეგებს არსებული პოლიტიკით ვერ ხედავენ. სკეპტიკოსების ძირითადი მოსაზრებები ეფუძნებოდა იმას, რომ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის არანაირი ბერკეტი არ გააჩნია და ნებისმიერი მცდელობა კრახით დასრულდება. როდესაც საუბარი მიდიოდა იმაზე, რომ, მიუხედავად პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის შეუძლებლობისა, საქართველო მაინც იღებს გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს სავაჭრო ურთიერთობების განახლებით, საპირისპირო არგუმენტაცია შემდეგნაირად ჟღერდა: „**დღეს რაც კეთდება, ეს არის მწვანე პოლიტიკა, ღვინის პოლიტიკა... რამაც წააგო, წააგო არა მხოლოდ იმით, რომ ვერ მოხერხდა რეალიზაცია ბოლომდე, არამედ წააგო იმით, რომ სხვა ბაზრები დაკარგა. ევროპის ბაზარზე გასვლის შანსი დაკარგა**“.

რესპონდენტები, რომლებიც დადებითად უყურებდნენ ურთიერთობების დარეგულირების შესაძლებლობას, უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებდნენ ადამიანურ რესურსებზე, იმაზე, რომ პოლიტიკის მიღმა არსებობს ადამიანური ფაქტორები, რაც შესაბამის როლს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მაინც თამაშობს: „**ხალხს სურს ერთმანეთთან ურთიერთობა და, ვფიქრობ, რომ რუსები და ქართველები პოლიტიკაშიც უფრო გაუგებენ ერთმანეთს, აქ რაღაც აგრესია არ იგრძნობა... მე, საერთოდ, ვფიქრობ, რომ ეს ცოტა არანორმალური სიტუაციაა, დღევანდელი ურთიერთობები...მარტო იმის ძიება, ვინ არის დამნაშავე და ვინ მართალი, საქმეს ვერ შველის**“ – აღნიშნავს რესპონდენტი. ამასთან აღსანიშნავია, რომ მათ ვისაც რუსეთთან არსებული პოლიტიკის მიმართ ნეგატიური შეხედულებები გააჩნდათ, უარყოფით დამოკიდებულებას ავლენდნენ დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიმართაც.

ასევე საუბარი შეეხებოდა იმასაც, თუ რამდენად იქონია გავლენა დიასპორაზე 2012 წლის შემდგომ საქართველოს მიერ რუსეთის მიმართულებით დისკურსის შეცვლამ და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესმა.

რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ორგანიზაციებში განწევრიანებულ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს და ყველას, ვინც ლეგალურად იმყოფება რუსეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სახის სამართლებრივი ან პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული პრობლემები არ ექმნებათ. ასეთად ასახელებენ მხოლოდ 2006 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართველების მასიურად გამოძევების ფაქტს, რომლის გამეორების შესაძლებლობას არსებულ ვითარებაში ნაკლებსა-

ვარაუდოდ მიიჩნევენ. ასევე ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ ადგილობრივი რუსული საზოგადოების მხრიდანაც დისკრიმინაციული დამოკიდებულება ქართველების მიმართ არ შეიმჩნევა.

შესაბამისად, ამ კატეგორიის ქართველები საკუთარ თავზე პოლიტიკის ცვლილების გავლენას ვერ გრძნობენ. თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტი შენიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს რუსეთის ხელისუფლებასთან არსებული დაძაბულობა იწვევდა იმას, რომ იმ დიასპორულ ორგანიზაციებს, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერაში იყვნენ შემჩნეულნი, ყოველთვის ეჭვის თვალთ უყურებდნენ: **„მოგესხნებათ, სააკაშვილის დროს მძიმე სიტუაცია იყო რუსულ-ქართულ ურთიერთობაში, სულ ეჭვის თვალთ უყურებდნენ ყველა ქართულ ორგანიზაციას რუსეთში. რაღაც საბაბი ჰქონდა, უბრალოდ, ზოგიერთი ორგანიზაცია, მართლა, თავგამოდებით უჭერდა მხარს მიშას“** – შენიშნავს რესპონდენტი.

რესპონდენტების უმრავლესობა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებზე საუბრისას ეხებოდა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების საკითხსაც. მსჯელობა მიდიოდა იმის თაობაზე, თუ რამდენადაა ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან კონფლიქტის გადაჭრის წინაპირობა. რესპონდენტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, დაჯგუფდეს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, არიან რესპონდენტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი შეუძლებელია გადაიჭრას, ვინაიდან პრობლემის უდიდესი წილი რეგიონში რუსეთის ფაქტორზე მოდის, ამიტომ ურთიერთობების დარეგულირებაზე აპელირება ფუჭია: **„საქართველოს რუსეთთან მიმართებაში არანაირი ბერკეტი არ გააჩნია, რომ გამოიყენოს. ერთადერთი ბერკეტი არის საერთაშორისო ორგანიზაციები ნატო და ევროკავშირი, ისიც, თუ შევალწიეთ. ეს შეიძლება იყოს ერთადერთი, რამაც შეიძლება გააჩეროს რუსეთი თავის მისწრაფებებში – მიიტაცოს მიწები“** – შენიშნავს რესპონდენტი.

მეორე მხრივ, იყვნენ რესპონდენტებიც, რომლებიც იზიარებდნენ ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობას, თუმცა მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში რუსეთის ფაქტორზე მეტად პრობლემურია საქართველოსა და არალიარებული რეგიონების ურთიერთმიმართება, სადაც მხარეთა შორის ინტერესთა აბსოლუტური აცდენაა. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეთნიკური კონფლიქტების მხოლოდ რუსულ-ქართული კონფლიქტების წრილში განხილვა არა მართებული და მოძველებულიც კია. **„საქართველოს რუსეთთან არ აქვს პრობლემა, პრობლემა აქვს საქართველოს თავის ტერიტორიებთან და ქართულ-რუსული პრობლემაც ამითია განპირობებული, მეტი არაფრით და აბსოლუტურად გასაგები გახდა, რომ ამ პრობლემების გასაღები აქ არ არის, ჩვენ არ გვაქვს რუსეთის იმედი, როდესაც ქართველი პოლიტიკოსები ჩამოდიან აქ და ცდილობენ პრობლემების გადაჭრას, ჩანს, რომ ეს არაფრით არ მთავრდება“** – აღნიშნავს რესპონდენტი და დასძენს, რომ საჭიროა ქართულმა მხარემ შეცვალოს კონფლიქტის მოგვარების არსებული მიდგომები: **„პირველ რიგში, საქართველომ უნდა გააცნობიეროს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა არ უნდა გადაიჭრას წმინდად პოლიტიკურად. საჭიროა, აფხაზეთთან და ოსებთან ლაპარაკი, ისე უნდა ქნან რომ აფხაზეთმა და ოსებმა დაივიწყონ ქართველებზე წყენა... საქართველომ უნდა გამოიკვლიოს 90-იანი წლების მოვლენები და დაანახვოს აფხაზეთს და ოსებს, რომ ჩვენ მზად ვართ ჩვენი შეცდომების აღიარებისთვის, და ვითხოვთ, რომ მათაც აღიარონ ეს შეცდომები და დააბრუნონ დევნილები აფხაზეთში – შენიშნავს რესპონდენტი.**

5.4 რუსეთის ქართული დიასპორის როლი ქართულ-რუსულ ურთიერთობაში

რუსეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ცენტრალურ მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა 1. თუ რამდენად ხედავენ იქ მცხოვრები ქართველები საკუთარ პოტენციალს, იქონიონ გავლენა საქართველო-რუსეთს შორის არსებულ ურთიერთობებზე და 2. რა უნდა გააკეთოს საქართველოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ რუსეთის ქართულმა დიასპორამ შეძლოს ეფექტური ფუნქციონირება, იმ გაგებით, რა გაგებითაც თანამედროვეობაში სხვადასხვა ქვეყნის დიასპორები ახერხებენ აქტიურობას საკუთარი ქვეყნის მიმართულებით (თანამშრომლობა, ეკონომიკური კავშირები, პოლიტიკური გავლენა და ა.შ.).

კვლევის შედეგად, გამოვლენილ მთავარ ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართულ საზოგადოებაში დიასპორის როლის ამ სახით გააზრება ნაკლებ აქტუალურია, რასაც შესაბამისი განმარტებელი მიზეზები აქვს. რუსეთის ქართულ დიასპორაში არსებული დღის წესრიგი ჯერ ისევ განსაზღვრულია იმ პირველადი პრობლემებით, რომლებიც სხვა ქვეყნის ქმედითი დიასპორების მაგალითზე, დიდი ხანია, გადაწყვეტილია – იგულისხმება, რომ დიასპორის უპირველესი მიზნების რეალიზება, როგორცაა: საერთო ეთნიკური ქსელის შექმნა, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისკენ მიმართული აქტივობების განხორციელება, დიასპორის წევრთა აქტიური კავშირის უზრუნველყოფა ისტორიულ სამშობლოსთან და ა.შ. ვერ ხერხდება მთელი რიგი შიდა თუ გარე ფაქტორების გამო. საუბრისას რესპონდენტები მიუთითებდნენ, რომ ქართული დიასპორა იმისთვის, რომ იყოს აქტიური, აწყდება პრობლემებს როგორც მიმღები ქვეყნის შიგნით, ისე საკუთარ ქვეყანასთან ურთიერთობისას.

როდესაც რესპონდენტები საუბრობდნენ ისეთ შიდა შემზღვეველ გარემოებებზე როგორცაა: ფინანსური რესურსების უქონლობა, დიასპორის წევრთა უნდობლობა და დიასპორულ ორგანიზაციათა შორის დაპირისპირება განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ნიადაგზე, მიუთითებდნენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის არსებობაზე, რაც უკავშირდება თავად რუსეთის ფედერაციის შიგნით სამოქალაქო დონეზე არსებულ ვითარებას. რესპონდენტთა აზრით, რუსეთში სამოქალაქო გაერთიანებების მოქმედების არეალი საკმაოდ შეზღუდულია, ვინაიდან თავად სამოქალაქო სივრცე სახელმწიფოს მხრიდან არის მონოპოლიზირებული: **„თუ შენ ხარ დიასპორა, შენ უნდა გაკონტროლოს სპეცსამსახურებმა. ვთქვათ, შენ ხარ ძლიერი დიასპორა, ესე იგი, ასე გადაწყვიტეს კრემლში, თუ კრემლში გადაწყვიტეს, ესე იგი, რაღაც მიზნებისთვისაა“** – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

მეორე მხრივ, როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, იმისთვის, რომ დიასპორა ქმედითუნარიანი იყოს საქართველოს მიმართულებით მას უნდა ჰქონდეს აქტიური კავშირები საქართველოსთან, არა ინდივიდუალურ დონეზე, არამედ სისტემურად. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, განსხვავებით რუსეთში მცხოვრები სხვა დიასპორებისგან, მაგალითად სომხებისგან, ქართველებს უჭირთ, იყვნენ აქტიურნი და ქონდეთ ძლიერი პოზიციები. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ორ ქვეყანას შორის განწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები, რასაც შესაბამისი გავლენა აქვს ქართულ დიასპორაზეც: **„სერიოზული ღონისძიება რომ ჩაატარო, კარგი კავშირი უნდა გქონდეს სახელმწიფოსთან და როგორ გექნება კარგი კავშირი სახელმწიფოსთან, თუ დიპლომატიური ურთიერთობები არ არის...“** სხვა მიზეზი უკავშირდება ასევე ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, რაცაა საქართველოსა და რუსეთს შორის განსხვავებული სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესები, მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, სომხურ დიასპორასთან შედარებით, ქართველები უფრო რთულ მდგომარეობაში არიან, ვინაიდან რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები რადიკალურად განსხვავდება და ეს წარმოქმნის მთელ რიგ განხეთქილებებს, რაც ქართულ დიასპორაზეც აისახება: **„სომხეთში ერთი პოლიტიკური მიმართულება არსებობს, მეორე პოლიტიკური მიმართულება ჩაკლულია, ფიზიკურად არის მოკლული. მარტო რუსეთთან დადებით პლატფორმაზე ყოფნის პოზიცია არის სომხეთში და ამიტომ ძალაუვნებურად ურთიერთობებიც მარტივია...“** ამ მოსაზრებას ეხმიანება სხვა რესპონდენტის აზრით: **„რომ ავიღოთ სომხური დიასპორა, ისინი უფრო შეკავშირებულები არიან, აი, მაგალითად, გენოციდის ხსოვნის დღეს ყველა შეიკრიბა და სერიოზულად აღნიშნეს იმიტომ, რომ ამის პოლიტიკური პრობლემა არ არის, შენ არ გაქვს შიში... რუსეთი მხარს გიჭერს, არ არის არანაირი არჩევანის მომენტი, ვაიდა სომხეთს ხომ არ ვლალატობ როდესაც რუსეთებთან ერთად რაიმეს ვაკეთებ“** – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობებზე მიუთითებდნენ რესპონდენტები, რომლებიც საუბრობდნენ არა იმდენად დიასპორის პოლიტიკურ დატვირთვაზე, რამდენადაც დიასპორის როლზე, რუსულ საზოგადოებასა და ისტებლიშმენტში შექმნან საქართველოს შესახებ დადებითი წარმოდგენები.

კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიზნები

- რუსეთში მოქმედ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციათა უმრავლესობა, საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით, სუსტად არის განვითარებული. ორგანიზაციათა ინსტიტუციური განვითარება ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იწყება, თუმცა დღესდღეისობით სრულყოფილი სახით არც ერთი ორგანიზაცია არ არის წარმოდგენილი.
- ორგანიზაციათა უმრავლესობა საკუთარ საქმიანობას ძირითადად მიმართავს კულტურისა და ენის გავრცელება-შენარჩუნებაზე, რასაც სისტემური ხასიათი ნაკლებად აქვს.
- რუსეთში არსებულ ქართულ დიასპორაში ორგანიზაციათა შორის თანამშრომლობის პრაქტიკა ნაკლებად შეინიშნება, რასაც საფუძვლად უდევს, დიასპორის წევრებსა და ლიდერებს შორის განსხვავებული პოლიტიკური პრეფერენციები.
- რუსეთის ქართული დიასპორა და დიასპორული ორგანიზაციები ფაქტიურად არ თანამშრომლობენ საქართველოს ხელისუფლებასთან, ამ უკანასკნელის დამოკიდებულებაც რუსეთის ქართულ დიასპორასთან პასიურია.
- ქართულ დიასპორაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუ რა ტიპის საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ ქართული დიასპორული ორგანიზაციები, ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წამოადგენს ისიც, რომ როგორც ორგანიზაციებთან, ისე დიასპორის წევრებთან საქართველოს ხელისუფლებას არანაირი სახის კომუნიკაცია არ აქვს. ა.გ. ორგანიზაციების საქმიანობა მოკლებულია ერთგვარ იდეურ საფუძველს, რომლის განსაზღვრის საჭიროებაც საქართველოზე მოდის.
- უმეტეს შემთხვევაში, ქართული დიასპორული ორგანიზაციები ერთიანდებიან იმ პიროვნებების გარშემო, რომელთაც ახასიათებთ ორი მნიშვნელოვანი ნიშანი: 1. მათი საქმიანობა დაკავშირებულია ბიზნესთან, 2. მათი სოციალური კაპიტალი, როგორც რუსულ, ასევე ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია და რიგ შემთხვევებში ოდიოზურ პიროვნებებადაც კი განიხილებიან. ა.გ. ასეთი დიასპორული ორგანიზაციები დისკრედიტირებულია ქართულ საზოგადოებაში, ხოლო მათი გავლენა რუსულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში მინიმალურია.
- რუსეთის ფედერაციაში ქართული დიასპორის უმთავრეს გამაერთიანებელ უცვლელ ინსტიტუტს წარმოადგენს მართლმადიდებლობა და ეკლესია. ეკლესია არის ის ერთადერთი ადგილი, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა წერტილში მცხოვრები ქართველები, მიუხედავად მათი სოციალური აქტივობისა, მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და მათი მოქალაქეობისა. ეკლესია ქართველებისთვის წარმოადგენს საერთო ეთნიკურ სივრცეს, სადაც თითქმის ყველა ინერციით ინტეგრირდება, ეს არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც რუსეთში ემიგრირებული ქართველების უმრავლესობას აძლევს საერთო თემისადმი მიკუთვნებულობის განცდას.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული დიასპორა არის სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით განპირობებული ის უცვლელი მოცემულობა, რომელიც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს როგორც გამშვები, ისე მიმღები სახელმწიფოსთვის. დიასპორის თემის საზოგადოებაში აქტუალიზება უნდა გამომდინარეობდეს სწორედ იმ მზარდი პოტენციალის გააზრებით, რასაც ეს ფენომენი თავის თავში ატარებს, იქნება ეს ეკონომიკური ზრდის, განვითარებისა თუ სახელმწიფო-თა შორის კავშირებისა და თანამშრომლობის მიღწევის საშუალება.

საქართველოს შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ქართულ დიასპორას საკუთარი სიდიდის, ფინანსური გავლენისა და საკუთარი ხარისხობრივი მახასიათებლების გამო. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი ცხოვრობს და მოღვაწეობს მეზობელ ისეთ ქვეყანაში, რომელთანაც საქართველოს ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ დაძაბულად ვითარდებოდა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რუსეთის ფედერაციაში ქართული დიასპორული ორგანიზაციებისა და რიგ შემთხვევებში ქართველი თანამემამულეების მდგომარეობა სწორედ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებების გავლენას განიცდიდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო ინიციატივა, პოზიტიურად შეეცვალა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებში არსებული ვითარება, ამ გადაწყვეტილებაში დიასპორის საკითხი ყურადღების მიღმა დარჩა. საქართველოს მთავრობას არა აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა და შესაბამისად სტრატეგია, თუ რატომ და როგორი ფორმებით უნდა ჩაერთოს ქართული დიასპორა საქართველოს ნაციონალური ინტერესების დაცვაში. სამწუხაროდ, საკითხის ამგვარი დაყენება საერთოდ არ ხდება. საქართველოს მთავრობა და კონკრეტულად სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის საკითხებში, რუსეთში ქართულ დიასპორასთან ურთიერთობებში არ არის დღის წესრიგის განმსაზღვრელი. ამის თვალნათელი მაგალითია, ის ფაქტი, რომ სამინისტრო არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს დიასპორული ორგანიზაციების ფორმირებაში და ამ ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრაში. ასეთ ვითარებაში საქართველოს მთავრობა რჩება პასიური მაცურებლის როლში, რომელიც არ ქმნის დღის წესრიგს და საკუთარი ინტერესების დაცვა სპონტანურ და ქაოტურ ქმედებებისთვის აქვს მინდობილი. ხაზგასასმელია ისიც, რომ დღეს საქართველოში იდეურ დონეზეც არ არის განსაზღვრული, თუ რას ნიშნავს ქართული დიასპორა, ვინ მოიაზრება მის ნაწილად და რა მიზნები შეიძლება ჰქონდეს დიასპორულ ორგანიზაციებს.

საბოლოოდ მთავარი კითხვა, რომელიც უნდა დაისვას ქართული დიასპორის თემის ირგვლივ, ჟღერს შემდეგნაირად – რა პოლიტიკას უნდა ახორციელებდეს საქართველოს მთავრობა, რათა რუსეთის ქართული დიასპორა საქართველოსთვის წარმოადგენდეს უფრო მეტად შესაძლებლობას, ვიდრე პრობლემას. ცალსახაა, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველობა (ამ ტერმინის ფართო გაგებით, რომელიც მოიაზრებს ეთნიკურ უმცირესობებსაც), ყოველგვარი სტიმულაციის გარეშე, თავისთავად არის საქართველოს ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი რესურსი. როგორც უკვე აღინიშნა, ფულადი გზავნილების თითქმის ნახევარს რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეები აგზავნიან, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს ეკონომიკური მდგრადობისთვის. სულ მცირე, საქართველოს მთავრობა უნდა ეცადოს, რომ არ გააუარესოს ეს ვითარება, საუკეთესო შემთხვევაში კი – უკეთესი პოლიტიკის წარმოებით გამოიყენოს ქართულ დიასპორაში არსებული რესურსები და გამოკვეთოს ახალი შესაძლებლობები. ამისთვის კი საჭიროა, რომ არსებული ინერტული მდგომარეობიდან საქართველო გადავიდეს აქტიურ ნაბიჯებზე. არგუმენტი იმისა, რომ „რუსეთი, რთული ქვეყანაა და მის მიმართ რაიმე სახის გააქტიურება სარისკოა“ არც ისეთი დამაჯერებელია, ვინაიდან თუ საუბარია ქართული დიასპორის მიმართ პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ამას ცალსახად უნდა ჰქონდეს გაცხადებული სახე, მეტიც, ამ პროცესში შესაძლებელია, რუსეთთან მეტი თანამშრომლობის შესაძლებლობებიც გამოიკვეთოს. მეორე არგუმენტი იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის განყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის გამო პოლიტიკის წარმოება რთულია, კიდევ უფრო აზრსმოკლებულია, ვინაიდან არსებობს მთელი

რიგი საშუალებებისა, რომლითაც შეუძლია სახელმწიფოს, მხარი დაუჭიროს რუსეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორას და იქონიოს მასთან მჭიდრო კავშირი. საქართველოში არის ამ ტიპის გამოცდილება, როდესაც საქართველოს ხელისუფლება 2008-2012 წლებში ახორციელებდა ჩრდილო-კავკასიურ პოლიტიკას ისე, რომ რუსეთთან ოფიციალური ურთიერთობები საერთოდ განწყვეტილი იყო, ამ პოლიტიკის ავ-კარგიანობის შეფასება სხვა განსჯის საგანია, თუმცა ამგვარი პრაქტიკული გამოცდილება მაინც არსებობს.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საქართველოს მთავრობამ არ უნდა მოითხოვოს რუსეთში არსებული დიასპორული ორგანიზაციების მხრიდან კონკრეტული პოზიციების დაფიქსირება ისეთ საკითხებზე, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის მათ საქმიანობას რუსეთის ტერიტორიაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის ქართული დიასპორასთან მიმართებაში მოიხსნას ქართულ საზოგადოებაში პროდასავლური/პრორუსულის დომინანტური დიქტომიური განსჯა. პოლიტიკა, პირველ ჯერზე, უნდა ეფუძნებოდეს ქართულ დიასპორაში ახალი გაერთიანებების ინიციატივის ნახალისებას, აქცენტი კი უფრო მეტად ახალგაზრდებზე უნდა კეთდებოდეს, რომლებიც ნაკლებად მოტივირებულნი არიან პოლიტიკური მოსაზრებებით და ამიტომ მეტი შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთთან თანამშრომლობის. ასევე მნიშვნელოვანი იქნება, თუ საქართველოს ხელშეწყობით ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბება მოხდება არა ოდიოზური ბიზნესმენების ირგვლივ, არამედ წარმატებული და პატივსაცემი ინტელექტუალთა კლასის (ინტელიგენციის) წარმომადგენლების გარშემო. ასეთები, შეიძლება იყვნენ ის ქართველი მეცნიერები, რეჟისორები თუ ექიმები, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი სოციალური კაპიტალი როგორც რუსულ, ასევე ქართულ საჯარო სივრცეში. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა მოხდეს ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების ჩამოშორება დიასპორული საქმიანობიდან. თუმცა, დიასპორული საქმიანობის ეფექტურობისთვის უმჯობესი იქნება, თუ რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენები არ მოახდენენ რუსეთის ქართული დიასპორის მონოპოლიზებას.

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-რუსული დიალოგი მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია თბილისში დიდი ბრიტანეთის საელჩოს კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ „კავკასიურ სახლს“ და არ უნდა იქნეს მიჩნეული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიციად.

მარიამ გაჩეჩილაძე

რუსეთის ქართული დიასპორა
და ქართულ-რუსული
ურთიერთობები

კვლევის ანგარიში

თბილისი

2016

Centre for Cultural Relations - Caucasian House

20 Galaktion Tabidze st., Tbilisi 0105, Georgia

www.caucasianhouse.ge

www.regional-dialogue.com

Email: info@caucasianhouse.ge

